კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
10 თებერვალი, 2003 წელი
№37
(4416)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტი

## „ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციამ უფრო კომპლექსური ხასიათი უნდა მიიღოს“



**გ**ანაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 9 თებერვალს გამართულ თათბირზე, რომელზეც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს გასული წლის ანგარიში და 2003 წლის გეგმები განიხილეს.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა ვრცლად მიმოიხილა სამინისტროს მიერ 2002 წელს გაწეული მუშაობა, სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროექტის მიმდინარეობა, სამინისტროში მიმდინარე რეფორმის ძირითადი მიმართულებები, მიზნები და პრინციპები.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეფორმირების მიზნით, მსოფლიო ბანკის ეგიდითა და ფინანსური მხარდაჭერით დაწყებულია და ჯერ კიდევ რეალიზაციის პროცესშია „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რესტრუქტურიზაციის პროექტი“, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

მინისტრმა თათბირის დამსწრეთ მოახსენა საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო, საზღვაო ტრანსპორტებისა და კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგებში დღეისათვის არსებული მდგომარეობა და სტატისტიკური მონაცემები გასულ წლებთან შედარებით. სტატისტიკის მიხედვით, გაზრდილია როგორც საბიუჯეტო შენატანები, ასევე გადატანილი ტვირთებისა და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. თითქმის ორჯერ არის გაზრდილი ფიჭური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის მომსახურება.

მერაბ ადეიშვილის განცხადებით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს 2003 წლის მუშაობის ძირითადი პრიორიტეტი სატრანზიტო პოლიტიკის გატარების სახელმწიფო პროგრამის მიღება და მისი აქტიური და ეფექტური განხორციელება იქნება.

იხ. მე-2 გვ.

თვალსაწიერი

## კოხტასთავის შეთქმულება XXI საუკუნისებურად

**კვირეების რეიტინგი რომ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, გასული კვირა უმაღლეს შეფასებას დაიმსახურებდა თავისი სკანდალურობითა და ხმაურიანობით.**

ჯერ იყო, თავს შეთქმულება და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დაგვატყდა. საბედნიეროდ ქვეყანა მიხეილ სააკაშვილმა იხსნა: მან ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის რამდენიმე ყველაზე გამორჩეული (თანამდებობრივ გამორჩეულობაზეა ლაპარაკი) წევრის საიდუმლო სერობას ახადა ფარდა. შეკრებილან ეს ჩვენი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურძანია, ორი სულხანი – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი პაპაშვილი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე მოლაშვილი, მგონი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძეც და პრეზიდენტის გადადგომის გეგმა შეუმუშავებიათ.

საქმეში კარგად ჩახედული წყაროები დაზუსტებით იმასაც კი გვამცნობენ, თუ როგორ უნდა გაეყოთ ცოცხალი დათვის ტყავი. ოღონდ, აქ პატარა შეუსაბამობაა: ეს წყაროები ორ სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობენ და დაბეჯითებით ვერ ამბობენ, რომელი მათგანია უტყუარი.

**ვარიანტი პირველი:** პრეზიდენტის ელცინ-პუტინური გადაყენების შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ავთანდილ ჯორბენაძე უნდა გამხდარიყო, პრემიერ-მინისტრობა კობა ნარჩემაშვილს ხვდებოდა, პროკურორობა – სულხან მოლაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრობა – სულხან პაპაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეობა – ვიტალი ხაზარაძეს, თავდაცვის მინისტრობას კი ირაკლი ბათიაშვილი იტვირთებდა.

**ვარიანტი მეორე:** აქ შეთქმულთა წრე უფრო ვიწროა: ჯორბენაძე, ნარჩემაშვილი, ხაბურძანია, პაპაშვილი და მოლაშვილი.

სულ სხვაგვარია განაწილების სქემა: პრეზიდენტი... დღევანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, პრემიერ-მინისტრი – სულხან პაპაშვილი, გენერალური პროკურორი – სულხან მოლაშვილი, კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურძანია თავიანთ ადგილებზე რჩებიან...

იხ. მე-2 გვ.

სახიერი ფოლკლორი



გადმოდიოდნენ წეროni,
მოაბნელებენ ცახათ,
ნეცავი თქვენა, ცივლებო,
რა მალე ჰნახავთ ფშავსათ!

მოხვალთ, ჩარგლის თავს
დასხდებით,
გადაიმოკლებთ გზასათ.

ხალხური.

ქართული ბიზნესი

## „თბილღვინო“ – იცნობენ, აღიარებენ, ენდობიან!

### უცხოელი ექსპერტები კომპანიას დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ

**ქართული** ეკონომიკის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ქართველი მენეჯერები თავიანთ კომპანიებში მართვის დასავლური სტანდარტების დანერგვას, უცხოელ პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვას, მათთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე შეტანას. სამწუხაროდ, საქართველოში იშვიათად მოიძებნება ისეთი კომპანია, ვინც საკუთარ წარმოებაში ახალი მენეჯმენტის დანერგვასა და ქართველი თუ უცხოელი პარტნიორების ნდობის მოპოვებას ახერხებს.

კომპანია „თბილღვინო“ ის იშვიათი გამონაკლისია, ვინც ოთხ არასრულ წელიწადში პატიოსანი და მოწესრიგებული ბიზნეს-პარტნიორის სახელის მოპოვება შეძლო. ეს არის კომპანია, რომელსაც იცნობენ, აღიარებენ და ენდობიან! ამის დასადასტურებლად 3-7 თებერვალს ქალაქ მოსკოვში გამართული ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა „პროდ-ექსპროც“ კმარა, სადაც კომპანიის ღვინო „ხვანჭკარამ“ ოქროს მედალი, ხოლო „წინანდალმა“ და „მუკუზანმა“ უმაღლესი ხარისხის დიპლომები დაიმსახურა.



წარმატება, რომელსაც „თბილღვინომ“ მიაღწია, საწარმოს ახალ მენეჯერებთან ერთად, იმ ერთობლივი პროექტების შედეგიცაა, რომელიც კომპანიაში, უცხოელი პარტნიორების დახმარებით, პერმანენტულად ხორციელდება. თუმცა, ამაზე ქვემოთ...

იხ. მე-4 გვ.

ცხელი თემა

## ვისი იქნება რუსეთი 50 წლის შემდეგ

### და აფხაზების „პასპორტიზაციის“ პრობლემა

იხ. მე-3-4 გვ.

ინტერპანორამა

**უპრეცედენტო** გაქცევა მოაწყვეს ბერძნული ტანკერ „ჯენლილის“ ქართული ეკიპაჟის“ წევრებმა. ტანკერი 2002 წლის ივლისში ხელში ჩაიგდეს მეკობრეებმა სომალის სანაპიროებთან.



**ერაყმა** გაეროს ინსპექტორებს გადასცა დოკუმენტები თავის ბირთვულ და ბიოლოგიურ იარაღზე.

ასე დასრულდა კვირას გაეროს კომისიისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელების მოლაპარაკება ერაყის ოფიციალურ პირებთან.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 37, ორშაბათი, 10 თებერვალი, 2003 წელი.

პრეზიდენტი

# „ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციამ უფრო კომპლექსური ხასიათი უნდა მიიღოს“

(პირველი გვერდიდან)

თათბირზე ისაუბრეს, აგრეთვე, ფოთის პორტის რესტრუქტურიზაციის დასრულების შესახებ, რაც კიდევ უფრო გაზრდის ტვირთბრუნვას ამ ნავსადგურში, განიხილეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარების საკითხები, იმსჯელეს ყარსი-ახალქალაქის პროექტის განხორციელებისა და საქართველოს პორტებიდან ახალი საბორნე ხაზების ათვისება-განვითარებაზე.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ტრასეკას 10 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართება კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროექტში შემავალი ქვეყნების მეთაურები. თათბირზე, ამავე დროს, აღინიშნა ისიც, რომ აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატების როლის გააქტიურება როგორც ტრასეკას, ასევე დიდი აბრეშუმის გზის პროექტებში. საჭიროა, აგრეთვე, აქტიური მუშაობა ჩინეთთან, რათა ეს ქვეყანა სერიოზულად იყოს ჩაბმული აღნიშნული პროექტების განხორციელებასა და განვითარებაში.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ყურადღება მიაპყრო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სეგმენტის მნიშვნელობას საბიუჯეტო შენატანების თვალსაზრისით. მან, აგრეთვე, ილაპარაკა რკინიგზის რესტრუქტურიზაციის საკითხზე, ასევე ტელე და რადიოსიგნალების მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელების აუცილებლობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, თუ გავითვალისწინებთ იმ დონეს, რომელზეც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების დარგი გასული საუკუნის 90-იანი წლების შუალედში იმყოფებოდა, დღეისათვის ძალიან დიდი ძვრებია მომხდარი. „ქვეყანა აღიარებულია სატრანზიტო სახელმწიფოდ, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — ბევრი რამ, რაც ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნებოდა, დღეს უკვე რეალობაა. დიდი აბრეშუმის გზა უკვე ფუნქციონირებს. მისასალმებელია, აგრეთვე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ აღებული გეზი პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით. ჩანს, რომ ეს გენერალური კურსი სამინისტროს საქმიანობაში ნათლად გამოიკვეთა.“

ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება მიაპყრო იმ აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებიც სამინისტრომ უნდა განახორციელოს თანამედროვე კონკურენციის პირობებში. „ჩვენ საკმაო გამოცდილება დავაგროვეთ, მაგრამ ახლა მნიშვნელოვანია, რა ტემპით ვიმუშავებთ, რამდენად სწრაფად და ოპერატიულად გადავწყვეტთ იმ ამოცანებს, რომლებიც დარგის წინაშე დგას, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — ჩვენ დაგვიანების უფლება არ გვაქვს, სწრაფი ტემპით უნდა მივიღოთ კონკრეტული გეგმა, გათვლილი ღონისძიებების ნუსხა, რათა თანამედროვე, სწრაფი განვითარების ტემპს არ ჩამოვრჩეთ.“



**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

ვიზიტის წინ

# საქართველოს ეწვევა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

11 თებერვალს საქართველოს ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იაშარ იაქიში. 2002 წლის 3 ნოემბერს თურქეთში გამართული პარლამენტის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, ეს თურქეთის ახალი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლის პირველი ვიზიტია ჩვენს ქვეყანაში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ორ სახელმწიფოს შორის არსებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

ვიზიტის პირველ დღეს იაშარ იაქიში შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს. დაგეგმილია ორი ქვეყნის მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია.

შეხვედრების ფარგლებში მხარეები განიხილავენ რეგიონულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების დაჩქარების შესაძლებლობას, საერთაშორისო ანტიტერორისტულ კამპანიაში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს, სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის პროცესში თურქეთის ხელისუფლების მხარდაჭერის საკითხებს.

ოფიციალური ვიზიტის მეორე დღე დაეთმობა შეხვედრებს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრთან მალხაზ კაკაბაძესთან, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული სამხედრო აკადემიის კურსანტებთან.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოდან 13 თებერვალს გაემგზავრება.

**საქინფორმი.**

## იაშარ იაქიში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი



**დაიბადა 1938 წელს თურქეთის ქალაქ აქჩაქოჩაში. ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა იაქიშმა 1962 წელს მუშაობა დაიწყო თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იგი მსახურობდა თურქეთის ანტვერპენის გენერალურ საკონსულოში, დამასკოში, რომში, ლაგოსში და თურქეთის მუდმივ წარმომადგენლობაში ნატოში.**

**1988 წელს იაშარ იაქიში ასრულებდა თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობას ერ-რიადში. 1992–95 წლებში მუშაობდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ეკონომიკური განხრით. 1995 წელს იყო თურქეთის ელჩი კაიროში. ხოლო 1998 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენის ოფისში ასრულებდა თურქეთის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობას.**

**2001 წელს იაშარ იაქიშმა დიპლომატიურ სამსახურს თავი დაანება და თავისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო, როგორც „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა. დღეისათვის იგი პარტიაში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მოვალეობას ასრულებს.**

**თურქეთსა და არაბულ სამყაროს შორის არსებული ურთიერთობის გაღრმავების პროცესში შეტანილი პირადი წვლილისათვის საუდის არაბეთის ხელისუფლებამ იაშირ იაქიში მეფე აბდულაზიზის ორდენით დააჯილდოვა.**

**იაშარ იაქიშს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი და პუბლიკაცია ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით, აგრეთვე იგი არის ავტორი წიგნისა — „წყლის საკითხები თურქეთს, სირიასა და ერაყს შორის“, რომელიც შემდგომში თურქეთის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ გამოაქვეყნა თურქულ და ინგლისურ ენებზე.**

**„სამართლიანობისა და აღორძინების“ პარტიულ სიაში იაშარ იაქიში დუზჯეს რაიონიდან მოხვდა.**

**2002 წლის 18 ნოემბერს იგი დაინიშნა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრად.**

**ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.**

**ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და არაბულ ენებს.**

თვალსაწიერი

# კოხტასთავის შეთქმულება XXI საუკუნისებურად

(პირველი გვერდიდან)

ეს სქემები ერთმანეთს მხოლოდ იმით ჰგავს, რომ ერთი და იგივენი არიან მოქმედი პირნი, თორემ საბოლოო შედეგით იმდენად განსხვავდება, ვერ გაიგებ, მაგალითად, მეორე ვარიანტით, რა რჯიდა ავთანდილ ჯორბენაძეს საშეთქმულებოდ, თუ „ძირითად შემადგენლობაში“ ვერ მოხვდებოდა, ან ლადო ჭანტურია ესწრებოდა დაგეგმვა-განაწილებას თუ საიდუმლო თათბირზე თავისი უფლებების რომელიმე შეთქმულზე დელეგირება მოახდინა, ან პრეზიდენტად სულაც კოოპტაციის წესით ხომ არ გავიდა?

ახლა ერთი წმინდა იურიდიული მომენტიც: რაკი პროკურატურა მაინც იძიებს ამ კოხტასთავის შეთქმულების XXI საუკუნისეულ ვარიანტს, ავთანდილ ჯორბენაძის ცოლშვილი შეთქმულებაში ბრალეულად ჩაითვლება თუ არა, რაკი პურ-მარილის შენიღბვით სუფრასთან მსხდომ ბოროტგანმზრახველთ ხაჭაპურს და ლიმონათს შემოუმატებდნენ ხოლმე?

აქ ჩვენს უიღბლო შეთქმულთ ერთი პატარა გამოცდილება უნდა მივაწოდო. კომუნისტური რეჟიმის დროს პოლიტბიუროს 3 წევრს უფლება არ ჰქონდა, ერთად შეკრებილიყო, თუ ეს გენერალურმა მდივანმა არ იცოდა, ამ შეკრების სულ პუნქტ-პუნქტად ჩამოკაკლულ მიზანთან ერთად. გაითვალისწინეთ ეს, ძმანო შეთქმულნო, და მაყრებივით ასე ჯგუფ-ჯგუფად ნუ ივლით სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად.

ეს ცნობა ჯერ არ მოენელებინა, რომ საზოგადოებას მეორე მოულოდნელობა დაატყდა: „ახალი მემარჯვენეების“ ოფისს თავს დაესხნენ „მუხებით“, ყუმბარმტყორცნებით, ავტომატური იარაღით და, თავისთავად ცხადია, დამბაჩებით შეიარაღებული უცნობნი და იქაურობა დაარბიეს.

ეს ამბავი გახმაურდა თუ არა, მთელი ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, ოპოზიციის ნაღები ერთიანად მოიგლიჯა და დარბეულთა მხარდასაჭერად გავარდა. თავისთავად ცხადია, მაშინვე ითქვა (დღეს ვის რას გამოაპარებ!), ეს ყველაფერი ხელისუფლების საქმეაო. მართალია ძალიან მალე გაირკვა (ან რა დიდი გასარკვევი ეს იყო, თავიდანვე ხომ იცოდნენ), რომ ხელისუფლების მიერ შეგულიანებული ხუნხუზები კი არ დასცემიან თავს, არამედ თვით ამ პარტიის ერთი ნაწილი — შინაური საქმეების გასარჩევად (პარტიებში, მოგეხსენებათ, საქმეები ძალზე ხმაურიანად ირჩევა ხოლმე). მაგრამ ახლების ლიდერთა მრისხანე განცხადებების ექო, ხელისუფლებას ჩვენი დაშინება უნდოდაო, ეს ტერორისტული აქტი და სამხედრო ოპერაციააო და ა. შ. აქამდე ხმიანობს და ვისაც არ ეზარება, ისევ წამოისვრის ხოლმე, ოღონდ თვით ახლები უკვე მორცხვად არიდებენ თავს თავიანთ სახელისუფლებო ვერსიას.

ეს ავბედითი კვირა იმით დამთავრდა, რომ მიხეილ სააკაშვილის დაცვამ დააკავა გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტი გიორგი უძილაური, შემდეგ — უარესი: სამთავრობო დაცვა გამოიძახეს და ასე, გაძლიერებული ბადრაგით მიიყვანეს მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაში. დიდმა დემოკრატმა და ხელისუფლების დიქტატურის წინააღმდეგ დაუღალავმა მებრძოლმა ასე გაუსწორა ანგარიში მის ოპონენტ ჟურნალისტს. საბედნიეროდ, საკრებულოს თავმჯდომარის შურისძიებას აღსრულება არ ეწერა — პოლიციამ ჟურნალისტი მალე გაათავისუფლა.

ოღონდ, ეს შემთხვევა უმალ თავისებურად გამოიყენეს დემოკრატიული აღორძინების კავშირის ლიდერებმა ცოტნე ბაკურიამ და ჯონდი ბაღათურიამ და შაბათს პრესკონფერენციაზე ენაწყლიანად ილაპარაკეს, თუ რა მჭიდრო ალიანსშია საქართველოს ხელისუფლებასთან ნაციონალური მოძრაობა, რომელიც პირდაპირ შეკვეთებს იღებს, რომ შევარდნაძე-სააკაშვილის ფარული თანამშრომლობა ძალიან საშიშ ფაზაში შევიდა, სააკაშვილი დღეს არის შევარდნაძის საყვირი, რომელიც ახმოვანებს მის გეგმებს და ზრახვებს, რომ არსებობს შევარდნაძისა და სააკაშვილის მიერ შედგენილი სია შურისძიების ობიექტებისა, განსაკუთრებით კი პოლიტიკური პერსონებისა და ჟურნალისტებისა...

...ენას ძვალი არ აქვს!

ერთი სიტყვით, რაც გინდა მოხდეს, ხელისუფლებას აუცილებლად ზედ „წააკლავენ“ ქათამივით. მაგალითად, შაბათს რომ ბორის კაკუბავა ზუგდიდელებმა კინწისკვრით გამოაგდეს იქიდან, მას და ჯემალ გოგიტიძეს რომ ჰკითხო, ისიც ხელისუფლების მოწყობილი ყოფილა. არადა, „ბორია რუსეთის პრასტიტუტკა, ერთ საათში დაახვიე აქედანო“, გააფთრებული დევნილები რომ უძახდნენ და კინაღამ ყურისძირშიც გასცხეს, ყველამ ვნახეთ ტელევიზიით.

მადლობა ღმერთს, ზამთარი ხერხემალში გადატყდა. 11 თებერვალს პარლამენტის საგაზაფხულო სესია იწყება და ცოტა სამხიარულო-საღადავო გაუჩნდება ამ პირქუში ყოფით გულშეღონებულ ხალხს. თანაც ბატონი ვიტალი ხაზარაძე რაღაც არაჩვეულებრივ სკანდალურ განცხადებას გვპირდება!..

**ალეკო ასლანიშვილი.**

კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი გია თევზაძე.**

## ქვეყნისთვის

— საპარლამენტო არჩევნების მოახლოება უკვე იგრძნობა, მაგრამ სამწუხაროდ, არა იმ ფორმებით, როგორიც ხალხს იმედს ჩაუსახავს, არამედ მიუღებელი პროვოკაციებით და განცხადებებით. პოლიტიკური დებატები — იქნება ეს სხვადასხვა პლატფორმაზე მყოფი ძალებისა თუ თანაპარტიელთა ურთიერთობა, არ უნდა გადაიქცეს რბევად და ფიზიკურ ანგარიშსწორებად. ამიტომ, ალბათ, მიუღებელია ის, რაც ამასწინათ „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში მოხდა. ასევე მიუღებელია ის განცხადებებიც, რომლითაც მოსახლეობამ შეიტყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ. ეჭვებს, არგუმენტებსა და ფაქტებს, უწინარესად, ერთმანეთთან კავშირი, პოლიტიკურ გა-



ნცხადებებს კი მყარი ფაქტობრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს. პოლიტიკოსი არ გახლავარ და ამიტომ აღნიშნული ფაქტების ხმამაღლა შეფასებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, — პოლიტიკოსებს მეტი პასუხისმგებლობა არ აწყენდათ.

ხალხის, ელექტორატის რეალური საქმეებით მიზიდვა უფრო შეიძლება, ვიდრე პოლიტიკური პროვოკაციებით და ცრუ დაპირებებით.

## ჩემთვის პირადად

— მოგეხსენებათ, რუსთაველის თეატრი სარემონტო სამუშაოების გამო დახურულია და ჩვენი დასი „სამეფო უბნის თეატრში“ მუშაობს. სულმოუთქმელად ველი 15-16 თებერვალს, როდესაც ამ შეუჩვეველ სივრცეში წარმოვადგენთ სპექტაკლს „გოდოს მოლოდინში“. სწორედ ეს მოვლენა და წინასარეპეტიციო მუშაობა, რომელსაც რობერტ სტურუა წარმართავს, იყო მნიშვნელოვანი თეატრის კოლექტივისთვის და პირადად ჩემთვისაც.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ცხელი თემა

# ვისი იქნება რუსეთი 50 წლის შემდეგ

## და აფხაზების „პასპორტიზაციის“ პრობლემა

**რუსეთის მოქალაქეობის მიღება არც ისე მარტივია, როგორც აფხაზეთში „პასპორტიზაციის“ ავანტიურისტმა ავტორებმა გაბითურებულ აფხაზებს წარმოუდგინეს: დაწერ განცხადებას, ჩაგიკრავენ რაღაც დოკუმენტს საბჭოთა პასპორტში და — „არის, აღსრულდა ოცნება, არის, აღსრულდა მიზანი“ — რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ბრძანდები: „ანტრე, ბატონო!“, დემოკრატიულ რუსეთში, რომლის კარი ყველასთვის ღიაა.**

არის კი ღია?

გულახდილად გითხრათ, ღიაა თუ არა, მეც ისე მაინტერესებს, როგორც თქვენ, რადგან... არ მაინტერესებს, ამიტომ იმას მოვუსმინოთ, ვინც არსებული ვითარებით ძალიან შეწუხებულია.

ვინ არის შეწუხებული?

ბორის ნემცოვი, ჩვენი „ახალი დემოკრატების“ მსგავსი რუსული პარტიის პროვინციელი ლიდერი ირინა ხაკამადასთან ერთად, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება.

რა აწუხებს ბორისს?

აწუხებს ბორისს ის, რომ სულ მალე რუსეთი რუსებისა აღარ იქნება.

ქვემოთ — ციტატების რიგი მისი წერილიდან „საუბარია რუსეთის ბედზე“... ჟურნალ „ოგონიოკის“ მეოთხე ნომრიდან.

ნემცოვს მდგომარეობა იმდენად საგანგაშოდ მიაჩნია, რომ **„თუ არაფერი ვიღონეთ, დემოგრაფების პროგნოზით, 50 წლის შემდეგ რუსეთის მოსახლეობა 75-80 მილიონი ადამიანით შემცირდება. ასეთ სივრცეებს ასე მცირერიცხოვანი მოსახლეობით ვერ შევინარჩუნებთ“.**

ასეთი შეშფოთება გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, მოსალოდნელი აგრესიით, შემოჭრით, ისტორიული გამოცდილებით, გნებავთ რუსეთის, გნებავთ, საბჭოთა სინამდვილიდან.

**„დემოგრაფიულ რუკას თუ დავხედავთ,** — განაგრძობს ბორის ნემცოვი, — **დავინახავთ, რომ ჩინეთში მოსახლეობის სიმჭიდროვის უმაღლეს დონეს მხოლოდ საზღვრის ვიწრო ზოლი აშორებს ციმბირის უკაცრიელობას“.**

კიდევ რამდენ ხანს გაუძლებსო, — ასეთ დაწოლას ეს სუსტი „კამხალი“? — სვამს იგი რიტორიკულ შეკითხვას.

თავი დავანებოთ ჩინელებს, რომელთა შორის 250 მილიონი უმუშევარია (რუსეთის მოსახლეობაზე ორჯერ მეტი), 500 მილიონი ღატაკი (თვეში 10-დან 50 დოლარამდე შემოსავლით), ვისთვისაც რუსეთის აუთვისებელი მიწები ელდორადო თუ არა, მასზე ნაკლები მიზიდულების ძალის მქონე „სამოთხე“ ნამდვილად არ არის.

**ნემცოვს უფრო ის აწუხებს, რომ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ 20 მილიონ რუსს არსებული კანონმდებლობა უაღრესად ურთულებს რუსეთის მოქალაქეობის მიღებას.**

მიაქციეთ ყურადღება — რუსი მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერს რუსეთის მოქალაქეებად რუსების მიღების პრობლემა აწუხებს.

რუსების! არა აფხაზების!




**„ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, რუსეთის მოქალაქე რომ გახდეთ, ექვსი-შვიდი წელიწადია საჭირო. ადამიანმა ჯერ უნდა მიიღოს ცხოვრების უფლება** (Вид на жительство). **მისი გაფორმების პროცედურას რამდენიმე თვე სჭირდება. თანაც, ამის უფლებას, მოგცემენ მხოლოდ მაშინ, თუ გაქვს სამუშაო. სამუშაოს მიღება კი მოქალაქეობის არმქონისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია... შემდეგ ერთ წელიწადს ამ უფლებით** (Вид на жительство) **ცხოვრობთ და მხოლოდ ამის შემდეგ გეძლევათ უფლება, დაწეროთ განცხადება მოქალაქეობის მიღების თაობაზე. განცხადების დაწერიდან მოქალაქეობის მიღებამდე დისტანცია ხუთ წელიწადზე ნაკლები არ არის“.**

ხომ წაიკითხეთ ეს ციტატა? ახლა მიპასუხეთ, არის თუ არა ავანტიურა (უკანონობასა და ანექსიაზე აღარაფერს ვამბობ) ის, რასაც ჩვენ აფხაზეთის „პასპორტიზაციას“ ვუწოდებთ, და არიან თუ არა იგივე აფხაზები ამ ავანტიურის ავტორების მიერ გაბითურებულ-მოტყუებულები?

თუმცა, რა ვიცი, როგორც რუსეთის პრესა წერს, დღევანდელ რუსეთში ყველაფერია შესაძლებელი: გარკვეულ დონეებზე გააქტიურებული ქორები რუსეთის ხელისუფლებას არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობების საყოველთაოდ აღიარებულ და დაკანონებულ წესებს არღვევინებენ, არამედ საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობასაც.

ამიტომ სავსებით მართებული იყო, როცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ კიევის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს სხვა პრობლემებთან ერთად, „პასპორტიზაციის“ საკითხი რომ დააყენა.

ჩვენ, ცოტა არ იყოს, გაგვაოცა პუტინის გაურკვეველმა პასუხმა, რომელიც შეიძლება ასე ითარგმნოს — „კი, მაგრამ — არა“. უდავოა, რომ პუტინი არა მარტო გონიერი პოლიტიკოსია, არამედ სწრაფადაც აზროვნებს და, ცხადია, მიხვდა, რომ მისი ჩინოვნიკები უხეშად და ცინიკურად არღვევდნენ მისივე ქვეყნის კანონებს, მაგრამ ამის აღიარება, ჩანს, ბოლომდე ვერ შესძლო თუნდაც პირისპირ საუბარში.

ან, იქნებ, აღიარა და ჩვენ არ ვიცით?.. სამაგიეროდ ვიცით, რომ მან დაავალა სპეციალისტებს, გაერკვნენ და მოახსენონ. ვადაც განსაზღვრულია.

დაველოდოთ, ცოტაღა დარჩა.

მოქალაქეობის თემის ეს ნაწილი რომ ამოვწუროთ, ისიც უნდა ვთქვათ, თუ რისთვის იღვწის ასეთი თავგამოდებით რუსი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი ნემცოვი.

იღვწის რუსეთის მოქალაქეობის კანონის შემსუბუქებისათვის. ლოზუნგი მარტივი და პატრიოტულია: ასე თუ არ მოვიქეცით, „ჩვენ შეიძლება ქვეყანა დავკარგოთ...“ მაგრამ ამ სიმარტივეში არის დაუფარავი ქვეტექსტიც: „მოქალაქეობის კანონის შესახებ“ იმ შესწორებებში, რომელთა მიღებას რუსეთის სახელმწიფო სათათბირო აპირებს, აშკარად ველიკოდერჟავული მისწრაფებანი და აგრესიული სეპარატიზმის გალაღების იმპულსები დევს.

ამიტომ არის საჭირო განსაკუთრებული სიფრთხილე ჩვენის მხრიდან და — ოპერატიულობა.

თუმცა, ეს უკვე სპეციალისტების, პროფესიონალების საქმეა და ნუ შევიჭრებით მათ სამოღვაწეო სივრცეში.

სხვა პრობლემა გავარჩიოთ: **რად შეიძლება შემოუტრიალდეს თვით რუსეთს მოქალაქეობის შესახებ კანონში შეზღუდვების მოხსნა, თუნდაც გამარტივება?**

ამთავითვე ვაცხადებ, რომ ყველაფერი ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ კომპილაციური მასალაა, რუსული პრესიდან ამოღებული — ფაქტებიც და დასკვნებიც რუსი კოლეგების არის. დარწმუნებული ვარ, პატივცემულო მკითხველებო, რომ ასე თქვენ უკეთ დაინახავთ, თუ რა ყულფში აქვს თავი გაყოფილი რუსეთს, რა საშიშროებად შეიძლება შემოუბრუნდეს მას რუსეთის მოქალაქეობამიღებული აფხაზი სეპარატისტების (ცხადია, არა მარტო მათი) შეუზღუდავი გადაადგილება, თუნდაც რუსეთის დედაქალაქისაკენ.

**„2050 წლისათვის დედაქალაქში რუსები აღარ იქნებიან“, — ასეთია რუსული პრესის პუბლიკაციების მთავარი საწუხარი და უბედურება.**

იხ. მე-4 გვ.

## მოქალაქეთა დაბადებისა და სიკვდილიანობის ინტენსივობა მოსკოვში




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 37, ორშაბათი, 10 თებერვალი, 2003 წელი.

ცხელი თემა

# ვისი იქნება რუსეთი 50 წლის შემდეგ

## და აფხაზების „პასპორტიზაციის“ პრობლემა

(მესამე გვერდიდან)

ცნობილია, რომ მოსკოვი უხსოვარი დროიდან მიგრანტების დედაქალაქი იყო. ადრიდანვე უკვე ჩამოყალიბებული იყო დასახლებები და უბნები, სადაც სომეხი, ქართველი, თათარი მოსახლეობა სჭარბობდა, აგრეთვე, დასავლეთ ევროპიდან (ნემეცკაია სლობოდა), ბელორუსიიდან და ლიტვიდან (მეშჩანსკაია სლობოდა) გადმოსახლებულები. განსაკუთრებით მჭიდრო დასახლებით გამოირჩეოდნენ ებრაელები, სომხები და თათრები.

მეოცე საუკუნის ბოლოს გაჩნდა ადგილები, სადაც კომპაქტურად სახლობენ ჩინელები (ოჩაკოვო, ავტოზავოდსკაია), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ჩამოსულები (საველევსკაია, დომოდედოვსკაია, პლანერნაია) და აზერბაიჯანელები (იზმაილოვო). სომხები კვლავ სამხრეთ-დასავლეთს ამჯობინებენ, სოლნცევოს ჩათვლით, ხოლო ქართველები მარინა როშჩაში არიან თავმოყრილები.

არიან და იყვნენ!

მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის.

რუსმა გენეტიკოსებმა შეისწავლეს პრობლემა — ვის მიჰყვებიან ცოლებად მოსკოველი ქალები და ფრიად და ფრიად დამაფიქრებელ (რუსებისათვის) დასკვნამდე მივიდნენ:

**„თუ საიდუმლო ცხრილს ვენდობით,** — ნათქვამია ერთ-ერთ პუბლიკაციაში, — **მაშინ ნახევარი საუკუნის შემდეგ რუსი ადამიანის ნახვა მოსკოვში ისევე ძნელი იქნება, როგორც დღეს მარხილიანი იაკუტისა ტვერის პროსპექტზე... ჩვენი შვილთაშვილები აღიარებენ ყურანს, ბრინჯს პატარა ჯოხებით მიირთმევენ, დალევენ კუმისს, ხელებს სალათზე შეიწმენდენ, მაგრამ ცხვირსახოცის ნაცვლად კვლავ სახელოს გამოიყენებენ. მოსკოველი მეცნიერების ვარაუდით, 2050 წლისთვის დედაქალაქი ჩეჩნებითა და ინგუშებით იქნება დასახლებული. შობადობის და ჩამოსულთა მოდინების ოფიციალური სტატისტიკის გათვალისწინებით, მათი რაოდენობა 44 პროცენტს მიაღწევს. დაღესტნელები, აზერბაიჯანელები, ტაჯიკები, ყაზახები და ქართველები კავკასიიდან მიგრირებულთა რაოდენობას 60-80 პროცენტამდე გაზრდიან.**

**დღეს უკვე 22 პროცენტი ქორწინებებისა შერეულია“.**

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ოლღა კურბატოვას დაკვირვებით, ძირძველ მოსკოველ ქალებს შორის შობადობამ კატასტროფულად იკლო: „ქრება ნათესავ-მოყვრობის მთელი სისტემა. უკვე აღარ არიან ბიძიები, დეიდები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ასე შემდეგ. მუსულმანებს შორის კი მიღებულია მრავალშვილიანობა — არანაკლებ ოთხი შვილისა. მაშასადამე, ორნი ოთხს შობენ, ნამატი ორმაგდება.

რით ემუქრება ეს რუსეთის დედაქალაქს?

იმით, რომ მოსკოველთა გენოფონდს მალე ჩაენაცვლება ჩამოსულთა გენოფონდი (მიაქციეთ ამას ყურადღება, ჩვენო მკითხველებო, ამას და მომდევნო ციფრებსა და არგუმენტებს).

**„ეროვნებათშორისი ქორწინების რაოდენობა 1917 წელთან შედარებით დღეისთვის მოსკოვში ხუთჯერ (!) გაიზარდა. ოქტომბრის გადატრიალებამდე მართლმადიდებელ ქალიშვილებს ეკლესია მუსულმანებთან დაქორწინებას უკრძალავდა. დღეს გლობალიზაციაა. არ მჯერა, რომ შერეული ქორწინების ნაშიერნი რუსებად ჩაითვლებიან“.**

ჩვენ რა ვქნათ, ვისაც რუსეთში ჩასვლა მხოლოდ ვიზებით შეგვიძლია. აღვშფოთდეთ? აღვშფოთდეთ ამ რასობრივი სიწმინდის შოვინიზმის გამო? მაგრამ ხომ შევთანხმდით, რომ წერილის ამ ნაწილში რუსული პრესის პუბლიკაციებს უკომენტაროდ შემოგთავაზებთ?

შევთანხმდით.

მაშ, უარესისთვის მოემზადეთ:

**„ამას გარდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან და ამიერკავკასიიდან მიგრანტებისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი გენეტიკური ანომალიებისა. თუმცა, მათთვის ეს ანომალია არ არის. ერთ-ერთია — გენი, რომელიც უჯრედის ნამგლისებრ ანემიას იწვევს. ეს არის ავადმყოფობა, როცა ერითროციტები იშლება და სისხლი „კვდება“. მეორე გენი ჰემოგლობინის სტრუქტურას ცვლის. და თუ ბავშვს ორივე ეს გენი აღმოაჩნდება, იგი მოკვდება. სამხრეთელ მეზობლებს ეს ორი გენი-მუტანტი მალარიისგან იცავს. ჩვენ რაში გვჭირდება?“**

ამის შემდეგ მთლად დაუფარავად საუბრობენ ძლიერ რასაზე. ილაპარაკონ, წერონ, ამჯერად, მოდით, ეს ნუ შეგვაწუხებს. ამით მხოლოდ საკუთარ თავს ამჟღავნებენ. ჩვენ ის დავიხსომოთ, თურმე რამდენად საშიშნი არიან, სასიკვდილოდ საშიშნი, სამხრეთელები რუსებისათვის.

ბოლოს — აპოთეოზი:

**„ახლახან რუსმა და ამერიკელმა გენეტიკოსებმა გაარკვიეს, რომ რუსეთის მოსახლეობის ვიჩ-ინფექციით საყოველთაო დაავადების შემთხვევაშიც კი, მათი 14 პროცენტი ჯანმრთელი დარჩება. გაირკვა, რომ რუსების სისხლში არის გარკვეული სახის მუტირებული გენი (CCR5), რომელიც საშუალებას არ აძლევს იმუნოდეფიციტის ვირუსს დააავადოს უჯრედი. კავკასიელებში ასეთი გენი იშვიათობაა. ქართველებს საერთოდ არა აქვთ. მოსკოველებს კი — რამდენიც გნებავთ. მაგრამ თუ მოსკოველი ქალიშვილი ქართველისგან შობს შვილს, მაშინ მისი შთამომავალნი საერთოდ დაკარგავენ ვიჩ-ინფექციისგან თავდაცვის გენეტიკურ თვისებას“.**

ამას რომ წაიკითხავ, ძალაუნებურად შესძახებ: რუსებო, ხელები შორს ქართველებისგან, ამ საშიშ და სასიკვდილო ბიოლოგიური იარაღისგან, რომელიც სადამ ჰუსეინის ლაბორატორიებში დამზადებული მასობრივი განადგურების საშუალებებზე, როგორც ხედავთ, გაცილებით ძლიერი და სასიკვდილოა!

მაგრამ ვის შევუძახო? არც პარლამენტის მიკროფონთან ვდგევართ, არც დემაგოგიური ემოციები მაქვს ყელში მობჯენილი.

სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს.

ქართველებთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს სამხრეთელი ხალხი — აფხაზები ვიზების გარეშე მოსკოვში რომ ჩაუსახლდებიან, როგორც მათი თანამემამულეები (ვითომ ცუდ სიზმარს ვნახულობთ და — დავუშვათ), ნაკლებ უბედურებას დამართავენ შავულვაშა მამაკაცებზე გულშევარდნილ ქალებს და, აქედან გამომდინარე, რუსეთის დედაქალაქს?

მეტს თუ არა!

რასობრივი სიწმინდის დაცვის ესესაა გადმოცემულ აპოლოგიაში აფხაზეთი სულ სხვა მიზნითა და სულ სხვა კუთხით თავსდება.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ვლადისლავ არძინბას საკმაოდ ცნობილი დებულება გავიხსენოთ — აფხაზეთი, როგორც თავისუფალი ტერიტორია...

თავისუფალი — აფხაზებისგან და, რა თქმა უნდა, ქართველებისგან.

რუსეთის ქორებს, დერჟავინკებს აფხაზეთის ტერიტორია აინტერესებთ: ქართველობა იქიდან დევნილია, აფხაზთა გენოფონდი ომისგან და გაჭირვებისგან განახევრდა. კიდევ ერთი „პატარა“ ომის პროვოცირებაა საჭირო და ცოტა ხანში სოხუმის სანაპიროზე აფხაზის დანახვა ისეთივე საოცრება იქნება, როგორც მარხილიანი იაკუტისა წითელ მოედანზე.

**არმაზ სანებლიძე.**

### ეროვნებათშორისი ქორწინების პროცენტული თანაფარდობა მოსკოვში

| ქორწინების ტიპი | 1955 | 1980 | 1994-1995 | ქორწინების ტიპი | 1955 | 1980 | 1994 -1995 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსი კ. - უკრაინელი ქ. | 10,10 | 10,70 | 11,39 | რუსი ქ. - უკრაინელი კ. | 22,89 | 19,15 | 13,29 |
| რუსი კ. - სომეხი ქ. | 0,21 | 3,323 | 2,69 | რუსი ქ. - სომეხი კ. | 2,89 | 4,23 | 11,87 |
| რუსი კ. - თათარი ქ. | 3,30 | 6,97 | 3,01 | რუსი ქ. - თათარი კ. | 2,06 | 6,22 | 3,64 |
| რუსი კ. - ებრაელი ქ. | 3,92 | 2,74 | 2,53 | რუსი ქ. - ებრაელი კ. | 10,31 | 7,96 | 4,43 |
| რუსი კ. - ბელორუსი ქ. | 5,57 | 3,23 | 2,69 | რუსი ქ. - ბელორუსი კ. | 9,28 | 4,98 | 1,74 |
| რუსი კ. - მორდოველი ქ. | 2,68 | 1,99 | 0,95 | რუსი ქ. - მორდოველი | 1,65 | 0,75 | 0,16 |
| რუსი კ. - ქართველი ქ. | 0,62 | 0,75 | 1,27 | რუსი ქ. - ქართველი კ. | 1,24 | 1,74 | 8,70 |
| რუსი კ. - აზერბაიჯანელი | 0,41 | 0,25 | 0,63 | რუსი ქ. - აზერბაიჯანელი | 1,03 | 2,49 | 6,80 |
| რუსი კ. - კავკას.სხვ. ხალხი ქ. | 0,00 | 0,75 | 1,74 | რუსი ქ. - კავკას. სხვ. ხალხი კ. | 0,21 | 1,00 | 4,43 |
| რუსი კ. - სხვა ქ. | 3,71 | 8,71 | 5,06 | რუსი ქ. - სხვა კ. | 11,34 | 6,22 | 6,01 |
| სულ | 30,52 | 39,30 | 31,96 | სულ | 62,89 | 54,73 | 61,07 |

| წელი | 1955 | 1980 | 1994-1995 |
|---|---|---|---|
| სხვა ხალხთაშორისი ქორწ. | 6,60 | 5,97 | 6,96 |
| ( ხალხთაშორის ქორწინება | 15,10 | 16,82 | 22,09 |

ქართული ბიზნესი

# „თბილღვინო“ — იცნობენ, აღიარებენ, ენდობიან!

## უცხოელი ექსპერტები კომპანიას დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ

(პირველი გვერდიდან)

### „სერმას“ პროექტი — „თბილღვინოს“ წარმატების პირველი ეტაპი

„სერმას“ პროექტი, როგორც მას შემოკლებით უწოდებენ, საქართველოში უკვე ხუთი წელია, მიმდინარეობს. ის მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსდება და კერძო საწარმოებს მენეჯმენტის გაუმჯობესებაში ეხმარება. 1998 წლის ბოლოს „თბილღვინოს“ ახალი მენეჯერები „საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და დახმარების ცენტრს“ უკავშირდებიან და მის ექსპერტებს კომპანიაში კონსულტანტებად იწვევენ. ის, რაც ექსპერტებს საწარმოში დახვდათ, წარმატების პერსპექტივას ვერანაირად ვერ იძლეოდა. „სერმას“ პროექტის აღმასრულებელი დირექტორი, ნანა ადეიშვილი იხსენებს: „მახსოვს, იმხანად „თბილღვინოს“ ძირითადი შემოსავალი ხაზის გაქირავება იყო. მას დაბალი ხარისხის მარაგები ჰქონდა შემორჩენილი და მათი გაყიდვა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. როცა კომპანიის ხელმძღვანელები ჩვენთან მოვიდნენ, საკითხი ასე დაგვიყენეს — გაგვიყიდეთ ეს მარაგები! თუმცა, შემდეგ, როდესაც საწარმოს დიაგნოსტიკა ჩავუტარეთ, გაყიდვების გარდა, ბევრი სხვა პრობლემაც აღმოვაჩინეთ. ქარხნის მენეჯმენტი რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდა“.

მართლაც, კომპანიაში მოწვეულმა ექსპერტებმა ქარხნის სტრუქტურა და პრობლემები საფუძვლიანად შეისწავლეს, დაამუშავეს რესტრუქტურიზაციის გეგმაც, რომლის მიხედვითაც კომპანიის მენეჯერებს საწარმოს სტრატეგია უნდა შეეცვალათ, დაეხვეწათ მენეჯმენტი და გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი. აგრეთვე, საფუძვლიანად შესაცვლელი იყო ექსპორტის სტრატეგიაც. „ცვლილებები „თბილღვინოში“ იოლად არ განხორციელებულა. მახსოვს, თავად საწარმოში იყვნენ ადამიანები, ვინც ამ პროექტს სკეპტიკურად უყურებდნენ და ამის გამო ახალ ხელმძღვანელობასაც უპირისპირდებოდნენ. ამიტომაც, საჭირო იყო პროექტის ეტაპობრივად განხორციელება — კომპანიის მენეჯმენტი ნელ-ნელა შეიცვალა, რის შემდეგაც ქარხნის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და საბრუნავი კაპიტალი გაუჩნდა,“ — იხსენებს ნანა ადეიშვილი.

დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ „თბილღვინოში“ „სერმას“ მიერ განხორციელებული ცვლილებები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით, „თბილღვინო“ თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი პერსპექტიული საწარმო გახდა, რომლის პროდუქციის რეალიზაციაც, საქართველოს გარდა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება.

### „პროვაინ-2002“ — „თბილღვინო“ დასავლეთის ბაზარმა დააჯაშნიკა!

„სერმას“ პროექტის დასრულების შემდეგ კომპანია „თბილღვინომ“ ქართულ ბაზარს თექვსმეტი სხვადასხვა დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინო შესძინა. „ბახუსი“, „საჩინო“, „გურჯაანი“, „საფერავი“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „ოჯალეში“ — ეს არის მოკლე ჩამონათვალი იმ ღვინოებისა, რომელსაც ქართველი მომხმარებელი უკვე შესანიშნავად იცნობს. ბევრი მათგანი განსხვავებული, მხოლოდ „თბილღვინოსთვის“ ნაცნობი ტექნოლოგიით მზადდება და მათი ხარისხი სისტემატურად იხვეწება.

**ქართულ ბაზარზე „თბილღვინოს“ წარმატება ასე გამოიყურება:**

**2000 წლის იანვარი; კონკურსი „ქვევრი 2000“:** „ხვანჭკარა“ — ბრინჯაოს მედალი, „წინანდალი“ — ვერცხლის მედალი, „მუკუზანი“ — ოქროს მედალი და კონკურსის გრან-პრი.

**2000 წლის ნოემბერი; ფესტივალი „ვაზის საგალობელი“:** ღვინო „ბახუსმა“ — ბრინჯაოს, „ქინძმარაულმა“ — ვერცხლის, „ხვანჭკარამ“ კი ოქროს მედალი მოიპოვა.

**2002 წელი; ფესტივალი „ვაზის საგალობელი“:** სადეგუსტაციო კომისიამ წლის საუკეთესო თეთრ მშრალ ღვინოდ „თბილღვინოს“ „ბახუსი“ ერთხმად აღიარა. ამავე ფესტივალზე „თბილღვინოს“ წითელმა მშრალმა „საფერავმაც“, რომელსაც კომშისა და მსხლის არაჩვეულებრივი ტონები ურევია, სათანადო აღიარება მოიპოვა.

„თბილღვინოს“ უახლეს ისტორიაში კიდევ იყო რამოდენიმე პროექტი, რომელმაც მის წარმატებას სერიოზული ბიძგი მისცა. მათ შორისაა „საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის პროექტი“, რომელსაც გერმანიის მთავრობა აფინანსებს და მისი მიზანი ქართული წარმოების გერმანიის ბაზარზე მხარდაჭერაა. პროექტის დახმარებით, ქართული საექსპორტო პროდუქცია არაერთ საერთაშორისო ბაზრობასა და გამოფენაზე გამოჩნდა. პარალელურად, ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოთა მენეჯერებმა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, საერთაშორისო მარკეტინგის ტრენინგები გაიარეს.

„საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის პროექტის“ მენეჯერი, რაინერ კუბერა აცხადებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა სწორედ კომპანია „თბილღვინოში“ განხორციელდა. თავის მხრივ, კომპანიის ხელმძღვანელებიც აღიარებენ, რომ ამ პროექტის შემდეგ „თბილღვინო“ საერთაშორისო ბაზარზე პოზიციებს გეგმაზომიერად იმყარებს. კუბერას ძალისხმევის შედეგი იყო ისიც, რომ 2002 წელს „თბილღვინომ“ დიუსელდორფის უდიდეს საერთაშორისო სავაჭრო გამოფენაში, „პროვაინ-2002“-ში, მიიღო მონაწილეობა.

იხ. მე-9 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფინანსები

# კვანძის გახსნამდე დათვლილი დღეები რჩება

**საფინანსო ბაზრების მონაწილენი, ბოლო პერიოდის განმავლობაში დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარების გამო, ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების ხემლმძღვანელების განცხადებებზე უფრო დიდი ყურადღებით საგარეო საქმეთა მინისტრებისა და სამხედრო უწყების მაღალჩინოსნების გამოსვლებს ადევნებენ თვალ-ყურს. ამისი ნათელი დადასტურებაა გასული კვირაც, როდესაც საფინანსო ბაზრების ცენტრალური და წამყვანი თემა გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის გამოსვლა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები იყო.**

მართალია, გასული კვირის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დადებითმა მონაცემებმა საშუალება მისცა ინვესტორებს ცოტა ხნით მაინც დაევიწყებინათ ერაყის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო მოქმედებები, რამაც ახალი თვის პირველ სავაჭრო დღეს ძირითადი საფონდო ინდექსების მოკრძალებული ზრდა განაპირობა (Dow Jones 0.7 %-ით გაიზარდა 8109.82 პუნქტამდე, ხოლო Nasdaq-ი 0.2%-ით 1323.79 მაჩვენებლამდე), მაგრამ აქციების ბაზარი სახელმწიფო მდივნის უშიშროების საბჭოს წინაშე გამოსვლის მოლოდინში კვლავ ძლიერი ნერვული დაძაბულობის ქვეშ რჩებოდა, რაზეც ნიუ-იორკის ბაზრის დაბალი ვაჭრობის მოცულობაც მეტყველებს.

ერაყის გარშემო დაძაბულობის მატებამ ინვესტორებს დაავიწყა წინა დღეს გამოკვეთილი პოზიტიური ეკონომიკური ფაქტორები და ბაზრებს აჟიოტაჟის ახალმა ტალღამ გადაუარა.

ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე მოხსენებით წარსდგა. როგორც მოსალოდნელი იყო პაუელმა სხდომას წარუდგინა დაზვერვის მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ მტკიცებულებას, რომ, არღვევს რა გაეროს რეზოლუციას, სადამ ჰუსეინის რეჟიმი აგრძელებს მასობროვი განადგურების იარაღის შემუშავებასა და შენახვას. დამადასტურებლად შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მოიყვანა ერაყის მაღალ სამხედრო ჩინოსნებს შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელიც ნოემბრის ბოლოს, გაეროს ინსპექციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე შედგა. საუბრებში ნახსენებია აღჭურვილობის „ევაკუაციის“ და მის შემდგომ ტერიტორიის გასუფთავების შესახებ, რომელიც არ უნდა ნახონ გაეროს ინსპექტორებმა.

პაუელმა წარმოადგინა თანამგზავრიდან გადაღებული ფოტომასალაც, რომელიც, აგრეთვე, მოწმობს სამხედრო ობიექტების აღჭურვილობის „ევაკუაციას“. კერძოდ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აჩვენა ქიმიური იარაღის ბუნკერების ფოტოები. ერთ-ერთ ფოტოზე ბუნკერებს ქიმიური იარაღის შენახვისათვის საჭირო ყველა ნიშანი მკაფიოდ ეტყობა, იყო საშიშროების შესახებ გამაფრთხილებელი მინიშნებანიც, მაგრამ ეს ყველაფერი გაუჩინარდა 22 დეკემბრისათვის, როდესაც ადგილზე საერთაშორისო ინსპექტორები მივიდნენ.

კოლინ პაუელმა ასევე მიუთითა ბაღდადის კავშირთან „ალ-ყაიდას“ ტერორისტებთან და სხვადასხვა ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან მთელ მსოფლიოში.

პაუელის გამოსვლამ, ძლიერი გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე, რომელმაც სახელმწიფო მდივნის მიერ წარდგენილი დოკუმენტური მასალა მიიღო როგორც დამაჯერებელი და უტყუარი ფაქტი ერაყის მიერ გაეროს რეზოლუციის დარღვევისა, რაც ბაზრის მონაწილეთა თვალში, შეერთებულ შტატებს საომარი მოქმედებების დაწყებაში საერთაშორისო მხარდაჭერას მისცემდა. ინვესტორებმა პაუელის გამოსვლაში ომის ჩქარა დაწყების მკვეთრი სიგნალი დაინახეს და ამ სიცხადემ პოზიტური გავლენა მოახინა ბაზარზე, რომელსაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად გაურკვეველი სიტუაციის ეშინია. პაუელის მკაცრი და მყარი გამოსვლის დაწყებისთავე საფონდო ბაზრებზე მკვეთრი გამოცოცხლება აღინიშნა. მაგრამ აქციების ბაზრისაგან განსხვავებით, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნის ზოგიერთი წარმომადგენელი საკმაოდ უენთუზიაზმოდ შეხვდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადებებს.

პოლიტიკური ანალიტიკოსების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის გამოსვლაზე უშიშროების საბჭოს რეაქცია უდავოდ დადებითი იყო, პაუელის გამოსვლამ ვერ მოახდინა გავლენა იმ ევროპული სახელმწიფოების ხელმძღვანელებზე, რომლებიც ერაყის მიმართ სამხედრო აქციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ინვესტორებმა აღმოაჩინეს, რომ რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი კვლავ თავის პოზიციაზე დარჩა. პაუელის გამოსვლის შემდეგ, შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე აქციებზე კოტირებები გაიზარდა, მაგრამ უშიშროების საბჭოში ერთიანი პოზიციის არარსებობამ ძირითადი ამერიკული საფონდო ინდექსების დაცემა განაპირობა. Dow Jones 0.3 %-ით დაეცა 7985.18 პუნქტამდე, ხოლო Nasdaq-ი 0.3%-ით 1301.50 მაჩვენებლამდე, ბრუნვის მოცულობამ ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე 1.30 მლრდ. აქცია შეადგინა.

ხუთშაბათს ბაზარზე მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციების აქტიური გაყიდვა აღინიშნა, თუმცა სავაჭრო სესიის შედეგებით, Nasdaq-ის ინდექსი პრაქტიკულად არ შეცვლილა, მაშინ როდესაც Dow-მ დაცემა განიცადა.

ინვესტორები, რომლებიც უკიდურესად შეაშფოთა ერაყის გარშემო დაძაბულობის ზრდამ და ჩრდილოეთ კორეის ატომურმა პროგრამამ, აქტიურად გადავიდნენ აქციების გაყიდვაზე, რეზულტატში „ცისფერი კოჭების “ ინდექსი 0.7%-ით დაეცა 7929.30 პუნქტამდე.

ამავე დღეს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის წინაშე წარსდგა, სადაც მან კიდევ ერთხელ შეაფასა ერაყის ხელისუფალთა და გაეროს ინსპექტორების თანამშრომლობის საკითხი. როგორც სახელმწიფო მდივანმა სენატს განუცხადა, რამდენიმე კვირაში ამ თუ იმ მიმართულებით, ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაცია საბოლოოდ გადაწყდება. მან ასევე მკვეთრად მიანიშნა, რომ შეერთებული შტატები საკმაო უფლებამოსილებას ფლობს იმისათვის, რათა გაეროს უკვე არსებული რეზოლუციის ფარგლებში ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყოს. თუმცა, როგორც კოლინ პაუელმა განაცხადა თეთრი სახლი მიესალმება კიდევ ერთ კენჭისყრას უშიშროების საბჭოში ამ საკითხთან დაკავშირებით.

კვირის ბილო დღის ვაჭრობის შედეგებით, კი წინა დღესთან შედარებით დაცემა უფრო შთამბეჭდავი იყო: მაღალტექნოლოგიების ინდექსი Nasdaq-ი 1.48%-ით დაეცა 1282.47 პუნქტამდე, ხოლო Dow 0.82%-ით 7864.23 მაჩვენებლამდე. საფინანსო ბაზრის მონაწილენი კვლავ აგრძელებდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე კოლინ პაუელის გამოსვლაზე მსოფლიო ლიდერებისა და ერაყის პოზიციის შეფასებას.

პარასკევს გავრცელდა ინფორმაცია თეთრი სახლის ინიციატივის შესახებ, – გადაიყვანოს ქვეყნის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები სამხედრო მზადყოფნის უფრო მაღალ საფეხურზე, ერაყში სამხედრო ქმედებების დაწყების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოსალოდნელი ტერირისტული აქტების თავიდან აცილების გამო. 14 თებერვალს კი ჰანს ბლიკსი გაეროს უშიშროების საბჭოს კომისიის მუშაობის მეორე ანგარიშს წარუდგენს. დღეისათვის ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მისი გამოსვლა გარდამტეხი მომენტი იქნება ერაყის წინააღმდეგ ძალისმიერი ღონისძიებების განხორციელების საკითხში.




* * *

ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, თუ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ომის დაწყებას უშიშროების საბჭოს წევრების მხარდაჭერის გარეშე გადაწყვეტენ, ამან შესაძლოა **სავალუტო ბაზრებზე** დოლარის კურსის დაცემის ტენდენციის გაგრძელება გამოიწვიოს.

1.0732 დონემდე დაცემის შემდეგ, ევრო/დოლარის კურსი კვირის ბოლის ამერიკულ სესიაზე თითქმის 100 პუნქტით გაიზარდა 1.0834 მაჩვენებლამდე. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, გამოქვეყნებული პოზიტიური მონაცემებისა, დოლარის კურსზე ზეწოლას სპარსეთის ყურეში ომის ჩქარა დაწყების მაღალი რისკი ახდენს.

* * *

იგივე ფაქტორი **ძვირფასი ლითონების ბაზარზე** ფასების სტაბილურ ზრდას განაპირობებს. კვირიდან კვირამდე ოქროს ფასი ახალ-ახალ რეკორდულ მაქსიმუმებს აფიქსირებს, გასული კვირის ბოლოს მისი ფასი უნციაზე 371.25 დოლარით განისაზღვრა.

* * *

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად 688 და 4.70 დოლარი შეადგინა.

**ნავთობის ბაზრის განწყობას** კვირის დასაწყისში ვენესუელაში ნავთობის წარმოების მნიშვნელოვანი აღდგენა და აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების სიჭარბე განაპირობებდა.




მოთხოვნა-მიწოდების ფუნდამენტალურმა ფაქტორმა ერაყში ომის საშიშროება დროებით მეორე პლანზე გადაწია, რამაც ნავთობის ბაზრებზე ცნობილი დაცემა განაპირობა. ორშაბათს, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 32.76 დოლარამდე დაეცა. ვენესუელაში ნავთობის წარმოების აღდგენამ ოპეკის შეხედულებაში შესწორება შეიტანა, რომელმაც იანვრის შუა რიცხვებში ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რათა, იმ შემთხვევაში, თუ ვენესუელაში გაფიცვა ერაყში ომს დაემთხვეოდა, ბაზრებისათვის მოსალოდნელი დეფიციტი და ამით გამოწვეული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა აეცილებინა.

როგორც გასული კვირის ორშაბათს ოპეკის პრეზიდენტმა აბდულა ბენ ჰამედ-ატაიამ განაცხადა მეორე კვარტალში ოპეკმა შესაძლოა ნავთობის წარმოების შემცირების გადაწყვეტილება მიიღოს, მაგრამ მეორე დღესვე დაამატა, რომ ამ საკითხში ოპეკის ნაბიჯების შესახებ ჯერჯერობით გაურკვევლობაა ერაყში ომის მაღალი მოსალოდნელობის გამო. სამშაბათს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უშიშროების საბჭოს წინაშე გამოსვლის წინ, ერაყის გარშემო დაძაბულობის მატების გამო, ტრეიდერებმა დაივიწყეს წინა დღეს გამოკვეთილი ფაქტორები და ნავთობის ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა.

ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 31.09 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 33.58 დოლარამდე გაიზარდა.

ოთხშაბათს, იგრძნო რა, რომ პაუელის გამოსვლამ ვერ შეიტანა სიცხადე ერაყში ომის დაწყების ზუსტ ვადებში, ბევრმა მენავთობე ტრეიდერმა მოგების დაფიქსირება გადაწყვიტა. შედეგად, ბირჟების დახურვის მომეტში ნავთობის ფასებმა კვლავ აიწია. ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 31.36 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 33.93 დოლარამდე გაიზარდა.

ხუთშაბათს, ნავთობის ბაზარმა კვლავ ახალი ზრდა დააფიქსირა, ირწმუნა რა ომის ჩქარა დაწყების მოსალოდნელობა. „მაგატეს“ თავმჯდომარის მოჰამედ ელ-ბარადეის შეფასებით, გაეროს უშიშროების საბჭოს შეხედულება ინსპექტირების შემდგომ ნაბიჯებზე სრულიად ნათელია:- ერაყი არ თანამშრომლობს სრულფასოვნად და ვალდებულია რადიკალურად შეცვალოს თავისი დამოკიდებულება. შეიარაღების მონიტორინგის საკითხებში გაეროს კომისიის ხელმძღვანელის ჰანს ბლიკსის განცხადებით, თუ ერაყი არ დაიწყებს ძირეულ თანამშრომლობას გაეროს ინსპექტორებთან, 14 თებერვალს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე კრიტიკული შეფასება მიეცემა მისი ხელისუფლების მოქმედებას. დაძრული სამხედრო მუქარის პირობებში ნავთობის ფიუჩერსები კვლავ ზემოთ წავიდა. ხუთშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 31.45 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 34.16 დოლარამდე გაიზარდა.

კვირის ბოლო დღეს ნავთობის ფიუჩერსების ბაზარზე მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს მაზუთზე არნახული მოთხოვნა წარმოადგენდა. მაზუთის ბაზარზე შექმნილ სიტუაციას ანალიტიკოსები და ტრეიდერები პანიკურს უწოდებენ. აჟიოტაჟი ჯერ კიდევ ოთხშაბათს დაიწყო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის შესახებ მორიგი ყოველკვირეული მონაცემები წარმოადგინა, მათი ინფორმაციით, კვირის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა შეერთებული შტატების მაზუთის მარაგი.

მაზუთის ბაზრიდან აჟიტირება ნავთობის ბაზარსაც მოედო, რომელსაც ამის გარეშეც ერაყის ფაქტორის გათვალისწინებით ზრდის სერიოზული მიზეზი ჰქონდა. როგორც პარასკევს პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ერაყთან კონფრონტაციის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეერთებული შტატები მოკავშირეების დახმარებით თვითონ განაიარაღებს სადამ ჰუსეინს სანქციის გარეშე. ბუშის თქმით, „თუ უშიშროების საბჭო ნებას დართავს დიქტატორს გაუთავებლად იცრუოს, ამით საკუთარ სისუსტეს მოაწერს ხელს.“

ამასთან, თეთრი სახლის პრესსამსახურის განაცხადებით, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტი ბუში და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები გამართავენ აქტიურ მოლაპარაკებებს უშიშროების საბჭოს წევრებთან, რათა მიაღწიონ „სერიოზული, ეფექტური და მისაღები“ რეზოლუციის მიღება.

ასევე პარასკევს ჰანს ბლიკსმა გააკეთა ახალი განცხადება, რომ ერაყმა, ბოლოს და ბოლოს, გამოავლინა რაღაც ნიშნები რეალური თანამშრობლობისათვის, დართო რა ნება გაეროს ინსპექტორებს აწარმოონ დიალოგი ერაყელ მეცნიერებთან ხელისუფლების მხრიდან ზედამხედველობის გარეშე. შაბათ-კვირას ბლიკსი და ბარადეი ბაღდადში ერაყის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, მაგრამ მთავარი, რასაც ბაზრები მათგან მოელიან, ეს არის ანგარიში უშიშროების საბჭოს წინაშე 14 თებერვლის სხდომაზე.

კვირის ბოლო დღის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 32.34 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 35. 12 დოლარამდე გაიზარდა.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მეცნიერება

# ბუმბულიანი დინოზავრი, აბორიგენი და თანამედროვეობა,

## ანუ პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ავსტრალიადა

2000 წელს, ოქტომბერში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ" მკითხველს მოუთხრო მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ცენტრში პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის შემოქმედებითი მივლინების თაობაზე. საერთაშორისო სარბიელზე მეცნიერის ნაყოფიერი საქმიანობა კვლავ გრძელდება.

ჩატარებული გლობალური კვლევის საფუძველზე ბატონი არნოლდი აირჩიეს პრესტიჟული „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების (აშშ) წევრად (2002). საზოგადოების პრეზიდენტი ჯონ ფაჰეი მილოცვის წერილში არნოლდ გეგეჭკორს წერს: **„ძვირფასო ახალი წევრო, მოგესალმებით „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების" სახელით! დღეიდან თქვენი სახელი, კალიგრაფიული წესით, შეტანილი იქნება 1888 წელს დაარსებულ ჩვენს მემორიალურ ანალებში. ამიერიდან თქვენი სახელი დაიკავებს სათანადო ადგილს სახელგანთქმული აღმომჩენების, გამოჩენილი მეცნიერებისა და ხელოვანთა გვერდით. ყველა თქვენგანს გაერთიანებთ ერთი მიზანი – კიდევ უფრო მეტად შეიცნოთ სამყარო და გაუზიაროთ თქვენი ცოდნა სხვებს. თქვენი, როგორც საზოგადოების წევრის, გამოკვლევები, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას დედამიწაზე, შეძლებისდაგვარად დაფინანსდება. მსგავსმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ჯეინ გუდოლს შიმპანზეთა ქცევების შესწავლაში, სილვია ერლის – ფლორიდის მარჯნის რიფებისათვის სიცოცხლის შენარჩუნებაში... დღეიდან, ყოველთვიურად, უფასოდ მიიღებთ ცნობილ ჟურნალს** National Geographic-**ს. ღრმა პატივისცემით ჯონ ფაჰეი".**

არნოლდ გეგეჭკორისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინა კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის ფონდები საბუნებისმეტყველო მეცნიერების რამდენიმე დარგში და ბუნების ისტორიის ბრწყინვალე გამოფენა ერთგვარი საბაზო ერთეულია სახელგანთქმული ბერკლის უნივერსიტეტისათვის. ამ ფონდების ზოოლოგიური დეპარტამენტის მთავარმა მენეჯერმა, პროფესორმა ნორმან პენიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს გამოუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც წერს, რომ როგორც მკვლევარს (guest researcher) პროფ. არნოლდ გეგეჭკორს მომავალში კვლავ სთავაზობს თანამშრომლობას, რომელიც გულისხმობს ჩინეთში მათ მიერ მოპოვებული მასალების დამუშავებას, თსუ-დან გამოგზავნილი სამი ასპირანტის ხელმძღვანელობას, თავიანთი სპეციალისტების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივლინებას (ერთი ასეთი სპეციალისტი – დოქტორი ჯონ კინიონი უკვე იმყოფებოდა თბილისში, მეორე – დოქტორი ჯო სლოვინსკი თბილისში გამომგზავრების წინ, რამდენიმე თვით ადრე, სამწუხაროდ, დაიღუპა ბირმის ჯუნგლებში მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი სახეობის კობრას კბენისგან, მასზე დაკვირვებისას. გარდა ამისა, აკადემიის საველე საქმიანობათა უფროს კურატორს, დოქტორ ჯ. კინიონს გამოეყო სპეციალური გრანტი, რომლის მიხედვითაც პროფ. არნოლდ გეგეჭკორს ეგზავნება ხუთი დასახელების საბუნებისმეტყველო ჟურნალი და სხვა ლიტერატურა (მათ შორის,



არნოლდ გეგეჭკორი სიდნეის ბუნების ისტორიის მუზეუმის დირექტორთან, UNSW-ის პროფესორ მაიკელ არჩერთან ერთად.

ბატონმა არნოლდმა მიიღო უახლესი (2001 წ.) და დაწვრილებითი გეოქრონოლოგიური რუკა, სადაც შეტანილია უკანასკნელი ათი წლის სათანადო გლობალური მონაცემები, კარლ ლინეს ინგლისურ ენაზე თარგმნილი პირველი, ანტიკვარული გამოცემები.

2000 წელს, მაისის დასაწყისში, საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ იზეიმა ამ საზოგადოების დაარსების 150 წლისთავი. მოწვეული იყვნენ ფრიად საპატიო სტუმრები, მათ შორის, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის პრეზიდენტი, პროფესორი ანა ბატიმერი. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი ამ შეხვედრაზე წარსდგა ინგლისურ და რუსულ ენებზე წაკითხული მოხსენებით: „საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე ზოგიერთი ბიოგეოგრაფიული გამოცანის ახსნის ცდები ავსტრალიის, ჩდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის მაგალითზე". მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნიკიტა გლაზოვსკიმ აღნიშნა, რომ ქართული ბიოგეოგრაფიული სკოლა, მისი გამოკვლევები, თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამორჩება ყოფილ საბჭოთა კავშირში ბიოგეოგრაფიის პირველი ცენტრის – მოსკოვის სკოლას. ქალბატონმა ანა ბატიმერმა ხაზი გაუსვა ქართველ გეოლოგთა გამოკვლევების ღირსეულ დონეს, ხოლო არნოლდ გეგეჭკორს „თავისი გამოკვლევების სიღრმითა და მასშტაბით" ქართველი ჰუმბოლდტი უწოდა. აღნიშნულის დასტურად სამშობლოში დაბრუნებისთანავე (10.05. 2002), უნივერსიტეტში გაუგზავნა შემდეგი ხასიათის წერილი:

**„ძვირფასო კოლეგავ, აღფრთოვანებული ვარ თბილისში თქვენთან შეხვედრით, განსაკუთრებით შთამაგონებელი იყო თქვენი მოხსენების პრეზენტაცია საიუბილეო შეხვედრაზე. როგორც შეგპირდით, გიგზავნით ჩემს მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებულ სტატიას ალ. ჰუმბოლდტზე... მე და ჩემი მეუღლე ბერტრამი გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენ და კონფერენციის სხვა მონაწილეებს. ღრმა პატივისცემით, ანა ბატიმერი". თავის ეს მოსაზრება –** („humboldtean-style presentation") **პროფ. ა. ბატიმერმა გამოაქვეყნა საერთაშორისო გეოგრაფიული საზოგადოების ბეჭდვით ორგანოში** („Newsletter", **ივნისი, 2002, გვ. 19-22).**

P.S. **ორივეს, ანასა და მე, ძალიან მოგვეწონა თქვენი ლექცია. როგორც დაგპირდით, ჩემი კოლეგების დახმარებით, გიგზავნით დანიელ სოლანდერის ავტორობით გამოცემულ ნაშრომებს ავსტრალიის ფლორის შესახებ. როგორც თქვენთვის ცნობილია, დ. სოლანდერი იყო კარლ ლინეს გამორჩეული მოწაფე და ავსტრალიის ფლორის პირველი მკვლეარის, მოგვიანებით ინგლისის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტის ჯოზეფ ბანკსის უახლოესი მეგობარი. საუკეთესო სურვილებით, პროფესორი ბერტრამ ბრობერგი" (ბ. ბრობერგი – მათემატიკოსი, ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრი – თ. ი.).**

დაახლოებით იმავე პერიოდში მომწიფდა სიტუაცია არნოლდ გეგეჭკორის ავსტრალიაში ხელახლა გამგზავრების თაობაზე:

**„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს,**

**ძვირფასო რექტორო, მადლობელი ვარ თქვენი წერილისათვის, რომლის საშუალებითაც გთხოვდით, კიდევ ერთხელ გაგეწიათ რეკომენდაცია პროფესორ არნოლდ გეგეჭკორისათვის, რომელსაც ხელახლა ვიწვევთ ჩვენ უნივერსიტეტში. მსურს სიამოვნებით გაცნობოთ, რომ კარგად მახსოვს პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ამასწინანდელი ვიზიტი სიდნეის ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში, პირადად ვესწრებოდი მის განსაკუთრებით საინტერესო და ინფორმაციით აღსავსე ლექციას, იმედი მაქვს კვლავ შედგება ჩვენი ავსტრალიაში შეხვედრა. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. პატივისცემით, პროფესორი კოლინ სადერლენდი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი" (5.04.2002).**

ეს შეხვედრა მართლაც შედგა, ოღონდ იმავე უნივერსიტეტის რეორგანიზებულ ფაკულტეტზე, რომელსაც ახლა ბიოლოგიის, დედამიწისა და გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტი (იუუთ) ეწოდება. დღეს იგი აერთიანებს ამ ვეებერთელა უნივერსიტეტის (ქ. სიდნეიში იგი „პატარა ქალაქია"), სხვადასხვა კორპუსში განთავსებულ სამი პროფილის სასწავლო ერთეულებს – ბიოლოგიას, გეოგრაფიას და გეოლოგიას. ასეთი ინტერდისციპლინური ფაკულტეტის ახალ დეკანად აურჩევიათ არნოლდ გეგეჭკორის კოლეგა და უკვე კარგი ნაცნობი, პროფესორი პიტერ გრინევეი.

...საქართველოში, მშობლიურ უნივერსიტეტში, არნოლდ გეგეჭკორი დაბრუნდა და ჩამოიტანა ძვირფასი და მდიდარი მასალა მეცნიერების რამდენიმე დარგში: ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ბიოგეოგრაფიაში, გეოგრაფიაში, ისტორიულ გეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, პალეოანთროპოლოგიაში, ეთნოგრაფიაში და ა. შ. იგი წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურის, ვიდეო ფოტო (ნეგატივები, დიაპოზიტივები) და ველზე მოპოვებული მასალების სახით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის სახელზე კი პროფესორი პიტერ გრინევეი წერს არნოლდ გეგეჭკორის საქმიანობის შემაჯამებელ, შემდეგი შინაარსის ოფიციალურ წერილს:

**„პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი მიმდინარე კვლევების ჩასატარებლად ბიოგეოგრაფიის დარგში მოპატიჟებული იყო როგორც მოწვეული პროფესორი ბიოლოგიის, დედამიწისა და გარემოს შემსწავლელი მეცნიერების ფაკულტეტზე, ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში (ზტუტ). თანახმად 2002 წლის 9 ივლისის შეთანხმებისა, ვიზიტის ვადები შემოიფარგლებოდა 20 ოქტომბრიდან (2002 წ.) 25 იანვრის ჩათვლით (2003 წ.) პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ვიზიტი უნივერსიტეტში გამოირჩეოდა განსაკუთრებული პროდუქტიულობით და მოიცავდა შემდეგ აკადემიურ საქმიანობებს:**

**1. სახელმძღვანელო „ბიოგეოგრაფიასთან" დაკავშირებით, რომლის ავტორია პროფ. არნოლდ გეგეჭკორი და იბეჭდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მას ჰქონდა კონსულტაციები შემდეგ პირებთან: პროფესორ პ. გრიინევეისთან, ფაკულტეტის დეკანთან; პროფესორ მაიკელ არჩერთან, პალეონტოლოგთან, უნივერსიტეტის პროფესორთან ზოოლოგიის დარგში, ავსტრალიის ბუნების ისტორიის მუზეუმის დირექტორთან; პროფესორ პოლ ადამთან, ბოტანიკოსთან; პროფესორ ელენ ბარტინთან, პალინოლოგთან და პალეობოტანიკოსთან; დოქტორ სკოტ მუუნისთან, პალინოლოგთან და პალეოეკოლოგთან; დოქტოორ პიტერ ბანკსთან, ხერხემლიანთა ზოოლოგიის სპეციალისტთან; პროფესორ მ. არჩერის ინიციატივით, პროფესორი გეგეჭკორი მუშაობდა ავსტრალიის მუზეუმთან არსებული ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის ცენტრში, ამ ცენტრის ხელმძღვანელ, დოქტორ ჯერი კასსისთან.**

**2. პროფესორ გეგეჭკორს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდა ჩვენი უნივერსიტეტის ისეთ საბაზო დაწესებულებებთან, როგორებიცაა: სიდნეის სამეფო ბოტანიკური ბაღი (დაარსებული 1932 წელს), ტარონგოს ზოოლოგიური პარკი, ავსტრალიის ბუნების ისტორიული მუზეუმის (დაარსებული 1827 წელს) ფონდები და გამოფენები, ბლეკტაუნის აბორიგენულ ცხოველთა პარკი, სადაც ღებულობდა სათანადო კონსულტაციებს ამ ორგანიზაციათა მეცნიერ-თანამშრომლებთან.**

**3. პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა ჩაატარა სამეცნიერო-საველე ექსპედიციები ავსტრალიის შემდეგ რაიონებში: ცენტრალურ ავსტრალიაში (ალის სპრინგი, აიერს როკი (ულურო), ოლგას მთიანეთში, მაკდონალდის ქედზე – ადგილობრივ უდაბნოებში, მთის უდაბნოებსა და სავანებში; ჩრდილოეთ ავსტრალიაში (ქ. დარვინი, არნჰემ ლენდი, კაკადუს ეროვნული პარკი, ძირითადად ტროპიკულ ტენიან ტყეებში – ჯუნგლებში), აღმოსავლეთ ავსტრალიაში – დიდი გამყოფი ქედის ცისფერი მთების მიდამოებში; კოსციუშკოს ეროვნულ პარკში (რომელიც მოიცავს კოსციუშკოს მთას (ავსტრალიის კონტინენტის ყველაზე მაღალი მთა), მისი მწვერვალის ჩათვლით.**

**4. პროფესორმა გეგეჭკორმა მნიშვნელოვანი დრო მიუძღვნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, სადაც გაეცნო უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას მეცნიერებათა შემდეგ დარგებში: ზოოლოგია, ბოტანიკა, ბიოგეოგრაფია, პალეონტოლოგია, პალეოანთროპოლოგია, ევოლუციის თეორია და ა. შ.; წარმატებით ჩაატარა კონტრაქტით გათვალისწინებული ლექციები და სემინარები".**

საშობაო და საახალწლო არდადეგების პერიოდში, როდესაც უნივერსიტეტის თანამშრომლები თითქმის ერთთვიან შვებულებაში იმყოფებიან, არნოლდ გეგეჭკორმა განავრცო სამეცნიერო-საველე საქმიანობა ავსტრალიის მახლობელ ოკეანიასა (ფიჯი) და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (მალაზია, ინდონეზიის კუთვნილი კუნძული ბალი), სამწუხაროდ, ეთნოკონფლიქტების გამო არ ურჩიეს განეხორციელებინა დაგეგმილი ექსპედიცია პაპუა-ახალ გვინეაში. ამგვარად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, 2002-2003 წლებში არნოლდ გეგეჭკორმა მოინახულა აღმოსავლეთი ავსტრალია (მდინარეების – დარლინგისა და მურეის სისტემა), კონტინენტის სამხრეთსა და ჩრდილოეთში შემავალი შტატები, რაც მთავარია, ცენტრალური და დასავლეთ ავსტრალიის შიგა რაიონების უდაბნოები (დიდი ქვიშის, ვიქტორიის, სიმპსონისა და სხვა უდაბნოები, რომლებიც ფართობით არ ჩამოუვარდებიან საჰარას), ქ. ადელაიდადან ქ. დარვინამდე მერიდიანულად გადაკვეთა კონტინენტი, რისთვისაც გამოიყენა ცოცხალი (აქლემი) და მექანიზებული ტრანსპორტის ყველა საშუალება. ეს ავსტრალიის კონტინენტის ის შიგა, ბუნებრივი პირობებით ექსტრემალური რაიონებია, რომელთა გეოგრაფიულ აღმოჩენებს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში შეეწირნენ, ანდა სამუდამოდ დაინვალიდდნენ გამოჩენილი პირველაღმომჩენები: ლეიხგარდტი, სტერტი, ბერკი, სტიუარტი, ეირი და სხვები.



ავსტრალიელ აბორიგენთან ცენტრალური ავსტრალიის უდაბნოში.



პროფ. ელენ ბარტინთან კონსულტაციის დროს.

იხ. მე-8 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

**გვეხმაურებიან**

# „მეგრელთა საქმე“ და საქართველოს ისტორიის ფილოსოფია

## „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“

**პარზი და საჭირო საქმე გააკეთა ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა ალეკო ასლანიშვილმა — მისი „მეგრელთა საქმე“ („სრ“ 2002 წ. დეკ. – 2003 წ. იანვ.) კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ხელახლაა გასააზრებელი საქართველოს ისტორია. ამ მხრივ ბევრი თეთრი ლაქაა როგორც ძველი, ისე ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე. „მეგრელთა საქმე“ ერთ-ერთი მათგანია. ქართული სახელმწიფოს მშენებლობა თხოულობს, რომ მასაც და მთელ ჩვენს გავლილ ისტორიასაც პოლიტოლოგიური შეფასება მივცეთ. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გავიგოთ, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“.**

**„სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვნახე“** — აღფრთოვანებით და დიდი ეროვნული სიამაყით წერდა ილია და კაცმა რომ თქვას, აბა სხვა რა უნდა ენახა **ქუჯის, გიორგი ჭყონდიდელისა** და ცოტნე **დადიანის ქვეყანაში?!** მაშ, რამ გაახარა ასე „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“? — იმან, რომ ეჭვის ჭია, რომელიც ღრღნიდა **„საერთო ნიადაგის“** თეორიის ავტორს, სამეგრელოს ნახვამ ერთიანად გაუქრო და გაუქარწყლა. ეს ეჭვის ჭიაა, რომ მოყოლებული **„ბნელბედობის“** სულ პირველი დღეებიდან დღემდე, ასე უმოწყალოდ ღრღნის ერთიან ქართულ ცნობიერებას, **„ქართველთა ერთნებაობას და თანადგომას“**. აკი წერს **„100 წლის ისტორიის“** ავტორი გარნისის ბრძოლის აღწერისას:

**„განგრძელდა ომი სასტიკი… ივანე ათაბაგ და სპანი მისნი ხედვიდნენ ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავთა… ამისა შემდგომად უდიდესნი ბოროტნი აღზევდნენ ქართველთა ზედა, წარხდა, მოისრა ქვეყანა… აღიძვროდნენ ყოველნი ოხრებად ქართველთა“.**

არავის ინდობს სამშობლოს ბედით გულჩამკვდარი ჟამთაღმწერელი, ერსა და ბერს, დიდთა და მცირეთ, **„ბედნიერი ერის“** წინამორბედია თავისებურად, რამეთუ იცის — **„ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს“** და მხოლოდ სიმართლე გამოიყვანს ქვეყანას ბნელბედობიდან. აი, მაშინ შეიქმნა ქართველთა შორის პირველი **„საქმე“**, უფრო სწორედ, **„საქმეები“**. ჯერ ბიზანტიელთა და ქართველ კურაპატალთა ხელისგამართვით — **„ლაზთა საქმე“**, მერე მხარგრძელთა და მოძალებული თურქული სასულთნოებით — **„მესხთა საქმე“**: მხარგრძელთა **„ათაბაგობამ“** ერთიანად წარახდინა **„მწიგნობართუხუცესობა“** და მასთან ერთად, აღმაშენებლის ნაშენი მთელი **„ქართული წეს-წყობა, ერთნებაობა და თანდგომა ყოველთა ქართველთა“**.

და წამოვიდა „საქმეთა“ მთელი კორიანტელი ბორჩალო-სომხითი-საჯავახო-საბართიანოს, მერე ჰერეთის, ჯიქეთის, აფხაზეთის, სამურზაყანოს, სამაჩაბლოს და აჭა, ახლა **„მეგრელთა საქმეც“** — სამარცხვინოზე სამარცხვინო საქმენი ქართველთა დამცრობისა და მტერთა ზეობისა გარნისიდან დღემდე…

მადლობის მეტი რა გვეთქმის ავტორისთვის — **XX საუკუნის „უახლესი ქართლის ცხოვრების“ ჟამთაღმწერელისთვის:** უდიდესი რუდუნებით შეუსწავლია „მეგრელთა საქმის“ ტომეულები, სხვა უამრავი დოკუმენტური თუ მემუარული მასალა და ყველაფერს ამას ნიჭიერი ჟურნალისტისა და ისტორიკოსის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზით გვაწვდის არა მარტო ინფორმაციული და შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც.

საქართველოს მომავალზე დაფიქრებული მკითხველისთვის კი სწორედ ესაა მთავარი: ჩვენ ყველა უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, საქართველოს არც ერთმა მხარემ, დღევანდელმა თუ ხვალინდელმა, არც ერთმა ხელისუფლებამ და მასთან ერთად, მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ, არ უნდა დაუშვას **„მეგრელთა საქმის“** მსგავსი ანტიქართული გამოვლენა ჩვენს ქვეყანაში.

ვიყოთ მართალნი ღვთისა და ისტორიის და, რაც მთავარია, — საქართველოს მომავლის წინაშე: მარტო იმპერიულ ძალებს ნუ ავკიდებთ ქართველთა გათიშვისა და ერთმანეთზე წასისინება-გადამტერების ამ მრავალრიცხოვან **„საქმეებს“**. იმპერია იმიტომაც არის იმპერია, რომ მასში მცხოვრებ ხალხებს შორის გაატაროს **„გათიშე და იბატონეს“** პოლიტიკა. სხვა პოლიტიკას არც უნდა ველოდეთ — „ქართლის ცხოვრება“ ხომ ზღვა მასალას გვაძლევს ამისას — „მოყვარე მტერთა“ მთელ არმადას. **„მეხუთე კოლონას“** რა გამოლევდა ერთმანეთზე ჩასაფრებულ ქართველებში. ოდითგან ამ გზით — მტრისგან გაბრიყვებულ-გატუტუცებული თუ მოსყიდულ-მოთაფლული ქართველების ხელითვე იწყებოდა და ბოლოვდებოდა ეს ავადმოსაგონარი **„საქმეები“**.

ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველები ხშირად უფრო მეტი ერთგულებით და თავადადებით ემსახურებოდნენ იმპერიას, ვიდრე თავის სამშობლო ქვეყანას. ეს უკანასკნელი წამიერადღა თუ გაახსენდებათ ხოლმე დიდ გლობალურ პოლიტიკაში ჩათრეულთ. ამ მხრივ, იმპერიისადმი ქართველთა ერთგულება სანიმუშოდ იყო მიჩნეული. აკი, გაოცებით წერდნენ თავიანთ ყაენს ჯებე-სუბუდაის მონღოლები — **„ქართველებზე ერთგული და უღალატო ხალხი დუნაიზე არსად შეგვხვედრიაო“**. ამიტომ ჰყავდათ ქართველებისგან შემდგარი პირადი გვარდია ირანის შაჰებსა თუ ეგვიპტის ფაშებს — იცოდნენ „გურჯი მამლუქების“ ფასი, მათი მკლავისა და გონების ძალა.

**სტალინი და ბერიაც ბოლშევიკური იმპერიის მამლუქები არიან.** ამ ორი ქართველის ტანდემმა განსაკუთრებული როლი შეასრულა იმპერიის აღზევებაში **„კავის რუსეთიდან — ატომურამდე“**. სხვა საქმეა, რომ უმადურობით გადაუხადეს ორივეს ეს ერთგულება და ძალისხმევა. მაგრამ სხვას რას ერჩი, როცა თვითონაც არ ეხატათ ერთმანეთი გულზე, ერთმანეთს თვითონვე უმზადებდნენ ლახვარს. ამიტომ მართალია ალეკო ასლანიშვილი, როცა **„მეგრელთა საქმეს“** პირდაპირ და უშუალოდ უკავშირებს ამ ფაქტს. რას იზამთ — ერთად ყოფნა და ერთად საქმის კეთება ქართველებს არც იმპერიული იერარქიის ზედა საფეხურებზე ეხერხებათ. ამ მხრივ მიქოიან-ბაგრამიანის სომხურმა ტანდემმა აჯობა ქართულს: მათ უკეთ გათვალეს სამომავლოდ თავისი სამშობლო ქვეყნის სასარგებლო სვლები. აქ უპრიანია გავიხსენოთ დღევანდელი **„საჯავახოს საქმეც“** — **„თურქ-მესხებად“** ტრანსფორმირებული მხაგრძელთა სამცხე-საათაბაგოდან მემკვიდრეობით მიღებული **„მესხეთის საქმის“** ახალი ვარიაცია…

ასეა მარად — იმპერიულმა პოლიტიკამ არ იცის დანდობა არც შინაურის, არც გარეულის. ამიტომაცაა იმპერიათა ისტორია სისხლიან-ცრემლიანი. დანდობა არც ძალაუფლებისთვის ბრძოლამ იცის. ამის მეტი რა ვნახეთ გასულ საუკუნეში… სტალინმა გენიოსურად გამოიყენა მტრებიც და მოკავშირენიც ამ სისხლიან-ცრემლიან გზაზე. ხუმრობა საქმე ხომ არაა, აჯობო მთელ მაშინდელ მენშევიკურ-ბოლშევიკურ კასტას, ებრაულ ინტელექტუალურ ელიტას, ამ თემაზე ნახევრად რეალური და ნახევრად ანეკდოტური იუმორი რომაა შემორჩენილი: სტალინმა პოლიტბიუროზე ტროცკისგან მიღებული დეპეშა ააფრიალა გამარჯვებულის ზარზეიმით: „აი, ამხანაგებო, თვით ტროცკიც კი მიხვდა, რომ მართალი მე ვარ“ და წაიკითხა ტექსტი თავისი რუსულ-ქართული აქცენტით: „ტი პრავ, ა ია ნე პრავ!“. პოლიტბიუროს უკანასკნელმა ებრაელმა მოჰიკანმა ლაზარე კაგანოვიჩმა გამოართვა დეპეშა და ახლა თვითონ წაიკითხა თავისი რუსულ-ებრაული აქცენტით და კითხვა-ძახილის ნიშნით: **„თი ფრავ, ა ია ნე ფრავ?!“**..

იუმორი იქით იყოს და სტალინს გაცილებით მეტი გამშიფრავ-ინფორმატორი ჰყავდა საქართველოდან, ვიდრე დედამიწის სხვა ნებისმიერი კუთხიდან. მას ხომ ყოველთვის აინტერესებდა რა ხდებოდა მის **„ტურფა ქვეყანაში“** და როგორც გამოქვეყნებული მასალებიდანაც ჩანს, საკმაოდ ორაზროვანი უამრავი წერილობითი და ზეპირი დაბეზღების **„დეპეშებიც“** მიუღია „მეგრულ სინდრომზე“: **„სეპარატისტების“** ბერიასთან დანაშაულებრივი კავშირი, ის, რომ მეგრელთა გარდა პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე არავინ ინიშნება, რომ საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფაზე ოცნებობენ, თურქეთის დაზვერვასთან თანამშრომლობენ ამ მიზნით და ა. შ. აშკარად ჩანს **„პირველი ინფორმატორიც“** — აკაკი მგელაძე, სტალინის ფავორიტი და ბოლშევიკური **„რკინის დისციპლინის“** გამტარებელი საქართველოში.

პარადოქსიც და სამომავლოდ ჭკუისსასწავლებელიც ის არის, რომ სწორედ ეს **„რკინის დისციპლინა“** და უკიდურესი საბჭოთა ცენტრალიზმი ჰკვებავდა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და პიროვნული ცხოვრების ასეთ ანომალიებს. ესეც ისტორიის ფილოსოფიაა — ქვეყანაში, სადაც ხალხის თვითმმართველობისა და თვითმოქმედების ნატამალიც კი არ არის, იქ ყოველთვის დაირღვევა შემადგენელ მხარეთა **„პარიტეტი“**, ქვეყნისა და ხალხის ერთიანობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა და **„ბალავრის ქვა“**. რით იყო ძლიერი „ოქროვანი ხანის საქართველო“? — სწორედ ამერ-იმერის ამ **„პარიტეტით“ — თანასწორუფლებიანობით.** „ყოველთა ქართველთა ერთნებაობა-თანადგომაც“ ამით იკვებებოდა, პირველი მომაკვდინებელი ლახვარი რომ ჩასცა სამცხე-საათაბაგოს წარმოშობამ… სამწუხაროდ, ეს დილემა დღესაც დგას ჩვენს წინაშე…

ბევრს ჰგონია, რომ **„სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოშობა“** მხოლოდ **„ძლიერი ხელით“** შეიძლება აღიკვეთოს. მაგრამ ეს მხოლოდ დროებით ეფექტს იძლევა. ქვეყნის შემადგენელი ელემენტების ნამდვილი ერთობისა და პარიტეტის მიღწევა უხეშ ფიზიკურ ძალასა და გარეშე ფაქტორებში კი არა, ქვეყნის შიგნით უნდა ვეძიოთ: ცენტრისა და მხარეთა ჰარმონიული ურთიერთობა მაშინ იქნება მდგრადი და ქვეყნისათვის სიკეთის მომტანი, როცა ილიას ფორმულირება რომ ვიხმაროთ, **„ერთმანეთში ბედნიერად მორიგდება“** თითოეული მხარის ადგილობრივი და მათთან ერთად, მთელი ქვეყნის საერთო-ეროვნული ინტერესები.

იმან, **„რომელმან შექმნა სამყარო“**, დასაბამითგან ჩვენი ხალხი და მისი მიწა-წყალიც დიდი, შეიძლება ითქვას, **უნიკალური მრავალფეროვნებით დააჯილდოვა.** გადავხედოთ ამერ-იმერის მთასა და ბარს — ნაბიჯს ვერ გადავდგამთ ამ მრავალფეროვნებას რომ არ გადავაწყდეთ გნებავთ ბუნებასა და ჰავა-კლიმატში და გნებავთ ხალხის ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებაში. ქართული ხალხური სიმღერის საოცარი პოლიფონიაც ხომ ამას უსვამს ხაზს. თუ შედარებით მეთოდს გამოვიყენებთ, დედამიწის თვითოეული კვადრატული კილომეტრის გაანგარიშებით, მრავალფეროვნების ამ კრიტერიუმით, ალბათ, ქართველობას პირველი თუ არა, ერთ-ერთი საპრიზო ადგილი მაინც გვიკავია. კვეხნასა და ტრაბახში არ უნდა ჩამოგვერთვას ეს — ფაქტს ვერსად გავექცევით.

**„უკიდურესი ქართული ინდივიდუალიზმი“**, — **„უზემოდ ვით იმღერეთა“** ქართული ხასიათიც ერის ფსიქო-გენეტიკურ კოდთან ერთად, უთუოდ, ამითაც იკვებებოდა ათასწლეულობით. დიახ, დიდი სიმდიდრეა ეს მრავალფეროვნება, თუ მას გონიერად გამოვიყენებთ. თუ არადა, სიკეთის ნაცვლად, შეიძლება მხოლოდ ზიანი მოგვცეს. კარგი თავი უნდა, კარგი ჭკუა-გონება ამის გაგებასა და მოვლა-პატრონობას როგორც ქვეყნის, ისე მხარეთა მასშტაბით. სხვანაირად სახელმწიფო არ აშენდება…

რამდენი ე. წ. **„მკვდარი ენა“** შემოგვინახა მსოფლიო ისტორიამ ძველი ბიბლიური ხალხებიდან, დღეს რომ უცხო ენად ეჩვენებათ ამ ხალხების ჩამომავლებს. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ დღევანდელ ქართველს ასე რიგად არ ეუცხოება ცურტაველისა თუ რუსთველის ძველი ენა. ძველ ქართულს, ასე თუ ისე, დღესაც ვუგებთ ასავალ-დასავალს. ხოლო ის, რომ ათასწლეულთა მიღმა ამ ჩვენმა **დედაენამ** თავისი **„დანაშრევი“** დატოვა სამეგრელო-სვანეთის მთებიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთამდე, მხოლოდ უნდა გვეამაყებოდეს ამით, თავი მოგვწონდეს და არა გვრცხვენოდეს და გვეთაკილებოდეს.

ვაჟა-ფშაველა რუსთაველის ენას ტყუილა არ ეძებდა მთაში. წესით და რიგით, ამ ძველ ქართველურ ენებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თუ არა, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე მაინც, სავალდებულო შესასწავლ საგნად უნდა ვაკანონებდეთ. კარგი ფილოლოგი თუ ისტორიკოსი, ჟურნალისტი თუ ფილოსოფოსი აუცილებლად უნდა ფლობდეს ამ **„დაკონსერვებულ“** ქართველურ ენებს. იოანე ზოსიმესი არ იყოს, რამდენი **„საიდუმლო არს დაფლული“** მათში. მარტო **„მაფშალიის“**, ანდა **„ვაშინერის“** გახსენება რად ღირს. ამაზე ფიქრიც არის საჭირო, რომ ყველაფერს ამას ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში თავისი გზა-კვალი მივცეთ…

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი დიდი ფილოსოფიური დასკვნა ისიცაა, რომ საქართველოს ცალკეული მხარეების **(„ქვეყნების“)**, **„საქმეები“** ხშირად გადაენასკვებოდა ხოლმე ერთმანეთს. თუ უცხო ძალა არ ჩაერეოდა (ან, არ ჩარევდნენ თვითონ მოქიშპე ქართველები), კონფლიქტი, როგორც წესი, ბოლოს შერიგებით მთავრდებოდა. **„მეგრელთა საქმეც“** არაერთხელ გადანასკვულა სხვა **„საქმეებთან“**, განსაკუთრებით აფხაზურთან. შემთხვევითი არაა, რომ ეს „საქმეც“ გარკვეულწილად აფხაზეთს და მის მაშინდელ ხელმძღვანელობას უკავშირდება.

იხ. მე-8 გვ.

## მსოფლიო შტრიხებში

### ბრაზილია – ლამაზმანების ქვეყანა



**მართალია, ლათინური ამერიკა ზოგჯერ იძლევა ახალი ტენდენციების ტონს, მაგრამ მოდების სამყაროში ის არასოდეს ყოფილა კანონმდებელი. ცნობილი კუტიურებიდან მხოლოდ კაროლინა ჰერარა იყო იქაური. და მაინც, აქ გამართული ახალი კოლექციების ჩვენება უამრავ ევროპელ და შეერთებულ შტატებიდან ჩამოსულ მოდელიორს იზიდავს.**

**თუმცა ისინი უმეტესად აქაურ დიზაინერთა ნაწარმის სანახავად კი არ ჩამოდიან, არამედ იმ მანეკენების სანახავად, ვინც მათ ნახელავს წარმოადგენს. ბრაზილიელი ქალები საოცრად განსხვავდებიან ჩრდილოეთ ამერიკელი და ევროპელი კოლეგებისგან. ისინი გამოირჩევიან არა გამხდრობით, რაც ასე დამახასიათებელია ძველი სამყაროსათვის, არამედ თლილი ნაკვთებით, არა ავადმყოფური ფერმკრთალობით, არამედ კანის წენგოსფერით, სახის სწორ ნაკვეთებს კი, არცთუ იშვიათად, ქალის სილამაზის ეტალონად მიიჩნევენ.**

**მთელი მსოფლიოს მოდების სააგენტოების პატრონები სან-პაულუში მიფრინავენ, რათა თვალი გაახარონ ადგილობრივი ლამაზმანების ცქერით და ისინი სამუშაოდ მიიწვიონ.**

### ავტოინსპექტორები ყველგან ერთნაირნი ყოფილან




**ჰოლანდიელმა ფერმერმა მარკ ვაისმა გაოცება ვერ დაფარა, როდესაც საგზაო პოლიციის მუშაკებმა შეაჩერეს და დააჯარიმეს, რადგან, თითქოს საათში 100 კილომეტრზე მეტი სიჩქარით მოქროდა ჰააგის წრიულ გზაზე თავისი… ტრაქტორით. მართალია, მექანიზატორმა ბევრი უმტკიცა მათ, რომ „მისი ბებერი“ საათში 8 კილომეტრზე მეტს ვერ ანვითარებს, ისიც დაღმართზე, მაგრამ ვინ დაუჯერა.**

**„შუმახერს“, როგორც ვაისს შეარქვეს, მაინც მოუწევს ჯარიმის გადახდა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 37, ორშაბათი, 10 თებერვალი, 2003 წელი.

გვეხმაურებიან

# „მეგრელთა საქმე“ და საქართველოს ისტორიის ფილოსოფია

## „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“

(მეშვიდე გვერდიდან)

როგორც წესი, მეგრულ-აფხაზური კონფლიქტი შერვაშიძეთა და დადიანთა შერიგება-ნადიმებით მთავრდებოდა. ისე რომ, ქართულ მხარეთა („ქვეყანათა“) წინააღმდეგობანი და კონფლიქტები ასეთ შემთხვევებში შიგნითვე წესრიგდებოდა. სხვათა შორის, დღევანდელ **„აფხაზურ კონფლიქტსაც“** თვითონ მეგრელები მოაწესრიგებდნენ სხვათა ჩაურევლად ჩვენი ყოფილი „უფროსი ძმა“ რომ არ ამღვრევდეს წყალს ქართული მიწებიდან მორიგი და ყველაზე გემრიელი ლუკმის ჩამოსაგლეჯად...

**„მეგრულ-აფხაზური ფედერაციის“** იდეაც სწორედ აქედან გაჩნდა. გაჩნდა იგი ჯერ კიდევ აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროების გაუქმებამდე, როცა აფხაზეთში და მოსაზღვრე ჯიქეთში აქტიურად დაიწყეს ჩასახლება არაქართული ეთნოსისა, თვით ქართველებს კი უარს ეუბნებოდნენ ზღვისპირა ზოლში დასახლებაზე. ილია მიხვდა საით მიჰყავდათ საქმე და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისას კიდევ ერთხელ სცადა ჯიქეთ-აფხაზეთში დექართველიზაციის პროცესის შეჩერება, მაგრამ ამაოდ. არც ბოლშევიკურ ეპოქაში შეწყვეტილა ეს ანტიქართული პოლიტიკა. პირიქით, სწორედ მაშინ მოხდა ჯიქეთის მიწების რუსეთის მფლობელობაში გადასვლის იურიდიული გაფორმებაც, ისე როგორც აფხაზეთის ავტონომიისა.

მხოლოდ ბერიამ შეძლო ქართული ელემენტების გაძლიერება აქ, ისე როგორც, სხვათა შორის, თბილისშიც. ეტყობა ბერიას არ დაუვიწყეს ეს და ვფიქრობ, სწორედ ამაში იმალება კრემლის სამზარეულოში **„მეგრელთა საქმის“** მომზადების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც, ისე როგორც მასა და სტალინს შორის დაპირისპირებისა და მტრობისა, აშკარად რომ გამოიკვეთა ორივეს სიცოცხლის დაისის ჟამს. რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი უკვე ველარ ითმენდა კრემლში ქართველთა ბატონობას და ალბათ, სწორედ მაშინ იშვა ამ წიაღში სტალინის შემდგომი ეპოქის ცნობილი შოვინისტური კალამბური და საპროგრამო ამოცანა – **„ჩტობ კაცო ბოლშე ნე ბილო ზდეს“...**

ეს ანტიქართული ძალები გაერთიანდნენ არა მარტო და არა იმდენად ბერიას, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ძირეული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ეჭვი არაა, აფხაზეთის საბოლოო მოწყვეტაც ხრუშჩოვ-სუსლოვის კამპანიამ მაშინ დაისახა მიზნად. სწორედ მაშინ დაბოლოვდა ცნება **„აფხაზის“ „ქართველისაგან“** მოწყვეტა და გაუცხოება, მისი ცალკე პრივილეგიურ, რადაც გამორჩეულ ეთნიკურ და სოციალურ კასტად ჩამოყალიბება, პრივილეგიურ კასტად, რომელიც აიძულებდა იქ მცხოვრებ დანარჩენ ქართველებს „აფხაზებად“ გარდაქმნილიყვნენ და ერთდროულად, იმპერიულ ძალთა მონა-მორჩილნიც გამხდარიყვნენ.

გადახედეთ აფხაზ სეპარატისტთა გვარ-სახელებს, აქაც კიაფობს დღეს ამის ანარეკლი... როგორც ჩანს, თავიდანვე მეტად შორეულ გათვლებს აკეთებდნენ რუსეთის სპეცსამსახურები აქაც და კიდევ ბევრ სხვაგან... ესეც „მეგრელთა საქმის“ გარკვეული და, მე ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი და ქვეტექსტია, რეალობად რომ აქცია ბერიას დახვრეტიდან ზუსტად 40 წლის თავზე ანტიქართული ძალების კოალიციამ.

არ უნდა დავივიწყოთ: ეს ის ძალებია, რომლებმაც პასკევიჩიდან მოყოლებული, ძველი ქართული **„მონაპირე ქვეყნების“** განქართულების შეუქცევადი პროცესი დაიწყეს, ჩვენს გასაბრიყვებლად შექმნეს **„აჭარელი ერის“** თუ **„თურქი მესხის“** მსგავსი ანტიქართული პასკვილატები, || მსოფლიო ომის წინ შეთითხნეს **„ანკარის იმპერიალიზმის აგენტების“** სქელტანიანი საქმე და დაარწმუნეს სტალინიც და ბერიაც, თურქეთთან მოსალოდნელი ომის წინ, სამცხე-ჯავახეთიდან მათი გასახლების აუცილებლობაში. ზევითაც ითქვა, შემთხვევითი არაა, რომ **„მეგრელთა საქმეში“** თურქეთის **„აგენტობის“** ბრალდებამაც გაიჟღერა – ყველგან და ყველაფერში საქმე საქართველოს დაშლა-დაცემისკენ მიჰყავდათ ერთიანი მიზანმიმართული სტრატეგიით, მაგრამ როგორც ყოველთვის, ეს ბოლო **„საქმენიც“** ქართველთა ხელითვე **„გააიმასქნეს“.**

განა ახლაც არ სცადეს კრემლის სტრატეგებმა სამოქალაქო ომსა და ე. წ. **„აფხაზეთის ომში“** (ნამდვილად კი, რუსეთ-საქართველოს ომში), **„მეგრული კარტის“** გათამაშება ჩვენივე ხელით? უნდა დავიმახსოვროთ – **„გაყავი და იბატონეს“** პოლიტიკა მარად იზეიმებს თავის სატანურ გამარჯვებებს ჩვენზე, თუ ჩვენ ყველა ერთიანად არ დავდგებით **„ცოტნეიდობის“** სიმაღლეზე. სხვანაირად ყოველთვის **„გიჟვრაცუულად“** წამოვეგებით მტრის ანკესზე და მერე რამდენიც უნდა ვიფართხალოთ, სხვისი ლუკმა გავხდებით ჩვენი მიწა-წყლიანად...

**„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“** – ჩასაფრებული მტერი კი არასოდეს გვაკლდა არც ჭირსა და არც დალხინებაში. ამიტომ დაიმცრა-დაჩიავდა ქვეყანაც შაგრენის ტყავივით და თუ, დროზე არ მოვეგებით გონს, დაგვემართება ის, რაზეც ილია გვაფრთხილებდა 100 წლის წინათ:

**„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვეისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია – არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის... უზარმაზარი ხრამია ქართველების წინ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად“.**

თითქმის 800-წლიანი **„ძნელბედობის... შავით მოსილი საქართველოს შავი ბედის“** ქართველობას **„საერთო ნიადაგზე“** დგომისაკენ მოგვიწოდებს მისი ავტორი და თუკი საერთოდ, ამ ძნელბედობის დასრულება გვინდა, მაშინ ამ მოწოდების და **„საერთო ნიადაგის“** თეორიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური იდეების საქმედ ქცევისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. ეს არის საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ყველაზე დიდი ჭკუისსასწავლებელი დასკვნაც. ამას უნდა ყველაზე მეტი ჩაფიქრება და ჩაღრმავება ჩვენგან...

არავითარი **„მეგრელთა საქმე“** არ არსებობს. ეს ჩვენს გასაბრიყვებლად მტერთაგან შემოგდებულ-შემოტყუებული საქმე ბუნებაში არ არსებობს და ამიტომ ზიანის გარდა, არასოდეს არაფერს გვარგებს. არსებობს ერთი დიდი საერთო-ეროვნული და საუკუნეებზე გადასაცემი საშვილიშვილო საქმე ამერ-იმერის ქართველობისა, საქმე, რომელსაც **„ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“** ჰქვია, და რაც ამასთან, ზემოთ აღნიშნული „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და პრინციპია.

**ელბერდ ბატიაშვილი.**

მეცნიერება

# ბუმბულიანი დინოზავრი, აბორიგენი და თანამედროვეობა,

## ანუ პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ავსტრალიადა

(მეექვსე გვერდიდან)

ქ. დარვინიდან გაემგზავრა და მოინახულა XIX საუკუნის გამოჩენილი ზოოგეოგრაფის ალფრედ რასელ უოლესის კვლევის ზოგიერთი რაიონები, ე. წ. „უოლესის ხაზი“. გარდა ბიოგეოგრაფიული ხასიათის დაკვირვებებისა, სათანადო მასალები შეაგროვა ცენტრალურსა (ულურუ-კატა ტიუტა) და ჩრდილოეთ (არნჰემ ლენდის პლატო) ავსტრალიაში, სადაც პირველქმნილი სახით შემორჩნენ ძველი ქვის (პალეოლითის) კულტურის მატარებელი აბორიგენი ავსტრალოიდები – ტრაიბები – თავიანთი განსაკუთრებული სპირიტალიზმით, ანიმიზმური მსოფლმხედველობითა და, რაც ასე აღელვებს საქმეში ჩახედულ ხელოვანთ – კლდეზე შესრულებული მხატვრობის ე. წ. რენტგენული სტილით... ხელოვანთ რა თქმა უნდა, მსგავსი, კვაზიკონტინენტური მოგზაურობისას, და ისიც ავსტრალიაში, იყო არაერთი ხიფათი, თავგადასავალი, მაგრამ ბატონ არნოლდს ყველაზე მეტად მაინც ერთი ტრაგიკული შემთხვევა დაამახსოვრდა, როდესაც არნჰემ ლენდის კაკადუს ეროვნულ პარკში, მისი იქ ყოფნისას, როგორც ჩანს, გულარხეინი გერმანელი ტურისტი გოგონა თავისი დის თვალწინ მოიტაცა ნიანგმა და მდინარე სამხრეთ ალიგატორის ერთ-ერთ შესართავში გაუჩინარდა...

არნოლდ გეგეჭკორის გლობალური და კერძოდ, ავსტრალიასთან დაკავშირებით ბიოგეოგრაფიული ხასიათის საქმიანობაში არსებითი მაინც ის არის, რომ მან კონტინენტის ცოცხალი ბუნების ერთ, ცენტრალურაზიურ წარმოშობის ჯგუფზე, ადგილობრივ სწავლულებს შესთავაზა ავსტრალიაში ამ ჯგუფის მოხვედრის საკუთარი ჰიპოთეზა. ამ შეხედულების დასაბუთების გეგეჭკორისეული ვარაუდი მოიცავს დაახლოებით ას მილიონ წელიწადს (ცარცული პერიოდიდან), როდესაც დედამიწის ხმელეთი ტეთისის პალეოოკეანით გაყოფილი იყო ორ მეგაკონტინენტად: ჩრდილოეთით – ლავრაზიად და სამხრეთით – გონდვანად. როგორ უნდა „წაეღო“ ასეთ ვითარებაში დაახლოებით 55 მილიონი წლის წინათ ანტარქტიდას მოწყვეტილსა და დღემდე განაპირებულ ავსტრალიას ცენტრალურაზიური, ცარცული წარმოშობის ორგანიზმები, ნამდვილი ბიოგეოგრაფიული თავსატეხია. ამ პრობლემებზე ზემოთ ჩამოთვლილი, სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერებთან და, უწინარესად, სახელგანთქმულ პალეონტოლოგ, პროფესორ მაიკელ არჩერთან დისკუსიებმა გამოიწვია. ის, რომ მან როგორც სიდნეის მუზეუმის (რომელიც, ერთდროულად ქვეყნის გამორჩეული სამეცნიერო დაწესებულებაა) დირექტორმა დაავალა ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის კვლევის ცენტრის თავკაცს – დოქტორ ჯ. კასისს არნოლდ გეჭკორთან ერთად, უახლოეს წლებში შეესწავლათ ეს პრობლემა. ამ და სხვა საკითხების შესაჯამებლად, მთა კოსტიუშკოს ალპებში სათანადო დაკვირვებების ჩასატარებლად წასულ და 22 დეკემბერს უნივერსიტეტში დაბრუნებულ არნოლდ გეგეჭკორს დახვდა დეკანის პ. გრიინევეის წერილი. წერილის მიხედვით, შობის წინა დღეებში (როცა უნივერსიტეტი ფაქტობრივად დაცარიელებულია), დღის 5 საათზე, მიწვეულ პროფესორს (არნოლდ გეგეჭკორს) მის კაბინეტში ესტუმრებოდა ადგილობრივი პროფესორი მ. არჩერი (მისაბაძი დემოკრატიააა! – **თ. ი.**). სათანადო პუნქტუალურობით ეს შეხვედრა შედგა. ორსაათიანი კონსულტაციების, აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად ტექსტებით, სქემებით, დიაგრამებით გაივსო ათამდე საწერი ფურცელი. ეს ფურცლები მოიცავენ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვებს ცოცხალ ორგანიზმთა რამდენიმე ჯგუფის წარმოშობა-განსახლებაზე დედამიწის მასშტაბით, კომენტარს სიდნეის მუზეუმში ჩინეთიდან რამდენიმე თვით ჩამოტანილ დინოზავრთა გამოფენაზე, მათ შორის ბუმბულით შემოსილი, არამფრენი დინოზავრების 4 გვარზე (XX საუკუნის მიწურულის უპრეცედენტო აღმოჩენაა!). 1990-ანი წლების ამ აღმოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა წარმოდგენა აწ გადაშენებული ამ რეპტილიების მეტაბოლიზმზე, ცხოველთა სამეფოში ბუმბულის წარმოშობაზე, ხერხემლიან ორგანიზმებში ფრენის გამომუშავების, აეროდინამიკის პრინციპებზე. იყო საუბარი სიდნეის 150 კილომეტრით დაშორებულ, მიუვალ ხეობაში აღმოჩენილი, მხოლოდ სამხრეთ ნახევარსფეროსთვის დამახასიათებელი წიწვოვანი ხემცენარის ახალი სახეობის (!) – ვოლემის „ფიჭვის (Wollemi nobilis) აღმოჩენაზე (1994 წ.). მეცნიერებს ამ მცენარის მოდგმა, მსგავსად არქაული, მტევანფარფლიანი თევზებისა (ხმელეთის ყველა ხერხემლიანის საერთო წინაპრებისა), გადაშენებულად მიაჩნდათ 100 მილიონი წლის წინათ! ბატონ არნოლდს, სხვა უნიკალურ მასალებთან ერთად, აქვს როგორც ბუმბულით დაფარული, ისე „ცოცხალი ნამარხის“ – ვოლემის „ფიჭვის“ – მის მიერვე გადაღებული სურათები.



სიდნეის მუზეუმში XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ ყველაზე სენსაციურ აღმოჩენასთან – ბუმბულით დაფარულ, ხორცისმჭამელ დინოზავრთან.

მსგავსი ნაყოფიერი შეხვედრის დასასრულს „სტუმარმა“ მ. არჩერმა „მასპინძელს არნოლდ გეგეჭკორს მიართვა მისი ავტორობით 2002 წელს გამოცემული წიგნი: „ავსტრალიის ევოლუცია, ცვლილებების 110 მილიონი წელი“ მასზე გაკეთებული საკმაოდ ამაღელვებელი წარწერით:

„ძვირფასო არნოლდ! მადლობელი ვარ თქვენი **ძალიან** (ხაზი ეკუთვნის ავტორს – **მ. ა.**) მასტიმულირებელი დისკუსიებისა! თქვენ მომეცით ყველაზე ფასეული – ვიფიქრო პრობლემებზე! იმედი მაქვს ჩვენი მომავალი შეხვედრისა! გაგიმარჯოთ, მაიკელ არჩერი, 22 დეკემბერი, 2002“.

ბატონი არნოლდი მსგავს „ოდისეაზე“, როგორც სხვა დროს, სათანადო ვიზუალური მასალებით, ფართო აუდიტორიების წინაშე, ახლო მომავალში აპირებს საჯარო მოხსენებების წაკითხვას.

**თეიმურაზ იოსელიანი.**
აკადემიკოსი.



სიდნეის მუზეუმთან არსებული ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში. მარცხნიდან მარჯვნივ: დოქტორი ბაქს მაულდსი, პროფ. არნოლდ გეგეჭკორი, დოქტორი ჯერი კასისი, დოქტორი მაიკლ შვარტცი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქართული ბიზნესი

# „თბილღვინო“ — იცნობენ, აღიარებენ, ენდობიან!

## უცხოელი ექსპერტები კომპანიას დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ

(მეოთხე გვერდიდან)

მასში 50-მდე ქვეყნის 2800-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი კომპანია მონაწილეობდა და 30 ქვეყნის 2600 მყიდველი ესწრებოდა. ამ გამოფენაზე მაღალპროფესიონალმა დეგუსტატორებმა „თბილღვინოს“ ოთხი სახეობის ღვინო დააჯაშნიკეს. ესენია: თეთრი მშრალი „რქაწითელი“, წითელი მშრალი „საფერავი“, წითელი მშრალი „მუკუზანი“ და წითელი ნახევრადტკბილი „ქინძმარაული“. აქედან ორით — „საფერავითა“ და „მუკუზანით“ ექსპერტები სერიოზულად დაინტერესდნენ. წინასწარი ინფორმაციით, „თბილღვინო“ დიუსელდორფის წლევანდელ გამოფენაშიც მიიღებს მონაწილეობას და ამის ორგანიზებას საკუთარ თავზე კვლავ ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო აიღებს.

„თბილღვინოს“, არსებული მენეჯმენტიდან გამომდინარე, სერიოზული წარმატებების მიღწევა შეუძლია. კომპანიის სათავეში ახალგაზრდები არიან, რომლებიც თანამედროვე მენეჯმენტის სისტემას იყენებენ. მათთვის დასავლეთ ევროპის ბაზარზე გასვლა დიდი გამოწვევაა. ვფიქრობ, ამას უნდა გაუმკლავდნენ“, — აცხადებს პროექტის მენეჯერი რაინერ კუბერა.

### „დელტეკ ინვესტმენტი“ — გზა ევროპისკენ

ეს არის საერთაშორისო დონის ამერიკული საკონსულტაციო კომპანია, რომელიც საწარმოებს ახალი ბაზრების მოძიებასა და ათვისებაში ეხმარება. „თბილღვინოსა“ და „დელტეკ ინვესტმენტის“ ურთიერთობა 2000 წელს დაიწყო და თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. „იმ სახის მომსახურება, რასაც „დელტეკ ინვესტმენტი“ გვთავაზობდა, „თბილღვინოს“ აუცილებლად ესაჭიროებოდა. ამ მომსახურებაზე უარი რომ გვეთქვა, ექსპორტს, პრაქტიკულად, ვერ ავაწყობდით“, — თვლის „თბილღვინოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ზურაბ მარგველაშვილი.

ერთი წლის მანძილზე „დელტეკ ინვესტმენტი“, „თბილღვინოს“ დაკვეთით, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში, კანადაში, პოლონეთში, ჩეხეთში, რუსეთსა და უნგრეთში არსებულ ბაზრებს, მართვის სისტემებსა და ღვინის წარმოების მეთოდოლოგიებს სწავლობდა. აგრეთვე, მოიძია ის სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც ქართული ღვინის იმპორტით სერიოზულად დაინტერესდებოდნენ. მართალია, „დელტეკ ინვესტმენტის“ მომსახურება „თბილღვინოს“ სოლიდური თანხა — 550 ათასი დოლარი დაუჯდა (რომლის გადახდაც შეღავათიანი პირობებით — ეტაპობრივად დღემდე მიმდინარეობს), მაგრამ ფაქტია, ამერიკული საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაწეულმა სამუშაომ ახალფეხადგმულ საწარმოს სოლიდურ კომპანიად გარდაქმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

დღეს უკვე კომპანია „თბილღვინოს“ პროდუქცია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გადის. მათ შორის, რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ყაზახეთში, ჩეხეთში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში... 2002 წლის მიწურულს ღვინის პირველი პარტია იუგოსლავიაშიც გადაიტვირთა. „თბილღვინოს“ სოლიდურობაზე მიუთითებს ისიც, რომ თითოეულ ქვეყანაში მისი პარტნიორები ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის ბიზნესში აღიარებული უმსხვილესი კომპანიები არიან. „ეს არის ხალხი, ვისაც იმ პროდუქტის მიმართ, რომელსაც ხელს კიდებენ, მკაცრი მიდგომა და მოთხოვნები აქვს,“ — აცხადებს ზურაბ მარგველაშვილი და დასძენს: „მაგალითად, რუსეთში ჩვენი პარტნიორია ღვინის იმპორტიორთა საუკეთესო სამეულში შემავალი კომპანია „მოზელი“. ეს კომპანია წელიწადში 200 ათას დოლარზე მეტს ხარჯავს ჩვენი პროდუქციის რეკლამირებაზე: ის ამზადებს პუბლიკაციებს ჟურნალ-გაზეთებისთვის, განათავსებს გარე რეკლამებს, ატარებს პრეზენტაციებს და ა.შ. ახლაც, 3-7 თებერვალს, ქალაქ მოსკოვში გაიმართა დსთ-ს სივრცეში ყველაზე მასშტაბური ალკოჰოლური სასმელების გამოფენა „პროდ-ექსპრო“, რომელშიც „თბილღვინო“ სწორედ „მოზელის“ დახმარებით მონაწილეობდა. ამ გამოფენაზე ჩვენმა „ხვანჭკარამ“ ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო „წინანდალმა“ და „მუკუზანმა“ უმაღლესი ხარისხის დიპლომები აიღეს. უკრაინაში ჩვენი პარტნიორია, ასევე, ლიდერი კომპანია „დოლმარტ უკრაინა“, რომელიც უკრაინის ბაზარზე ელიტარულ ფრანგულ და იტალიურ ალკოჰოლს წარადგენს. ლატვიაში — მსხვილ საფინანსო ჯგუფ „მონო ჰოლდინგში“ შემავალი ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუტორი კომპანია „ალიანსი-2“. ყაზახეთში ჩვენი კომპანიონია „ინტერფუდი“, რომელიც არა მარტო ყაზახეთის, არამედ მთელი შუა აზიის ბაზარზე ლიდერობს. სხვათა შორის, ახლახან ამ კომპანიამ „თბილღვინოს“ ექსპორტის გაყიდვების მენეჯერი ერთი წლით სამუშაოდ მიიწვია და ყაზახეთში ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნა“.

### რატომ ენდობიან უცხოელები „თბილღვინოს“

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც საკმარისია იმისთვის, რომ „თბილღვინოს“ მზარდ და სტაბილურ იმიჯზე ვისაუბროთ. თუმცა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც მის, როგორც პატიოსანი ბიზნეს-პარტნიორის რეპუტაციაზე მეტყველებს: თითოეულ უცხოელ მწარმოებელთან, რომლისგანაც „თბილღვინოს“ დამხმარე მასალები (ბოთლები, საცობები, ეტიკეტები და ა.შ.) შემოაქვს, გრძელვადიანი საკრედიტო ურთიერთობები აკავშირებს. პოლიტიკურად და ეკონომიკურად მაღალი რისკის მქონე საქართველოში მსგავსი პრეცედენტი ნაკლებად ხდება. ამ ფონზე ოთხი წლის ისტორიის მქონე საწარმოსთვის უცხოელ პარტნიორთა უპირობო ნდობის მოპოვება უდავოდ სერიოზული წარმატებაა. ბიზნეს-პარტნიორებთან საკრედიტო ურთიერთობებზე თავად „თბილღვინოს“ აღმასრულებელ დირექტორს, **ზურაბ მარგველაშვილს** გავესაუბრეთ:

— პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, მაღალხარისხოვანია არა მხოლოდ ღვინო-მასალით, არამედ გარეგნული იერ-სახითაც. თვით უცხოელი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ „თბილღვინოს“ პროდუქციის გაფორმება, ბოთლის დიზაინი და ეტიკეტი უკვე სტანდარტზე მაღლა დგას. ყველა დამხმარე მასალა, რაც ხარისხიანი და ძვირადღირებული ღვინის ჩამოსხმისთვისაა საჭირო, წამყვანი უცხოური მწარმოებლებისგან შემოგვაქვს. მაგალითად, ბოთლს იტალიური მწარმოებლისგან, „ვეტრისგან“ ვყიდულობთ, საცობს და ჩაჩს პორტუგალიელი მწარმოებლისგან. მისი სახელია „ამორიმი“, რომელსაც მაღალხარისხოვანი ნატურალური კორპის საცობის წარმოების ასწლიანი ისტორია აქვს. მემბრანულ ფილტრს, რომელსაც ჩვენ საბოლოო პროდუქტის ჩამოყალიბებისას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვყიდულობთ ამერიკული კომპანია „პალისგან“, რთველისთვის დამხმარე მასალებს — საფრანგეთში, კომპანია „ლაფორტისგან“ და ა.შ.

**— ეს სწორედ ის კომპანიებია, რომლებთანაც „თბილღვინოს“ საკრედიტო ურთიერთობები აქვს?**

— დიახ. მათთან ურთიერთობა 2000 წლიდან დავიწყეთ. თავდაპირველად, ყველაფერში, რასაც კი ვყიდულობდით, თანხას 100%-ით წინასწარ ვიხდიდით. ასე იყო 2001 წელსაც. 2002 წლის დასაწყისიდან კი, ჩვენს მომწოდებლებთან ჯერ ოცდაათდღიან, მოგვიანებით სამოცდღიან, წლის ბოლოს კი ოთხმოცდაათდღიან საკრედიტო ურთიერთობებზე გადავედით.

**— უფრო მარტივად ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოგვცეს უფლება, პროდუქციის საფასური, მისი საქართველოში ჩამოსვლიდან 90 დღეში გადავიხადოთ. ეს არის საკრედიტო ურთიერთობებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

**— ეს ურთიერთობები თქვენს ბიზნესს რითი აუმჯობესებს?**

— როდესაც წინასწარ გადახდაზე ვმუშაობდით, დამხმარე მასალების იმ რაოდენობით ყიდვას ვახერხებდით, რის საშუალებასაც ჩვენი მწირი ბიუჯეტი გვაძლევდა. შესაბამისად, დიდი რაოდენობით ღვინის ჩამოსხმასაც ვერ ვახერხებდით. თუმცა, შემდეგ ხარისხი ნელ-ნელა წამოვწიეთ, გაყიდვებმაც მოიმატა და საბრუნავი კაპიტალიც გაჩნდა. დღეს უკვე შეგვიძლია, ჩვენს მომწოდებლებს წინასწარ მივცეთ შეკვეთა, ღვინო რეალიზაციაში გავუშვათ და დამხმარე მასალების ფული მხოლოდ ამის შემდეგ გადავიხადოთ.

**— ასეთი მაღალი ნდობა თქვენს პარტნიორებთან როგორ მოიპოვეთ?**

— ეს ნდობა ორი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ჩვენმა პარტნიორებმა დაინახეს, რომ „თბილღვინოს“ პროდუქციის გაყიდვები სტაბილურად იზრდებოდა. მისი ხარისხიც, საერთაშორისო პარამეტრების მიხედვით, საკმაოდ მაღალი და კონკურენტუნარიანი გახდა. ჩვენს უცხოელ პარტნიორებს დავანახეთ, რომ კრედიტუნარიანი კომპანია ვართ. ვფიქრობ, ორწლიანი ურთიერთობა საკმარისია იმისთვის, რომ კომპანიის შესაძლებლობა და პოტენციალი რეალურად შეაფასო.

„თბილღვინოს“ სოლიდურობისა და საიმედოობის შესაფასებლად კი უბრალო არითმეტიკული გათვლებიც საკმარისია: ***2001-2002 წლების სტატისტიკის მიხედვით, კომპანიაში ღვინის რეალიზაცია 518. 410 ლარიდან 4 მილიონ 25 ათას ლარამდე, ანუ 776%—ით გაიზარდა, ექსპორტის მოცულობამ კი 123. 800 ლარიდან 3. 070. 350 ლარამდე, ანუ 2080%-ით მოიმატა. ამავე პერიოდში, სახელფასო ფონდი 162 797 ლარიდან 567.200 ლარამდე, ანუ 350 პროცენტით გაიზარდა.*** ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ციფრები საკმარისია იმისთვის, რომ კომპანიამ, თუნდაც ქართული მწარე რეალობის გათვალისწინებით, უცხოელი პარტნიორების სერიოზული ნდობა მოიპოვოს.

### „თბილღვინოთი“ ევრობანკიც დაინტერესდა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამამ და ევროგაერთიანებამ ერთობლივად შეიმუშავა ე.წ. „ტამის“ პროგრამა, რომლის მიზანიც აღმოსავლეთ ევროპის საწარმოებისთვის დახმარების გაწევა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი ეფექტური ადაპტირებაა. პროექტის ღირებულება ნახევარ წელიწადში 60 ათასი ევროა და მას მთლიანად ევრობანკი აფინანსებს. უფრო კონკრეტულად კი, „ტამის“ სპეციალისტთა ჯგუფი შეისწავლის კონკურსის საფუძველზე შერჩეული კომპანიების ძირითად მიმართულებებს, შესაძლებლობებს, პერსპექტივებსა და ხარვეზებს. ამის შემდეგ ყალიბდება ის პრიორიტეტები, რაზეც ევრობანკის 60 ათასი ევრო გაიხარჯება.

„ტამის“ პროგრამის დირექტორი ჯონ ჰიერინა, საქართველოში თითქმის ორი წელი ეძებდა იმ შესაძლო კანდიდატებს, რომლებიც ამ პროგრამის ქვეშ მხარდაჭერას მიიღებდნენ. 2001 წლის ბოლოს ის „თბილღვინოსაც“ ესტუმრა და პროგრამის კანდიდატობაც შესთავაზა. ამის შემდეგ „ტამის“ ექსპერტებმა კომპანიის ინფრასტრუქტურა, წარმოების დინამიკა, მისი ადამიანური და ფინანსური რესურსები საფუძვლიანად გამოიკვლიეს და 2002 წლის 28 თებერვალს პირველი შეთანხმებაც დადეს — „ტამის“ პროგრამა მზად იყო „თბილღვინოს“ მხარდასაჭერად.

2002 წლის ოქტომბერში „ტამმა“ „თბილღვინოში“ იტალიელი ექსპერტი მევენახეობის საკითხებში, კარლო არნულფო მოავლინა. ძირითადი დახმარება საწარმოს სწორედ მევენახეობა-მეღვინეობაში ესაჭიროება, ამიტომაც იტალიელმა ექსპერტმა საფუძვლიანად დაათვალიერა ის მიწის ნაკვეთები, სადაც „თბილღვინო“ ვენახების გაშენებას გეგმავს. ჩატარდა რამოდენიმე ექსპერტიზაც, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ეს მიწები ვენახების გასაშენებლად საკმაოდ მაღალხარისხოვანია. კარლო არნულფომ საანალიზო მასალა იტალიაშიც წაიღო, საიდანაც ახლახან „თბილღვინომ“ მეტად საყურადღებო რეკომენდაციები მიიღო. „თბილღვინოში“ თვლიან, რომ ევრობანკის პროგრამა ახალი ვენახების გაშენებასა და მათი ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. „ტამის“ პროექტის პირველი შედეგი რამდენიმე თვეში გამოჩნდება. და თუ პროექტი წარმატებულად ჩაითვლება, ევრობანკი „თბილღვინოს“ მის გაგრძელებას ჰპირდება.

**კომპანია „პირველი ლობის“ პრესსამსახური.**



**სურათზე: „თბილღვინოსა“ და რუსული სადისტრიბუციო კომპანია „მოზელის“ წარმომადგენლები „პროდ-ექსპროზე“ დაჯილდოების შემდეგ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 37, ორშაბათი, 10 თებერვალი, 2003 წელი.

## მოდით, ერთად ვიცინოთ!

### ბრანისლავ ნუშიჩი *

# ობსტრუქცია

ამ სათაურს რომ წაიკითხავენ, ქალები უეჭველად იტყვიან: „აუ, ისევ, ამ კაცს არანაირად არ შეუძლია, ჩვენ რომ თავი დაგვანებოს“!

და თუმცა ასეთი სათაურით ნამდვილად შეიძლებოდა, რომ დაწერილიყო ქალებზე, მაგრამ მე არ ვაპირებ მათზე სიტყვის თქმასაც კი.

დღეს ვფიქრობ ობსტრუქციის აღწერას, საპარლამენტო ობსტრუქციისას.

თქვენთვის, რასაკვირველია, ცნობილია, რომ მსოფლიოში არა მარტო ჩვენს ქვეყანას აქვს კონსტიტუცია და პარლამენტი. ისინი აქვთ ყველა დანარჩენ მოწინავე ქვეყნებშიც, მაგალითად, რუსეთში, ჩერნოგორიაში, აბისინიაში, ირანში და ა. შ.

მაშ ასე, ირანში არის კონსტიტუცია, არის შაჰი, არის მთავრობა, არის პარლამენტი, ხოლო პარლამენტში, რა თქმა უნდა, არის ბუფეტი.

სხვათა შორის, ამაში არაფერია სპეციფიკურად ირანული: ყოველი კონსტიტუციური სახელმწიფოს პარლამენტში აუცილებლად არის ბუფეტი და ყოველ კონსტიტუციურ სახელმწიფოში სხდომებისა და გრძელი სიტყვების დროს დეპუტატები იქ შერბიან რაღაცის გადასაკრავად.

და აი, არცთუ დიდი ხნის წინათ ირანის პარლამენტის დღის წესრიგში შეტანილი იყო კანონპროექტი როზგებით დასჯის შესახებ. მთავრობას აუცილებლად მიაჩნდა დაეკანონებინა ფიზიკური დასჯა. ამასთან, მთავრობის მომხრეებისათვის, როგორიც გინდ ყოფილიყო მათი დანაშაული, ტერფებზე დარტყმების რაოდენობა არ უნდა აღმატებოდა ოცდახუთს და ეკზეკუციის შემდეგ მათთვის ტერფებზე ზეთი უნდა წაეცხოთ. ოპოზიციონირებისთვის კი დასაშვები იყო ორმოცდაათი დარტყმა ტერფების შემდგომი დაზეთვის გარეშე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, მიუხედავად პარტიათაშორისი უთანხმოებებისა და კანონპროექტის ჩასაგდებად ლეგალური შესაძლებლობების უქონლობისა, მოაწყო ობსტრუქცია, გამოდიოდნენ რა უსაშველოდ გრძელი სიტყვებით. შეკითხვები და გრძელი სიტყვები თითქმის თხუთმეტ დღეს გრძელდებოდა, სანამ ირანის შაჰმა თავისთან არ დაიბარა მთავრობა და არ გამოთქვა ოპოზიციისადმი რაღაც დათმობაზე წასვლის სურვილი.

მთავრობამ თათბირები დაიწყო. იუსტიციის მინისტრს ნასრედინს მიაჩნდა, რომ შეიძლებოდა ოპოზიციონერებისათვის ჯოხების დარტყმის რაოდენობის ორმოცამდე შემცირება.

— ამით ვაჩვენებდით ოპოზიციის მოთხოვნათა მიმართ დათმობაზე წასვლას — დაამატა იუსტიციის მინისტრმა ნასრედინმა და ასეთი მშვენიერი ფრაზის წარმოთქმით კმაყოფილმა წვერზე ხელი ჩამოისვა.

— სისულელეა, — შეეპასუხა მუზაფარედინი, განათლების მინისტრი, — მე ასეთ დათმობაზე არ წავიდოდი, მაგათ ისიც ეყოფათ, თუ ჩვენ იმაზე დავთანხმდებოდით, რომ ეკზეკუციის შემდეგ მათთვის ტერფებზე ზეთი წაესვათ. ამაზე წასვლა შესაძლებელია, რათა შემდეგ არავინ თქვას, თითქოს თანადროულობას ჩამოვრჩით.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრმა, მას კი შეუერთდნენ დანარჩენებიც. ასე გადაწყდა ოპოზიციისადმი დათმობაზე წასვლა და იმაზე დათანხმება, რომ ეკზეკუციის შემდეგ ტერფებს იმათაც დაუზეთავდნენ.

ორივე ოპოზიციური ფრთა, რომელთაგან ერთი, უკიდურესად მემარცხენე, საერთოდ როზგების წინააღმდეგი იყო, ხოლო მეორე, ოპორტუნისტული, პრინციპში ეთანხმებოდა გაჯოხვას, თუმცა მოითხოვდა დარტყმების ერთნაირ რაოდენობას, როგორც მთავრობის მომხრეთათვის, ისე ოპოზიციისათვისაც, აგრძელებდა ობსტრუქციას და ურფო მეტი გამძაფრებით წარმოთქვამდა ერთმანეთზე უგრძეს სიტყვებს. შაჰი შეძრწუნდა, შეძრწუნდნენ მთავრობაცა და მისი მომხრეებიც, შეძრწუნდა საპარლამენტო უმრავლესობაც, შეძრწუნდნენ ჩინოვნიკებიც და მთელს ირანში მხოლოდ ერთადერთი კაცი უზრუნველად და კმაყოფილი ხითხითებდა. ის პარლამენტის ბუფეტის მფლობელი იყო, რომელიც კმაყოფილებით იფშვნეტდა ხელებს და თავისთვის ფიქრობდა:

„უეჭველად ღმერთი მწყალობს, კიდევ ოთხი-ხუთი ასეთი გრძელი სხდომაც, დღეში ხუთი-ექვსი გამოსვლაც და მე გავმდიდრდები“.

მინისტრები თავიანთ თათბირებს აგრძელებდნენ, თავს იმტვრევდნენ, თუ რა ეღონათ, სანამ ერთხელ პოლიციის მინისტრმა ნურედინ ბენ-ალიმ მხიარულად არ წამოიძახა:

— მივაგენი!

— რას, გაფიცებ ალაჰს? — მინისტრებს, ერთდროულად რომ წამოხტნენ სავარძლებიდან ეგონათ, რომ ნურედინმა მიაგნო ახალ საზღვარგარეთულ ბანკს, რომლისგანაც ახალი სესხის აღება შეიძლებოდა.

— მივაგენი, თუ როგორ შეიძლება ოპოზიციასთან გასწორება.

— ნუთუ? — გაიოცა პრემიერ-მინისტრმა ნასრედინ ბენ-ვახირმა.

— დიახ, ეფენდი, აბა, მომისმინეთ.

ყველამ ყური ცქვიტა.

— ბუფეტის პატრონი მთავრობის მომხრეა?

— რასაკვირველია, — უპასუხა პრემიერ-მინისტრმა, — ყოველ კონსტიტუციურ სახელმწიფოში ბუფეტები არენდით მხოლოდ მთავრობის მომხრეებს გადაეცემათ.

— კარგია. მე ვიშოვე ექვსი ბოთლი სასაქმებელი ზეთი, რაც მას უნდა გადავცეთ.

— რისთვის, თუ გწამს ალაჰი? — ინტერესით ჰკითხა იუსტიციის მინისტრმა ნასრედინმა.

— შარბათში, რასაც ოპოზიციონერები დაუკვეთავენ, ის დაუმატებს ხუთ წვეთ სასაქმებელ ზეთს.

— მაშინ რა მოხდება? — ყველას დაასწრო განათლების მინისტრმა მუზაფარედინმა.

— აბა, მაშინ სცადონ გრძელ-გრძელი სიტყვებით გამოსვლა!

— ხა-ხა-ხა! — მხიარულად გადიხარხარა პრემიერ-მინისტრმა, — მოდი, ათ-ათი წვეთი ჩაუმატოს, რათა შეკითხვებსაც მოეშვან.

— ხი-ხი-ხი! — ახარხარდნენ მინისტრები და ხმა მისცეს ათ წვეთს.

მეორე დღეს, სხდომის წინ ყველა სახალხო დეპუტატმა ბუფეტში მოიყარა თავი, რათა შარბათითა და ლახათ-ლუხუმით მომაგრებულიყვნენ, ბოლოს სხდომაც დაიწყო.

ტრიბუნაზე პირველი ავიდა ყველაზე ავი ოპოზიციონერი ასრედინი და მთავრობას შეუტია:

— მე ვეკითხები პრემიერ-მინისტრს, სწორია თუ არა, რომ შაჰს სურდო აქვს და ამას ხალხს უმალავენ?

ასრედინს არც კი დაემთავრებინა რომ პრემიერ-მინისტრი წამოდგა ადგილიდან, რათა ამის უარყოფით გამოსულიყო. ყოველ კონსტიტუციურ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრები ხომ უარყოფენ ყველაფერს, რასაც კი მოჰკითხავენხოლმე, მაგრამ მან ლაპარაკი დაიწყო თუ არა, ყველაზე ავი ოპოზიციონერი ასრედინი გაწითლდა, როგორც კიბორჩხალა და დარბაზიდან ისე გავარდა, რომ საპარლამენტო მოსამსახურეც კი წააქცია.

— ასრედინ-ეფენდი რატომ გაურბის პასუხს? — კითხულობს პრემიერ-მინისტრი და ცბიერად გასცქერის პოლიციის მინისტრს ნურრედინ ბენ-ალის.

— სიტყვა ეძლევა ხაკი-ეფენდის, — აცხადებს თავმჯდომარე.

— კეთილი, მადლობთ, მოგვიანებით... — ხელს იქნევს ხაკი ეფენდი და დარბაზის გავლით გასასვლელისაკენ გარბის.

— სიტყვა ეძლევა შიმახი ბენ-მუჰამედს, — აცხადებს თავმჯდომარე.

— ის ეზოშია! — ყვირის უმრავლესობა.

— სიტყვა ეკუთვნის ბახრი ბენ-ნადირს!

— ისიც ეზოშია! — ისევ გაჰყვირის უმრავლესობა.

— სიტყვა ეძლევა ალი ბენ-ალის! — ზარს რეკავს თავმჯდომარე.

ალი-ბენ-ალი დინჯად წამოდგება ადგილიდან.

ო-ო-ო! — დაიგმინა დარბაზმა, რადგან უკვე სამი დღეა, ხმა დადიოდა, რომ თითქოს ალი ბენ-ალი უფრო დიდხანს ლაპარაკს აპირებდა, ვიდრე დრაგიშა ლაპჩევიჩი სერბიის სათათბიროდან.

ალი ბენ-ალი ავიდა ტრიბუნაზე, ჩაახველა, პრემიერ-მინისტრი კი გადაიხარა იუსტიციის მინისტრისაკენ და ჩურჩულით ჰკითხა:

— მაგან დალია?

— ოცი წვეთი, — უპასუხა მინისტრმა.

— ბატონებო! — დაიწყო ალი ბენ-ალიმ, მაგრამ უცებ შეკრთა, ტრიბუნიდან ჩამოგორდა და დარბაზშივე დაიწყო შარვლის გახსნა.

ნახევარი საათის შემდეგ მთელი ოპოზიცია პარლამენტის მახლობლად ჩაცუცქულიყო, უმრავლესობამ კი ხმა მისცა კანონს გაჯოხვით დასჯის შესახებ.

ასე გაუსწორდნენ თეირანში ობსტრუქციას.

* * *

სწორედ ახლა იმიტომ გიამბობთ ამ ისტორიას, რომ იქნება ღმერთმა ქნას, ის კიდევ ვიღაცამ გამოიყენოს!

1906 წელი

თარგმნა **ვალიკო სიმონიშვილმა.**

*** ბრანისლავ ნუშიჩი (1864-1938). შესანიშნავი სერბი იუმორისტი, სატირიკოსი და კომედიოგრაფი. ის მთელი ცხოვრება ამტკიცებდა, რომ სიცილი სერიოზული საქმეა. მისი კომედია „ფილოსოფიის დოქტორი“ დაიდგა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში.**

## სიჭაბუკე და ლექსი ერთია

# [vf bchftkblfy



**ნანა შაბათაშვილ-დავარი ისრაელში მცხოვრები პოეტი ქალია, სულით ხორცამდე ერთგული თავისი ორი სამშობლოსი, ისრაელისა და საქართველოსი.**

**ისრაელს, ახდენილი ნატვრის ქვეყანას ოთხ შვილს უზრდის, საქართველოს, მონატრების ქვეყანას კი ქართული სიტყვით, ქართული ლექსით ეჩურჩულება და ლოცავს... დაე, უფალმა ორივე ქვეყანა დაულოცოს!**

**მაყვალა გონაშვილი.**

### ორბის თვალი

ქარებს მივყვები,
შემოდგომაზე როგორც მიდიან
მწიფე შინდები,
ახლა ჩემს სულში სიმარცხვეა,
მთებზე დახრილა თეთრი ნისლები.
ცელქი, შხაპუნა მინდვრის წვიმები
გზას მოცბორავენ, ამ გზას ფრიალოს.
შენ კი მახწავლი, ეკლის ბაწარზე
თავაწეყულმა როგორ ვიარო.
ხვალ-ზეგ თანდათან გაქრება ესეც,
მთვა სიმღაშე წვიმის და თოვლის,
ამ ყნაყოფო ვენახის მთესველს
ყრჩი კვიციით განმდევნით სოფლით.
სხვა რა გზა არის, დავრჩები ასე,
ყრუ ხეობაში დამცროვეთ მარცრ,
ჩემი მდინარე სულს ისე კაწრავს,
როგორც თიბათვე აპრილის ცაცნობს.
რაღაცას დავთმობ და მივაცროვებ,
დაკოდილი სხეულს თებერვლის ქარით,
სისხლიან ყვავილს მწუხარედ აქცევს,
ქვის სახთყმალი და ორბის თვალი.

წასულ დღეების მდუმარებას
რომ გაყრბოდა.
ასკილის ცოცის ყვავილივით
მწიფდა იარა,
სურნქვაშეკრულ მდელოსავით ყოვლის
მომრევი
და ირწეოდა, ირწეოდა, დარდი კი არა,
ქვებზე დაყრილი ყვავილების
თეთრი რცრობი.

### იმ დღეებისთვის

ქალბატონ ნათელა პატარკაციშვილს

ვანა ლექსისთვის, ვანა ცრემლისთვის,
არც რა ბედისთვის და ბედმწერისთვის,
ერთი ღმერთისთვის, ერთი
ცრემლისთვის,
ასე ნათელი მზით შეხვედრისთვის,
მაგ დათაფლული ბაგე-ამბორით,
მომენაცრები, სადაც ვიქნები,
ზღვა სყრვილივით სულში ჩამდნობით,
მანათობელი შენი ფიქრებით,
დიდხანს გამყვები იმ მზის ნათელით.
და აპრილების ქარით, ყვავილთა,
თითქოს დამინთე გზებზე სანთელი,
რომ ცის ნათელი გულში ჩავიდგა,
დახვავებული ფითრი ნალველის
თბილი ღიმილით შორს წარიცაცე
მზემოწეული სანთელ-საკმევლით,
შენი სიცყრფე რომ დავინახე,
ვერდით დამდევდი სუფთა ღიმილით,
დედას პურივით კალთას მითბობდი,
როცა ჩალისფერ კაბის ვვირილით
ისევ შენნაირ კაბას მიწყობდი,
პური გავცეხეთ ერთად მარანში,
იმ ჩვენი ძმობის ფესვიც დავლოცეთ,
მზედ ჩახაცყული ყბე-კალთაში,
რომ მადლი ყფლის ისევ
გაცოცხლდეს.
ერთად ვიარეთ ქართლის ქუჩებშიც.
ვნახეთ თბილისის ავლა-დიდებაც,
იმ დღიდან მომდევს რაღაც
ყოქმელიც,
შუა ცეცხლით რომ წამეკიდება.
როგორ გამათბე, როგორ დამათვრე,
როგორ მაამე სულის სალბუნით,
როგორი მზეც და შვილიც მანახე,
ყფლის ქალაქშიც ისე დავბრუნდი...
და თუ ფიქრებით დღესაც შენთან ვარ,
არც სად წავსულვარ და არც საითკენ,
შენი ბრალია ესეც, ვეთაყვა!
ყველგან თანა მდევ, რომ არ წავიქცე.
მადლი შენს ყფალს და დამბადებელს,
კარგად გამზრდელი შვილის დედილო,
ეს ლოცვაც ათას სიცოცხლედ ვექცეს
თაფლად შეგერგოს, ჩემო კეთილო!

### გვირგვინი

ყნდა მაჩუქო ეს ერთი წუთი,
ვიდრე წასვლა და არაფერს მეცყვი,
გადაიყაროს ევება მწუხრი
და მოლოდინი ზავის და სეცყვის.
დაწყრყლ იქნას ცრემლისგან ვაზი.
ეკალი ღობის ჩხირად ვაქციო,
გადავიცანო როგორმე მარცხი,
მთელი ქვეყანა არ დავაქციო.
მწუხრის სიმღერას გავყვე მხარულად,
არცრა სიშმაგით. ნებით, დასცყრით,
რომ სიზმარეთის ფერთა მარყლას,
ეცლში შეებას ეს დღე წარსულის.
მონაცრებული, ხარბი სიცილი,
ცრემლზე გავცვალო ზარის ხმასავით,
გული დავცალო, — ეკლის გვირგვინით
კლდეს რომ შევასკდე ფარვანასავით.

* * *

გასაჭირი იმდენია ქვეყნად,
შენ კარგი თქვი, დამიამე წყლული,
თორემ ისევ ქარ-წვიმების ცყვე ვარ
და სავსეა ჭირნახულით გული.
ერთი მითხარ იმნაირი რამე,
დავიჯერო, არც არაფერს ვწუხდე,
მხრებზე მეწყოს ფრთაქათქათა მთვარე,
და ნეკერჩხლის ცოცებივით ვდუღდე.

### მარტოობის სარკეში

იდგა სარკესთან,
თოვლის თმებით, თოვლის თითებით
და მარგალიტის თეთრი წვიმა
გულ-მკერდს ულობდა,
მე დავინახე მოლოდინის ქოხი შიშველი,

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გინდ დაიჯერე, გინდ — არა

# მისტიკა და კრიმინალისტიკა

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ გაეგოს შუასაუკუნეების ფრანგი ექიმისა და ასტროლოგის მიშელ ნოსტრადამუსისა და ჩვენი თანამედროვე ბულგარელი ბრმა ნათელმხილველის ვანგელია სურჩევას — ვანგას სენსაციურ წინასწარმეტყველებათა შესახებ. ესენი ის პიროვნებები იყვნენ, რომლებიც ისტორიაში თავიანთი უნიკალური ექსტრასენსული ნიჭის წყალობით შევიდნენ. მაგრამ ამგვარი სახის შესაძლებლობებს ხშირად ამჟღავნებენ ეგრეთ წოდებული „უბრალო ადამიანებიც“. ფსიქოლოგებმა და პარაფსიქოლოგებმა კარგა ხანია დაამტკიცეს, რომ თავსდამტყდარი დიდი ტრაგედიის მომენტში ადამიანის გონებაში იღვიძებს ნათელმხილველობისა და წინასწარმეტყველების უნარი, მართალია იგი ბევრ შემთხვევაში „ერთჯერადია“, მაგრამ არის ამ უნიკალური მომენტის „გაგრძელების“ შემთხვევებიც. ამის შემდეგ ასეთი პიროვნება ხდება ექსტრასენსი.

მეცნიერები სანამ ადამიანის გონების ამ უნიკალურ ფენომენს შეისწავლიდნენ, ეს მოვლენები ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ნათელმხილველობის ერთეული მომენტები, რომელიც უფრო ხშირად ადამიანთა მკვლელობებთან არის დაკავშირებული, წარმოდგენილია სიზმრის ან მოლანდების სახით და რამდენჯერმე მეორდება. ექსტრასენსული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს მოკლულის „სული“ მანამ ეცხადებათ, სანამ ესა თუ ის მკვლელობა არ გაიხსნება. შემდეგ „სულთა ვიზიტები“ წყდება. ხილვებით შეპყრობილი პიროვნებები პოლიციასთან მისვლის ნაცვლად (აქვთ შიში იმისა, რომ არანორმალურებად არ შერაცხონ) ფსიქიატრებს აკითხავენ. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარ მოვლენებს ჭკუაშერყეული ადამიანის ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევდნენ.

მეოცე საუკუნის მიწურულს სულ უფრო მეტად დაინტერესდნენ სამართალდამცავები ამგვარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებით და მათი დახმარებით მრავალი სისხლის სამართლის საქმე გახსნეს. ნიუ-იორკის პოლიციასთან 1984 წლიდან თანამშრომლობს ცნობილი ექსტრასენსი და ნათელმხილველი ფილიპ ჯორდანი, რომელიც რამდენიმე რთული დანაშაულის გახსნაში დაეხმარა სამართალდამცავებს. თითქმის იმავე წლიდან აშშ-ს ილინოისის შტატის მედისონის ოლქის სამართალდამცავებთან მჭიდრო კონტაქტი აქვს ქალაქ დელავანში მცხოვრებ ექსტრასენსს გრეტა ალექსანდერს. ექსტრასენსების პოლიციის შტატში აყვანის პრაქტიკა ფართოდ დაინერგა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. არაოფიციალურად ნათელმხილველები თანამშრომლობენ რუსეთის სამართალდამცავებთანაც.

ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენს მკითხველებს მოვუთხროთ ნათელმხილველთა მიერ რამდენიმე რთული სისხლის სამართლის საქმის გახსნის შესახებ.

* * *

1984 წელს აშშ-ში ექსტრასენსისა და პოლიციის ურთიერთთანამშრომლობით გაიხსნა მეტად არატიპური შემთხვევა. 4 აგვისტოს კროულების ოჯახმა უქმე დღის მეგობრებთან ნიუ-იორკის მახლობლად მდებარე ტბა ემპიერზე გატარება გადაწყვიტა. თან ხუთი წლის ვაჟი ტომიც წაიყვანეს. ადგილზე მისვლისას დროსტარებისათვის მზადებაში ისე გაერთვნენ, რომ ვერც შეამჩნიეს როგორ დაიკარგა პატარა ტომი. სულ მალე ბიჭუნას ძებნაში ტაიოგას ოლქის მცხოვრებლები ჩაერთვნენ პოლიციელებთან და მეხანძრეებთან ერთად. საღამოს ექვსი საათისათვის ძებნაში ასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. დაბინდდა, ძებნამ უშედეგოდ ჩაიარა, ტომის კვალს ვერსად მიაგნეს. ყოველგვარი იმედი გადაეწურათ. სწორედ ამ დროს პოლიციელებს ადგილობრივმა მეხანძრემ რიჩარდ კლარკმა მორიდებით მიმართა: „უპრიანი ხომ არ იქნებოდა ამ მხარეში ცნობილი ექსტრასენსის ფილიპ ჯორდანისთვის გეთხოვათ დახმარება?“ მეხანძრის განცხადება ყველამ სკეპტიკურად მიიღო, გარდა შერიფის მოადგილე დევი რედსიკერისა, რომელსაც რამდენჯერმე მოუხდა თანამშრომლობა ჯორდანთან.

მეხანძრემ ტომის მშობლებს ბავშვის საწვიმარა გამოართვა და ექსტრასენსთან წავიდა, რომელიც, საბედნიეროდ, შინ დახვდა. მან მხოლოდ საწვიმარა გაუწოდა ჯორდანს, რომელიც კარგა ხანს ხმისამოუღებლად ათვალიერებდა ბავშვის სამოსს, შემდეგ ფურცელზე ტბის კონტურები და მისი შემოგარენი მოხაზა. ბოლოს ღრმად ამოისუნთქა და კლარკს მიუბრუნდა: „ბიჭუნა ცოცხალია და სადღაც აქვე იმყოფება“. მეხანძრე სასწრაფოდ დაუკავშირდა პოლიციის განყოფილებას და ექსტრასენსის ნათქვამი გადასცა.

დილით რიჩარდ კლარკი და ფილიპ ჯორდანი ტბის ნაპირზე გავიდნენ. ტირილითა და ნერვიულობით ღამენათევ მშობლებსა და მათ მეგობრებს ექსტრასენსის დანახვისას იმედი ჩაესახათ. ჯორდანმა კვლავ მოითხოვა ბიჭუნას ტანსაცმელი, ბოლოს არჩევანი სპორტულ მაისურზე შეაჩერა, რომელიც ტომს გაუჩინარების წინ გაეხადა. ჯორდანი ტრანსში ჩავარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ წინა საღამოს ნათქვამი გაიმეორა, ახლა უკვე დაბეჯითებით დაამატა: „მე ვხედავ ბიჭუნას, რომელიც ხის ქვეშ წევს, ხელები თავქვეშ აქვს ამოდებული და ძინავს“. ჯორდანმა სქემაზე ფანქრით შემოხაზა ბავშვის ადგილსამყოფელი.

ტომ კროული ზუსტად ერთ საათში იპოვეს. იმ ადგილზე, სადაც ფილიპ ჯორდანმა მიუთითა. აღმოჩნდა, რომ ტომმა ტყეში დაუკითხავად გადაწყვიტა გასეირნება, უკან დაბრუნებისას გზა აებნა და „ბანაკის“ საპირისპირო მხარეს წავიდა, ასე აღმოჩნდა ტბის მეორე ნაპირზე, პიკნიკის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. შებინდდა, ბიჭუნა მთელი ღამე შეშინებული, ტირილით დაბორიალობდა. ბოლოს ძალა გამოელია და ჩაეძინა.

ამ ისტორიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გაზეთები აჭრელდა ტომი კროულისა და ფილიპ ჯორდანის ფოტოებით. ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ექსტრასენსს. ჯორდანს მიანიჭეს ტაიოგას ოლქის შერიფის მოადგილის საპატიო წოდება. საზეიმო საღამოზე, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, ტაიოგას ოლქის შერიფმა რეიმონდ ოიერსმა განაცხადა: „ამ საქმეში ფილიპ ჯორდანმა ბრწყინვალედ გამოიყენა თავისი პარანორმალური ნიჭი. ამის შემდეგ მე მსურს, რომ მან ეს მონაცემები ხშირად გამოიყენოს და ჩვენს პოლიციას დახმარება გაუწიოს რთული კრიმინალური დანაშაულების გახსნაში“.

* * *

1983 წლის აპრილში უგზო-უკვლოდ დაიკარგა ილინოისელი მერი კუსეტი, რამდენიმედღიანმა ძებნამ შედეგი არ გამოიღო და პოლიციელებმა 27 წლის მერი მკვდრად ჩათვალეს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ეჭვი მიიტანეს მერის უახლოეს მეგობარ სტენლი ჰოლიდეიზე, რომელიც იმავე დღეს დააპატიმრეს, მაგრამ რადგან გოგონას გვამი ვერსად აღმოაჩინეს და დამამტკიცებელი საბუთებიც არ ჰქონდათ, ჰოლიდეის ოფიციალური ბრალდებები ვერ წაუყენეს.

როდესაც მერი კუსეტის გვამის ძებნამ შედეგი არ გამოიღო, პოლიციელებმა მედისონის ოლქში ყველაზე ცნობილ ექსტრასენსს გრეტა ალექსანდერს მიაკითხეს, რომელსაც თავისი ნიჭის წყალობით ადრეც გაუწევია სამართალდამცავთათვის დახმარება. მას მერის ბინიდან რამდენიმე ნივთი მოუტანეს. გრეტამ ისეთი მანიპულაციები ჩაატარა, რომ შემხედვარეს მის ნორმალურობაში ნამდვილად ეჭვი შეეპარებოდა. სამაგიეროდ დაწვრილებით აღწერა, თუ სად უნდა მოეძებნათ გოგონა, რომელიც სამწუხაროდ უკვე ცოცხალი აღარ იყო.



„იგი მოკლულია. მის უთავო გვამს, რომელსაც კიდურებზეც ჭრილობები აქვს, მდინარის ნაპირზე იპოვით. იქვე ავტომაგისტრალიც გადის. ძებნაში ეკლესია და მარილი დაგეხმარებათ. მოკლულის მოკვეთილი თავი მოშორებითაა ჩაფლული. გვამს იპოვის დაზიანებულხელიანი მამაკაცი. მის სახელსა და გვარში ფიგურირებს ასო „ს“.

12 ნოემბერს პოლიციელის თანაშემწე სტივ ტროუმ, რომელსაც ადრე ბანდიტების ტყვიამ მარცხენა ხელის მტევანი დაუზიანა, მდინარე მაკინოუს ნაპირზე ეკლესიის საკუთრებაში გადაცემულ ტერიტორიაზე იპოვა თავმოკვეთილი ქალის გვამი. რამდენიმე მეტრის მოშორებით ხიდის მახლობლად მოკლულის თავიც ნახეს. ექსპერტიზამ მოკლულში მერი კუსეტი ამოიცნო. მას წვივები გადაჭრილი ჰქონდა. იქვე ავტომაგისტრალი გადიოდა, რომლის გადაღმაც მარილის შესანახი საწყობები იყო განლაგებული.

ალტონელმა დეტექტივმა უილიამ ფიცჯერალდმა ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე განუცხადა, რომ გრეტამ ოცდაორჯერ გაუწია დახმარება პოლიციას, მისი ნაწინასწარმეტყველები ამჯერადაც ახდა.

ექსტრასენსმა გრეტა ალექსანდერმა კი მორიდებით დაამატა: „უბედურ მერი კუსეტის სულს ისე სურდა მისი გვამი ეპოვათ, რომ ყველაფერში შემიწყო ხელი. ადამიანის სული არასოდეს კვდება, იგი სიცოცხლეს აგრძელებს და ყოველთვის მიმანიშნებს ხოლმე, თუ სად უნდა ვიპოვო!“

ალბათ მეტად თამამი განცხადებაა, მაგრამ პარაფსიქოლოგთათვის მიღებული და უკვე რეალურად ქცეული.

* * *

სამწუხაროდ, კრიმინალისტიკის ისტორიაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამგვარი ხილვების გამო სრულიად უდანაშაულონი აღმოჩენილან განსასჯელთა სკამზე. ყველა სამართალდამცავს როდი სჯერა ექსტრასენსებისა და ნათელმხილველების, ყველა მათგანს როდი სურს გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნისას დახმარებისათვის მიმართონ მათ.

ეს კურიოზული შემთხვევა ილინოისის შტატის ქალაქ ოკ-პარკში მოხდა. 1980 წლის 3 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმეს 24 წლის ექთანი კარინ-ენ ფილიპსი. დეტექტივებმა მკვლელობის ადგილი დაათვალიერეს, შემდეგ კი ყოველ შემთხვევისათვის შეიარეს „კეთილი მეზობლების“ მისიის საერთო საცხოვრებლის შენობაში, სადაც ყოფილი პატიმრები ცხოვრობდნენ. ამ დროისათვის დეტექტივებს არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ მკვლელობის მოტივებზე, მკვლელსა და მის თანამზრახველებზე. პოლიციელებს შეხვდა ვინმე სტივენ ლინსკოტი, 26 წლის ღვთისმსახური, ადგილობრივი კოლეჯის სტუდენტი, რომელიც თავისუფალ დროს „კეთილი მეზობლების“ მისიაში ლექციებს კითხულობდა.

სტივენმა სამართალდამცავებს მოუთხრო წინა ღამით ნანახი საშინელი სიზმარი. დეტალურად აღწერა, თუ როგორ მოკლეს ქერათმიანი გოგონა, სად დააგდეს მისი გვამი და როგორ გამოიყურებოდა მკვლელი. „ყოველივე ეს ღმერთის ნებად მივიჩნიე და გადავწყვიტე თქვენთვის მომეთხრო, იქნებ ძიებაში წაგადგეთო“, — დაამატა ღვთისმსახურმა.

სტივენის სიზმარმა ძალზედ დააინტერესა დეტექტივები რობერტ საენი და რობერტ გრეგო. მათ ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხეს ღვთისმსახურს, გულდასმით მოუსმინეს და... დააპატიმრეს, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი. საბაბიც ჰქონდათ, მან ისე დაზუსტებით აღწერა მოკლული, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა, მკვლელობის ადგილი, სადაც არასოდეს ყოფილა, რომ მის უდანაშაულობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. შემთხვევის ადგილზე სტივენის თითის ანაბეჭდები ვერ აღმოაჩინეს, არც იმ ალიბმა უშველა, მკვლელობის დროს რომ კოლეჯში იმყოფებოდა. მას ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ორმოცდათხუთმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ღვთისმსახური შოკში ჩავარდა.

სტივენმა პატიმრობაში სამი წელიწადი დაჰყო, რის შემდეგაც ილინოისის შტატის სასამართლომ იგი გაამართლა, რადგან... ნამდვილი მკვლელი დაიჭირეს.

* * *

ასეა თუ ისე, ჩვენს დროში, ზოგიერთი ქვეყნის გარდა, ექსტრასენსებსა და ნათელმხილველებს ოფიციალური ინსტანციები, როგორც წესი, უნდობლობით უყურებენ და მათ სამსახურს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავენ...

მოამზადა
**მამუკა ვაშაკიძემ.**

## მსოფლიო შტრიხებში

### „რეკორდი“ „რეკორდს“ ემატება

ტაილანდში დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი კინოფილმების განუწყვეტელ ყურებაში. 17 კინომანმა, თითქმის სამი დღე და ღამე კინოთეატრიდან რომ არ გამოსულა, 36 ფილმი ნახა. ასეთი მარათონის ერთ-ერთი პირობა იყო, რომ ფილმის ჩვენების დროს არ ჩასძინებოდათ და შეძლებოდათ თითოეული ფილმის შინაარსის გადმოცემა.

საბოლოოდ თითოეულმა მათგანმა მიიღო 800 დოლარზე ცოტა მეტი.

ადრინდელი რეკორდი — 25 ფილმი, საერთო ხანგრძლივობით 51 საათი — ეკუთვნის კინოს ავსტრალიელ მოყვარულს.

* * *

შვეიცარიაში გაიმართა ჩემპიონატი გუნდაობაში. საკურორტო ალპიურ ქალაქ ობერზ-კსენში თოვლიან პაექრობაში ერთდროულად მონაწილეობდა 2473 კაცი.

ადრინდელი რეკორდი 782 კაცის ტოლია. ასეთი თამაშის მოყვარულები ორ ჯგუფად იყოფიან და ერთმანეთს გუნდებს უშენენ.

### გულმავიწყი ქირურგები

ყოველწლიურად 1500-ზე მეტ ქირურგიულ ხელსაწყოს ტოვებენ ამერიკელი ექიმები ოპერაციის შემდეგ ავადმყოფების სხეულში.

ამას მოწმობს ბოსტონის დიდი ჰოსპიტლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების მიერ მოწყობილი გამოკვლევების შედეგები.

თუმცა სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ რეალური სტატისტიკა გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ კლინიკები აუცილებლად არ მიიჩნევენ ავადმყოფების სხეულში აღმოჩენილი უცხო ნივთების გამჟღავნებას.

როგორც გამოკვლევის შედეგები მოწმობენ, ასეთი შემთხვევები უმეტესად მსუქან ავადმყოფებს ემართებათ, ვინაიდან საოპერაციო ფართობი საგრძნობლად დიდია, როგორც წესი, ნაოპერაციებ სხეულში სტოვებენ ტამპონებს, მომჭერებს, კაუჭებს, ბუნიკებს.



მასაჩუსეტსის შტატში ბოლო 16 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიებმა 3 მილიონი დოლარი გადაუხადეს 54 დაზარალებულს, რომელთა სხეულში აღმოაჩინეს ოპერაციის შემდეგ მიტოვებული ხელსაწყოები.

### „მოაზროვნე“ – მტვერსასრუტი

კორეელმა მეცნიერებმა გამოიგონეს „გონიერი“ მტვერსასრუტი, რომელიც ნაგავს ადამიანის დაუხმარებლად აგროვებს.

ახალი მოწყობილობა გზას იკვლევს მისი კომპიუტერის „მეხსიერებაში“ ჩადებული ოთახის სამგანზომილებიანი რუკით. ახალი აგრეგატი აღჭურვილია ღამის ხედვის ხელსაწყოთი, რისი მეოხებით უხმაუროდ სიბნელეშიც მუშაობს.

პირველად ოთახს რომ შემოივლის, მტვერსასრუტი „ცეცებით“ პოულობს გზას, იყენებს რა სენსორულ გადამწოდებს, დაბრკოლებებს რომ „ხედავს“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 10 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 10.15 მხ. ფილმი "**მეორე სტორაჟა**" 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 12.15 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 "ოქროს მარილი" 14.30 "საქართველო და გარესამყარო" 15.15 მხ. ფილმი "**ზარლოტ გრეი**" 17.10 "რამპა" 17.15 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაშში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 21.50 "ელ-ჯერი თბილისში" 22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება**"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**შეხვედრის ადგილი უცვლელია**" მე-3 სერია

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 19.05 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**ლანტანა**" მთ. როლში ჯეფრი რაში. 02.30 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 ალსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 01.05 მუსიკა 08.30 "**ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი**" 10.20 მხ.ფ. "**ქრონოსი**" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "**წარმატების საიდუმლო**" 1-ლი სერია 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 22.30 მხ.ფ. "**წარმატების საიდუმლო**" მე-2 სერია 00.30 ღამის ფილმი

--- კავკასია ---

12.00 ინდური მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი "**მის კონგენიალობა**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ვირთხების რბოლა**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**კერკეტი კაკალი**" 23.00 დოკ. ფილმი

--- 1ST ---

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**ჯეკ ფროსტი**" მთ. როლში მაიკლ კიტონი, კელი პრესტონი. 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო "**ანა და დედოფალი**" მთ. როლში ჯოდი ფოსტერი 01.45 ფილმი ღამურა "**საცეცები**" მთ. როლში ჯეი ჰარინგტონი 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 13.05, 14.05, 17.05, 18.50, 21.45, 23.40 მუსიკა 09.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00 მხ. ფილმი "**დუბლიორი**" 11.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 12.00 ქართ. მხ. ფილმი "**ლომა**" 13.20 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 მულტფილმი "ნოტრდამელი კუზიანი" 15.30 მხ. ფილმი "**ცდუნება**" 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 17.45 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 1-ლი სერია 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-7 ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 111-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "**ეი. აი. პი**" 22.00 მხ.ფ. "**აღმოსავლეთის ექსპრესი**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" 00.45 მხ.ფ. "**ავი ნაგაზები**"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 კომედია "**მისტერ პონკონგი**" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.10 სათავგადასავლო ფილმი "**ბიჭუნა ჯუნგლებიდან**" 13.50 დრამა "**ტელევიქტორინა**" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "მაგიური მარგალიტი" 17.35 მელოდრამა "**ვარდების სარეცელი**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 მხატვრული ფილმი "**ოკეანის ფსკერზე**" 21.25 დოკუმენტური ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 23.00 "ალტერნატივა" 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 01.05 საინფორმაცჯიო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.10 მხატვრული ფილმი "**საზღაური**" 03.30 მელოდრამა "**ჰოლივუდის პრინცესა**"

--- VII არხი ---

09.10 "აჩიკუდა" 09.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.15 მელოდია 10.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.15 "ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით) 12.05 კომპიუტერული ტექნიკა 12.40 დისნეი და მისი მეგობრები 13.00 კომპიუტერული თამაშები 13.15 მობილურები 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.35 კომპიუტერული ტექნიკა 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.55 კომპიუტერული თამაშები 21.10 "ლა-ლა-ლა" 22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.25 "კინოკლუბი " - "**აპოკალიფსი დღეს**" - 1 სერია. ა.შ.შ. 1989 წელი. ცხოვრებისეული. რეჟ. ფრენსის ფორდ კოპოლა. როლებში: მარლონ ბრანდო, ჰარისონ ფორდი, მარტინ შინი. 23.50 მობილურები 00.30 "ბიორითმი" - შერი.

## სამშაბათი
### 11 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 დოკ.სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 10.15 მხ. ფილმი "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "**ოთხეული**" 17.00 ოქროს ფონდიდან "მეტეხის ჩრდილში" 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 21.50 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 22.15 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**შეხვედრის ადგილი უცვლელია**" მე-4 სერია

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**ციმბირი**"

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**რევანში**" მთ. როლში ანი ჟირარდო 02.30 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.45 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 "ბურთი და მოედანი" 09.50 მხ. ფილმი " **წარმატების საიდუმლო**" 1-ლი სერია 10.30 დოკ. ფილმი 11.00 მხ.ფ. " **წარმატების საიდუმლო**" მე-2 სერია 13.10 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 17.30 მულტფილმი 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 20.00 მხ.ფ. "**უიღბლოთა კლუბი**" 22.00 დიალოგი 23.30 ძველი კინო - მხ. ფილმი "**მშვიდობით პოლიციელო**" 00.50 ღამის ფილმი

--- კავკასია ---

12.00 მხ. ფილმი "**კერკეტი კაკალი**" 14.15 მხ. ფილმი "**ვერტიკალური ზღვარი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ჩიხში**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი " **კერკეტი კაკალი -2**"

--- 1ST ---

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**თეთრების თასი**" მთ. როლ-ში კევინ კოსტნერი, რენე რუსო 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "**ღამეები ბუშის სტილში**" მთ. როლ-ში მარკ უოლბერგი, ბერტ რეინოლდსი. 01.45 ფილმი ღამურა "**მეოთხე სართული**" მთ. როლ-ში ჯულიეტ ლუისი, უილიამ ჰერტი. 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 10740, 11.50, 17.20, 18.50, 19.50, 21.45, 23.40 მუსიკა 10.10 მხ. სერიალი "**ჯონ როსი!**" 11.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ეი. აი. პი**" 12.55 მხ.ფ. "**აღმოსავლეთის ექსპრესი**" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.40 მხ. ფილმი "**ავი ნაგაზები**" 18.00 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" მე-2 ს. 18.40 მულტსერიალი "ვიზიონერები-მაგიური სინათლის რაინდები" 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 112-ე ს. 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები- კლოდ ჟელე ლორენი 21.00 მხ. სერიალი "**ეი. აი. პი**" 22.00 მხ. ფილმი "**ბაზა**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" 00.45 მხ. ფილმი "**ბინძური ქორები**"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 კომედია "**თეფში**" 11.05 დოკუმენტური ფილმი 12.10 სათავგადასავლო ფილმი "**ბებერი ბოზი**" 13.40 მხატვრული ფილმი "**რისკზე წასვლით გაიმარჯვებ**" 16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა" 17.30 სათავგადასავლო ფილმი "**კორინფის დამპყრობელი**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "Ï ðåñ-ï àï üå" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.50 კომედია "**მკვლელობა გროს-პოინტში**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 "Ï ðåñ-ï àï üå" 23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.15 დოკუმენტური ფილმი 01.10 კომედია "**იდეალური ქმარი**" 03.30 მელოდრამა "**იმედის გაელვება**" 05.10 დოკუმენტური ფილმი

--- VII არხი ---

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "ბედნიერი ერი" 09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 მელოდია 10.50 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.25 მობილურები 12.05 "ბიორითმი" - შერი. 12.25 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.15 კომპიუტერული თამაშები 13.25 დისნეი და მისი მეგობრები 13.45 კომპიუტერული ტექნიკა 14.30 ჰოროსკოპი 14.35 სპორტი 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 პორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.45 კომპიუტერული თამაშები 20.55 "ღამის კაპრიზი" - თემა: ტანსაცმელი და სტილი. 21.55 მობილურები 22.40 "**კინოკლუბი**" - "აპოკალიფსი დღეს" მე-2 სერია. 23.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 00.30 "ბიორითმი" - შერი.

## ოთხშაბათი
### 12 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 დოკ.სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 10.10 მხ. ფილმი "**შეხვედრების ადგილი უცვლელია**" მე-4 ს. 11.30 შემეცნ. ფილმი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო" 12.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 "პალიტრა" 14.55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-მოლდოვა. შესვენებისას "მოამბე" 16.55 დოკ. ფილმი "მსოფლიო ბაზრები" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 21.50 ირმა ნიორაძე 22.35 "მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო" (ტოკიო-კიოტო) 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**კანონის მეორე მხარეს**"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**ანგელოზის გადაფრენა**"

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 19.05 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**დარღვეული დუმილი**" მთ. როლებში მაიკლ დუგლასი, ელიზაბეტ ეშლი 02.30 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "**უიღბლოთა კლუბი**" 10.20 მხ.ფ. "**მშვიდობით პოლიციელო**" 12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმეორებით) 13.10 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "**რაბინ იაკობის თავგადასავალი**" 22.00 დიალოგი 23.30 მხ.ფ. "**ლენი**" 00.30 ღამის ფილმი

--- კავკასია ---

12.00 მხ. ფილმი " **კერკეტი კაკალი -2**" 14.00 მხ. ფილმი "**ტერმინატორი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ოცნების ზღვარი**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**კერკეტი კაკალი -3**" 23.00 დოკ. ფილმი

--- 1ST ---

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**რაინდის ისტორია**" მთ. როლ-ში ჰიტ ლეჯერი, შანინ სოსამონი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პა-სეანსი 23.00 ჩაძირობანა 00.00 ფილმი ბრავო "**ჯონ მალკოვიჩად ყოფნა**" მთ. როლში ჯონ კიუსაკი, კამერონ დიასი 01.45 ფილმი ღამურა "**ნიჭი**" მთ. როლში კეიტ ბლანშეტი, ჯიოვანი რიბიზი 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 11.50, 14.20, 17.20, 19.50, 21.50, 23.40 მუსიკა 10.10 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 11.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ეი. აი. პი.**" 12.50 მხ. ფილმი "**ბაზა-1**" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "მწერები იმპერია" 1-ლი ნაწ. 15.40 მხ. ფილმი "**ბინძური ქორები**" 17.45 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-9 ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები- პიკასო 1-ლი ნაწ. 21.00 მხ. სერიალი "**ეი. აი. პი.**" 22.00 მხ. ფილმი "**ბაზა-2**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" მე-8 ს. 00.45 მხ. ფილმი "**დაბრუნება**"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 კომედია "**სიცილის მეფეები**" 11.05 დოკუმენტური ფილმი 12.10 ზღაპარი "დაბრუნება ოზ-ის ქვეყანაში" 14.10 მელოდრამა "**ქორწილი**" 16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები" 17.25 დრამა "**ყვავილოვანი დედაქალაქის შესახებ**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.50 მხატვრული ფილმი "**პარის ქალიშვილი**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 "პრესდაიჯესტი" 23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 "ალტერნატივა" 01.10 დეტექტივი "**გამოსავალი არ არის**" 03.30 მხატვრული ფილმი "**მოსავლის დრო**"

--- VII არხი ---

09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 11.05 კომპიუტერული ტექნიკა 11.45 "ბიორითმი" - შერი. 12.05 მობილურები 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.05 კომპიუტერული თამაშები 13.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.40 მობილურები 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 კომპიუტერული თამაშები 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.00 კომპიუტერული ტექნიკა 22.40 "კინოკლუბი " - "**ზეცის ტყვეები**".ა.შ.შ. 1996 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ. ფილ ჟუანო. როლებში: ალეკ ბოლდუინი, ერიკ რობერტსი. 00.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.15 "ბიორითმი" - შერი.

## ხუთშაბათი
### 13 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 დოკ.სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 10.15 მხ. ფილმი "**კანონის მეორე მხარეს**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 თბილისი და თბილისელები 15.15 მხ. ფილმი "**მარსიანოს საჩუქარი**" 16.50 ზ. წერეთლის გამოფენა მოსკოვში 17.10 მიწის პროექტი საქართველოში 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ემმაკუნა**" 21.50 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 22.30 "საქართველო არის ესე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**კაფკა**" 01.35 ქართული ენის გაკვეთილი

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**სასიკვდილო მტრობა**"

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 19.05 სერიალი "**კუსტოს წყალქვეშა ოდისეა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**მოკლე შეჯახება**" მთ. როლებში სოფი ლორენი, რიჩარდ ბარტონი 02.30 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ.ფ. "**რაბინ იაკობის თავგადასავალი**" 10.20 მხ.ფ. "**ლენი**" 13.10 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.30 მხ.ფ. "**იქ, სადაც გულია**" 00.55 მხ.ფ. "**თეთრი ქორწილი**" 01.30 ღამის ფილმი

--- კავკასია ---

12.00 მხ. ფილმი "**კერკეტი კაკალი -3**" 14.10 მხ. ფილმი "**ტერმინატორი - 2**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**პაროლი ხმალთევზა**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**მარტის კატები**" 22.30 მხ. ფილმი "**ძაღლების მტვრეველი**"

--- 1ST ---

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "**სიყვარულის მაგე**" მთ. როლში ჰარვი კაიტელი, რეიჩელ ბლანშარი 01.45 ფილმი ღამურა "**ძაღლები და ქალები**" მთ. როლში ვუპი გოლდბერგი. 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 11.50, 14.25, 17.20, 19.50, 21.50 მუსიკა 10.10 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 11.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ.სერიალი "**ეი. აი. პი.**" 12.50 მხ. ფილმი "**ბაზა-2**" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" მე-2 ნაწ. 15.40 მხ. ფილმი "**დაბრუნება**" 18.00 მხ. სერიალი "**ჯონ როსი**" 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-10 ს. 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 20.00 დოკ. ფილმი"პალიტრა" ფრანგი მხატვრები- პიკასო მე-2ნ. 21.00 მხ. სერიალი "**ეი. აი. პი.**" 22.00 მხ. ფილმი "**დაწყევლილი ფული**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" მე-9 ს. 00.45 მხ. ფილმი "**ვიბრაცია**"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 კომედია "**პრეზიდენტის მეგობარი ქალები**" 11.05 დოკუმენტური ფილმი 12.10 სათავგადასავლო ფილმი "**მატყუარა**" 13.45 დრამა "**ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა**" 16.10, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი 17.30 ფილმი-კატასტროფა "**შტორმი**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პირისპირ" (საავტორო გადაცემა) 20.20 მხატვრული ფილმი "მსოფლიოს მწვერვალზე" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 23.00 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 მელოდრამა "**ჰილარი და ჯეკი**" 03.30 მხატვრული ფილმი "**პროვინციული რომანი**" 05.20 დოკუმენტური ფილმი

--- VII არხი ---

09.10 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 09.55 მობილურები 10.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.40 "ბიორითმი" - შერი. 12.00 აუდიო-ვიდეო-ტელე 12.40 დისნეი და მისი მეგობრები 13.00 კომპიუტერული თამაშები 13.15 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 20.20 კომპიუტერული თამაშები 20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: სიყვარულის დღე -"ვალენტინობა". 21.25 მობილურები 22.10 "კინოკლუბი " - "**დორზი**". ა.შ.შ. 1991 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: ოლივერ სტოუნი. როლებში: ველ კილმერი, მეგ რაიანი. 00.25 კომპიუტერული ტექნიკა 01.05 "ბიორითმი" - შერი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## პარასკევი
### 14 თებერვალი

---

07.30 ალიონი 09.45 დოკ.სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 10.15 მხ. ფილმი "კაფკა" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი "უცხო ამერიკა" 16.45 საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "ბენი ჰილი" 22.15 "შეხვედრები ფიქრის გორაზე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "იდიოტების ალბუმი"

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ოქროს ქერავი" მთ. როლებში სერგეი იურსკი, ზინოვი გერდტი 02.30 მხ. ფილმი "უკანასკნელი ცდუნება" მთ. როლებში ლინდა ფიორენტინო, ბილ იულმენი 04.30 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.45, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "იქ, სადაც გულია" 10.20 მხ. ფილმი "თეთრი ქორწილი" 13.10 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 20.00 მხ.ფ. "ჩვენნაირი ადამიანები" 1-ლი ნ. 22.00 დიალოგი 23.30 მხ.ფ. "ჩვენნაირი ადამიანები" მე-2 ნ. 00.30 ღამის ფილმი

#### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "მარტის კატები" 13.30 მხ. ფილმი "ქალების მტვრეველი" 15.00 მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ბარი ველური კოიოტი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" 23.15 მუსიკა 00.25 მხ. ფილმი "ცდუნება"

#### IST

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 22.45 პა-სეანსი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "წითელი დრაკონი" მთ. როლ-ში ენტონი ჰოპკინსი, ედვარდ ნორტონი 01.45 ფილმი ღამურა "უჩინარი" მთ. როლ-ში კევინ ბეიკონი, ელიზაბეტ შუ. 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 14.20, 17.25, 19.50, 21.50, 23.50 მუსიკა 10.05 მხ. სერიალი "ჯონ როსი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მ.სერიალი "ვი.აი.პი." 12.50 მხ. ფილმი "დაწყევლილი ფული" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" მე-3 ნაწ. 15.40 მხ. ფილმი "ვიბრაცია" 18.00 მხ. სერიალი "ჯონ როსი" 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-11 ს. 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 110-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები-სალვადორ დალი 1-ლი ნ. 21.00 მ.სერიალი "ვი.აი.პი." 22.00 მხ. ფილმი "მეოთხე სართული" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" მე-10 ს. 00.45 მხ. ფილმი "ვნებათა სასტუმრო"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 მუსიკა 10.00 საბავშვო ფილმი "ჰერცოგი დიუკი" 12.15 სათავგადასავლო ფილმი "მიმინოს კვალი" 14.25 დრამა "მარვინის ოთახი" 16.15 მულტფილმი "ჩიპი და დეილის თავგადასავალი" 17.20 კომედია "ცხოველი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.35, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.40 მუსიკა 20.00 მელოდრამა "მიწიერი სურვილები" 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" 01.00 თრილერი "აღსარება" 03.30 კომედია "ჰარლემის ღამეები"

#### VII არხი

09.15 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 კომპიუტერული ტექნიკა 10.40 "ბიორითმი" - შერი. 11.00 მობილურები 11.40 დისნეი და მისი მეგობრები 12.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.25 "მელოდია" 12.40 კომპიუტერული თამაშები 12.50 "მელოდია" 13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 კომპიუტერული თამაშები 19.45 "ობიექტივი" -სტუმარი 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 22.10 "კინოკლუბი " - "წვიმის კაცი". ა.შ.შ. 1987 წელი. დრამა. რეჟ. ბარი ლევინსონი. როლებში: ტომ კრუზი, დასტინ ჰოფმანი. 01.10 ბიორითმი" - შერი.

## შაბათი
### 15 თებერვალი

---

08.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" 10.00 დილის პაემანი 11.00 "ლატარია ყველასათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 საკვირაო გამოფენა 11.55 "გლობუსი" 12.25 "მეტრო" 13.00 კვალი 13.40 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" მე-4 ს. 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "ფულის მეფენი" 16.50 საწინდარი 17.15 "რეალური სამყარო" 17.30 მულტსერიალი "ბელფეგორი" 1-ლი ს. 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.40 "ფორტუნა" 21.15 სერიალი "ქალები ზღვისპირეთში" 22.05 მღერის ი. სოხაძე 01.10 მხ. ფილმი "ტუჩები განვადებით" 01.40 ღამის ჯაზი

---

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი "დაო სტივა"

---

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ათასწლეული" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 კურიერი P.S. 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "გზის სიმღერა". 00.15 მხ.ფ. "შავი რაინდი" მთ. როლებში მარტინ ლოურენსი, მერი ფრენსი 02.15 ღამის ჯაზი

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "ჩვენნაირი ადამიანები" 1-ლი ნ. 10.20 მხ. ფილმი "ჩვენნაირი ადამიანები" მე-2 ნ. 13.10 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. "ოცნების ზღვარი" 23.00 მხ.ფ. "უბრალო ისტორია" 00.40 ღამის ფილმი

#### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" 14.20 მხ. ფილმი "კარგი, ცუდი, ბოროტი" 17.10 მხ. ფილმი "სარკეს ორი მხარე აქვს" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი "ბორნის პიროვნების საიდუმლო" 00.20 მხ. ფილმი "ყბები"

#### IST

09.00 განმეორებით რუსული მუსათეული 10.00 ტოროლა 13.00 განმეორებით უცნობი 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი "ჯანდაბას სიყვარული" მთ. როლ-ში ფრენჩ სტიუარტი, ბრიჯიტ უილსონი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "ბალისტიკა: ექს სივერის წინააღმდეგ" მთ. როლში ანტონიო ბანდერასი 01.50 ფილმი ღამურა "აკოცე ვისაც გინდა" მთ. როლ-ში შარლოტა რემპლინგი, კაროლ ბუკე 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 14.25, 17.15, 17.45, 18.35, 19.40, 23.45 მუსიკა 10.05 მხ. სერიალი "ჯონ როსი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მ. სერიალი "ვი. აი. პი." 12.50 მხ. ფილმი "დაწყევლილი ფული" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "მწერების იმპერია" მე-4 ნაწ. 15.40 მხ. ფილმი "ვნებათა სასტუმრო" 18.00 დოკ. ფილმი "ცირკის ხელოვნება" 1-ლი ნ. 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 19.00 დოკ. ფილმი "ფლამინგო" 1-ლი ნ. 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები - სალვადორ დალი მე-2 ნ. 21.00 დოკ. ფილმი "ივ სენ ლორანი" 22.00 კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი "მბზინვარე გონება" 77-83-28 2. მხ. ფილმი "გადასახადთა ამკრეფი" 77-83-29 3. მხ. ფილმი "გენერალი" 77-83-30 00.20 მხ. ფილმი "ბრწყინვალე წლები"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 მულტფილმი "აბა, დამაცადე!" 10.30 საბავშვო ფილმი "პატარა სტიუარტი" 12.15 მითოლოგიური ფილმი "ოდისეა" 1 სერია 13.50 მელოდრამა "აქ მდინარე მოედინება" 16.15 მულტფილმი "ალადინის ყველაზე გრანდიოზული მოგზაურობა დროში" 17.40 კომედია "ჩუმად ბანეზო" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "ყველანი ვართ პატარები" 19.40 მუსიკა 20.20 სათავგადასავლო ფილმი "იაკამასი" 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 მელოდრამა "ზღვით წაღებული" 03.30 მელოდრამა "პატიოსანი კურტიზანი"

#### VII არხი

18.10 მობილურები 18.50 მელოდია 18.55 კომპიუტერული თამაშები 19.00 "აჩიკუდა" 19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.55 "ღამის კაპრიზი" - თემა: უსახლკარო 20.55 კომპიუტერული ტექნიკა 21.40 "კინოკლუბი " - "მარტოხელა თეთრი ქალი" ა.შ.შ. 1998 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ. ბარბე შრედერი. როლებში: ბრიჯიტ ფონდა, ჯენიფერ ჯეისონ ლი. 23.25 აუდიო-ვიდეო-ტელე 00.10 "მელოდია" 00.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატი.

## კვირა
### 16 თებერვალი

---

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "ტუჩები განვადებით" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრესსტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატი. თსუ – "ბასკო" მე-2 ტაიმი. 16.10 მხ. ფილმი "ზამთრის ძილქუში" 17.35 ტელეზღაპარი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "სახსოვარი" 18.50 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ბაზრები" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი "ქალები ზღვისპირეთში" მე-4 ს. 22.15 ქართ. მხ. ფილმი "თემო" 23.55 ტაიმ-აუტი 00.25 მხ. ფილმი "არლეტი"

---

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე 20.30 საქ. მატიანე 21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი) 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "მეორე სამყარო"

---

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ათასწლეული" 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 00.40 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ველური ამბები 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 60 წუთი 22.25 ჩვენი ეზო 22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "შეხება" 8 77 45-79-25 კევინ კოსტნერი, "მეორე ჭეშმარიტება" 8 77 45-79-26, მიშელ მერსიე, რობერ ოსეინი, "უნებლიე მილიონერი" 8 77 45-79-27 ვაინონა რაიდერი, ადამ სანდლერი. 00.50 მხ.ფ. "ბრწყინვალე გონება" მთ. როლებში რასელ ქროუ, ჯენიფერ კორელი. 03.00 კლასიკა.

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი" 10.20 მხ.ფ. "უბრალო ისტორია" 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "ბიჭები ბრუნდებიან" 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. "შეყვარებული თომა" 00.50 ღამის ფილმი

#### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ბორნის პიროვნების საიდუმლო" 15.00 მხ. ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბში" 17.00 მხ. ფილმი "ეპიდემია" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "ტყუპები" 22.00 მხ. ფილმი "სახელმწიფოს მტერი" 00.10 მხ. ფილმი "შუაღამის ექსპრესი"

#### IST

10.00 ტოროლა 13.00 განმეორებით უცხოური მუსათეული 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი "სტიუარტ ლიტლი -2" მთ. როლში ჯინა დევისი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "სისხლის მარტოობა" მთ. როლ-ში ინგებორგა დანკუნაიტე, გოშა კუცენკო 01.45 ფილმი ღამურა "ექვსი" მთ. როლ-ში რიშარ ანკონინა, კიარა მასტროიანი 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 11.15, 13.25 15.50, 19.10, 23.40, 01.35 მუსიკა 10.10 რუს.მხ. ფილმი "უკვდავი კავშირი" 11.25 მხ. ფილმი "გენერალი" 13.40 მხ. ფილმი "ბრწყინვალე წლები" 16.10 დოკ. ფილმი "ცირკის ხელოვნება" მე-2 ნ. 17.00 მულტფილმი "გრაფი მონტე-კრისტო" 18.00 დოკ. ფილმი "ცირკის ხელოვნება" მე-5 ნ. 18.30 დოკ. ფილმი "ფლამინგო" მე-2 ნ. 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი "ანემია" 22.15 მხ. ფილმი "თანამზრახველები" 00.10 მხ.ფილმი "თვითმკვლელობის მეფეები"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 "ყველანი ვართ პატარები" 09.30 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00 საბავშვო ფილმი "ოთხფეხა მეგობარი" 12.15 მითოლოგიური ფილმი "ოდისეა" 2 სერია 14.30 დრამა "უკანასკნელი სურვილი" 16.15 მულტფილმი "მგლის ლეკვი" 17.35 თრილერი "პატრიოტი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 კომედია "სამსახურეობრივი რომანი" 22.30 «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå» 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå» 01.00 კომედია "მკურნალი ადამსი" 03.30 თრილერი "პირადი მცველი ქალიშვილისათვის"

#### VII არხი

17.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 17.30 "ლა-ლა-ლა" 18.00 ევროპული ფეხბუთი 19.00 "აჩიკუდა" 19.50 კომპიუტერული თამაშები 19.55 "ავტოტრეკინგი" 20.45 "კინოკლუბი " - "რაზმ "დელტა"-ს ოპერაცია" ა.შ.შ. 1997 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ. სემ ფირსტენბერგი. როლებში: ერნი ხადსონი, ჯეფ ფეიხი. 22.15 მობილურები 22.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.15 აუდიო-ვიდეო-ტელე 23.50 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. 01.45 კომპიუტერული ტექნიკა

## [illegible]

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**

14.02 (18.00) ანტონ დვორჟაკი "სერენადა". გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფია. [illegible] - თამაზ ჯაფარიძე.

16.02 (12.00) ანტონინ დვორჟაკი "სერენადა". გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფია. [illegible] - თამაზ ჯაფარიძე.

*ფასი 2-5 ლარი.*

**[illegible]**
[illegible] "[illegible]" [illegible].
[illegible]: 93-11-06

15.02, 16.02 (14.00) საბავშვო ზღაპარი "ყველაზე დიდი სასწაული"

15.02 (19.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი. რაფიელ ერისთავი "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი.

14.02 (19.00) ჯოზეფ ოზბორნი "კომედიანტები". დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

12.02, 13.02 (19.00) დათო ტურაშვილი "ჯინსების თაობა". დამდგმელი რეჟისორი _ დავით დოიაშვილი.

15.02 (19.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი. ლუი დე პირანდელო "ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი". დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი.

*ფასი 5 ლარი.*

მუნიციპალური „მეტეხის თეატრი"

**თეატრი "ძველი სახლი"
თბილისის მუნიციპალური
"მეტეხის თეატრი"**
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

თეატრი "ძველი სახლი"

11.02 (18.00) დავით კლდიაშვილი, რევაზ კლდიაშვილი "როსტომ მანველიძე". დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

13.02, 14.02 (18.00) თეოდორ დოსტოევსკი "იდიოტი". დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

*ფასი 2-5 ლარი.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

11.02 (20.00) რალფ კნიგი "ET CETERA". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.

12.02 (20.00) სამუელ ბეკეტი "გოდოს მოლოდინში". დამდგმელი რეჟისორი - ნიკა კიკაჩეიშვილი.

13.02 (20.00) რ. აკუტაგავა "უსიერ ტყეში". მონო სპექტაკლი ზვიად სხირტლაძის მონაწილეობით. დამდგმელი რეჟისორი - ნინო შოთაძე.

14.02 (20.00) "FM-90-იანი ხმა ადამიანისა". დამდგმელი რეჟისორი - ნანა ჯანელიძე.

*[illegible] 5 [illegible].*

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი**
აღმაშენებლის 99ჳ1 ტ. 96-09-03

დიდი დარბაზი

14.02 (15.00), 15.02 (12.00) ჰანს კრისტიან ანდერსენი "თოვლის დედოფალი" (ქართულ ენაზე). პრემიერა. დამდგმელი რეჟისორი - გია კიტია.

მცირე დარბაზი

16.02 (12.00) "ყოჩაღ მიცკ!" დამდგმელი რეჟისორი - ვიქტორ სმირნოვი.

*[illegible] 2 [illegible].*



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

12.02 (18.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი ჟან ჟიროდუ "ამფიტრიონ 38". დამდგემლი რეჟისორი _ მიხეილ თუმანიშვილი.

14.02 (18.00) [illegible] "ART", "ხელოვნება". [illegible] - [illegible].

15.02 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი "ნატაძრალი". დამდგმელი რეჟისორი - ნუკრი ქანთარია.

16.02 (18.00) "უბედი თუთიყუში". [illegible] - მედეა კუჭუხიძე.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38



11.02 (18.00) რევაზ კლდიაშვილი "მარტოობის ბინადარი". კითხულობს სოფიკო ჭიაურელი.

14.02 (18.00) თამაზ ბაძაღუა "ღამე და თუთიყუში". კითხულობს დუტა სხირტლაძე.

16.02 (18.00) ფრიდრიხ დიურენმატი "ღამის სტუმარი". მარლენ ეგუტიას და ირაკლი ჩოლოყაშვილის მონაწილეობით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## მეცნიერი და სპორტი

**ჩვენს რესპონდენტს ალექსანდრე (საშა) ალექსიძეს მისი ბავშვობიდან ვიცნობ: პატივი მქონდა, მემეგობრა მამამისთან, თვალსაჩინო ოფთალმოლოგთან, პროფესორ თამაზ ალექსიძესთან და ბიძამისთან, აკადემიკოს მერაბ ალექსიძესთან. სამწუხაროდ, ორივე ძმა ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან...**

**მშობლის პროფესიულ კვალზე დამდგარი საშა შესანიშნავი სპეციალისტია, ოფთალმოლოგი-ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ეროვნული ოფალმოლოგიური ცენტრის მიკროქირურგიული განყოფილების გამგე. იგი 43 წლისაა, დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე ირინე (აგრეთვე, ოფთალმოლოგი) და ქალვაჟი — 15 წლის მეათეკლასელი ნინო და 13 წლის მერვეკლასელი თამაზი...**



# მარადონას თამაშის თვითმხილველი

**— საშა, ვერაზე, ჯანაშიას ქუჩაზე გაზრდილი ყმაწვილი, უფეხბურთოდ არ დადგებოდი...**

— რა თქმა უნდა, იქ რომ ფეხბურთი არ მეთამაშა, ნამდვილად სირცხვილი იქნებოდა... „პარალელურად“ ვიოლონჩელოზე დავდიოდი (როგორც მალე გამოირკვა, უპერსპექტივოდ) და სულ იმის ცდაში ვიყავი, ბიჭებს ინსტრუმენტით არ დავენახე; თუმცა, ერთი მომენტიდან დაწყებული, ამ ფუტლიარიან ვიოლინოს შტანგად გამოყენება დავუწყეთ... ფეხბურთის თამაში სამედიცინო ინსტიტუტშიც გავაგრძელე და პირველ-მეორე კურსზე ნაკრებშიც შევდიოდი, ნახევარმცველი გახლდით, თუმცა ჩვენი გუნდი თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს შორის „გრანდად“ ვერ ჩაითვლებოდა. მეორე კურსზე მამაჩემმა შენიშვნა მომცა — ფეხბურთი ფეხბურთად, მაგრამ ამდენის უფლებას რატომ აძლევ თავს, შენი მთავარი საქმე ხომ მედიცინის შესწავლააო. სწორიც იყო...

**— როგორც ვიცი, შენი ძირითადი სპორტული სახეობა მაინც მაგიდის ჩოგბურთი გახდა...**

— ეს სკოლიდან დაიწყო — როგორღაც „პინგ-პონგისტთა“ ვარჯიშზე მოვხვდი და სექციაში სიარული შემომთავაზეს. IX კლასში თბილისის ჭაბუკთა პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. მაგიდის ჩოგბურთი ინსტიტუტშიც გავაგრძელე, პირველიდან მეექვსე კურსამდე სასწავლებლის უცვლელი ჩემპიონი გახლდით (ამიტომ მოეჩვენა მამაჩემს „ბევრი“...) ჩვენი გუნდი — 3 ვაჟი და 2 ქალი სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო სამედიცინო უნივერსიადებში, მოვიარეთ ბაქო, ერევანი, კაუნასი. ლიტვის დედაქალაქში მესამე ადგილი ავიღეთ სომხებისა და ლატვიელების შემდეგ, რაც დიდი წარმატება იყო.

**— ახლანდელ შენს „სპორტულობაზე“ რას გვეტყვი?**

— ჩემი პროფესია ცოტა დროს მიტოვებს, მაგრამ მაგიდის ჩოგბურთი „შემომრჩა“ და ახლაც სიამოვნებით ვთამაშობ. ბიჭთან ერთად შინ მცირე ხნით დაჭურვის ტიპის ვარჯიშებს ვაკეთებ. შვილებს ლაგუნა-ვერეზე მივყვები ხოლმე, ზოგჯერ ვცურავ — კროლი, ბრასი მემარჯვება.

**— „ეკრანის სპორტს“ თუ უთმობ დროს?**

— კარგი ხარისხის, მაღალი დონის უნდა იყოს ფეხბურთი, რომ ვუყურო. კლუბებს შორის „მანჩესტერს“ ვარჩევ ეროვნულ გუნდებს შორის, ულაპარაკოდ — ბრაზილიას.

**— ფეხბურთელთა შორის ვინ მიგაჩნია უძლიერესად?**

— შეიძლება ვცდები, მაგრამ მარადონას პელეზე მაღლა ვაყენებ. ოღონდ, რასაკვირველია, წმინდა სპორტული თვალსაზრისით და არა პიროვნულად... პელეს თავის გარშემო მუდამ ჰყავდა არანაკლები „პელეები“, მარადონას კი არა. სხვათა შორის, ინტერნეტით გამოკითხვაშიც მარადონამ აჯობა პელეს... 1990-91 წლებში ნეაპოლის თვალის საერთაშორისო მიკროქირურგიულ ცენტრში კონტრაქტით ვმუშაობდი ოფთალმოქირურგად, სწორედ მაშინ თამაშობდა „ნაპოლიში“ მარადონა, ძალიან კარგ ფორმაში იყო. მისი წყალობით გახდა „ნაპოლი“ ორჯერ ზედიზედ ჩემპიონი, 91-ში თასიც მოიპოვა. ორი მატჩი ვნახე მარადონას მონაწილეობით, ერთი ნახევარფინალში „ატლანტასთან“ 0:2-ს აგებდნენ და 3:2 მოიგეს! დიეგომ საოცრად ძლიერად ითამაშა! მას შემდეგ გავხდი მისი თაყვანისმცემელი.

**— ქართული სპორტის დღევანდელ მდგომარეობაზე თუ ხარ „ჩამოყალიბებული“ — პოლიტიკოსების საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ...**

— ეროვნული სპორტისა და, პირველ რიგში, ფეხბურთის ჩავარდნა, რა თქმა უნდა, ეკონომიკური მდგომარეობითაც არის გამოწვეული. საბედნიეროდ, სპორტულობა ჩვენს გენებში დევს, თვითნაბადები არ შემოგვლევია და, ძირითადად, ამის ხარჯზე აქა-იქ ვინარჩუნებთ მოწინავე პოზიციებს. თუ მძლავრი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ექნება სპორტს, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია, მაშინ მიღწევებიც არნახულად იმატებს. რასაკვირველია, ჩვენმა წარმატებულმა ბიზნესმენებმაც მეტი თანადგომა უნდა გამოიჩინონ.

აგერ ფეხბურთში ერთი ხეირიანი გუნდიც ვერ დავაყენეთ — გარბიან კარგი ფეხბურთელები. რაგბი, მართალია, ფეხბურთივით პოპულარული ვერ არის, მაგრამ მსოფლიოს ათეულში გასვლა ხომ შესანიშნავი წარმატებაა — რაგბისტებიც მგონი უკვე წავიდ-წამოვიდნენ...

**— საშა, მოდი ახლა ნინოს და თამაზის მაგალითზეც დავინახოთ, სპორტულად როგორ იზრდებიან პროფესორის შვილები...**

— ნინოს მართლაც კარგი შედეგები ჰქონდა ჭადრაკსა და ცურვაში. ჭადრაკში პირველ თანრიგამდე მივიდა, ძალიან მოსწონდა ისეთ მწვრთნელს, როგორიც ალეკო ბოკუჩავაა. ოღონდ უკვე IV კლასში სწავლის „სასარგებლოდ“ თქვა უარი... ყველა სტილით ცურავს, ერთხელ კროლში გაიმარჯვა კიდეც. ლაგუნა-ვერეზე კვლავ დადის.

თამაზიც დადიოდა ჭადრაკზე, ცურვაზე, მაგიდის ჩოგბურთში მეორეთანრიგოსანია, მეც მიჭირს მისი დამარცხება. ახლა დიდი ჩოგბურთისკენ გაექცა თვალი...

ესაუბრა
**თამაზ ებანოიძე.**

## ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად და... უჩვენოდაც

# წამლების ნაცვლად — მოძრაობა!

„პაციენტებს, ჩვენთან რომ მოდიან, თავიდან ერთობ უკვირთ: იმის ნაცვლად, რომ საწოლში ჩავაწვინოთ, „ზედმეტი“ მოძრაობისგან დავიცვათ, მათ ვთავაზობთ ყოველდღიურ რვასაათიან წვრთნა-ვარჯიშს, — ამბობს გიოტინგენის უნივერსიტეტთან არსებული კლინიკის ექიმი პეტრა ზაური.

მართლაც საკვირველია: ამ კლინიკის პაციენტები ძირითადად ქრონიკული ავადმყოფები არიან, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ ხერხემლის ტკივილისაგან, ამ დროს მათ „უწერენ“ არა წამლებს, არამედ მოძრაობას — სიარულს, სირბილს, ცურვას, ველოსიპედით სეირნობას. გაჯანსაღების ორთვიანი პროგრამა ამ კლინიკაში აგრევე შეიცავს ვარჯიშთა სხვადასხვა კომპლექსს ძალისმიერს, კუნთების შემკუმშავს და მოსადუნებელს, აგრეთვე, ფსიქოთერაპიის სეანსებს.

ასეთი მკურნალობის შედეგები შთამბეჭდავია. ავადმყოფთა 63 პროცენტი აგრძელებს შრომით საქმიანობას. პაციენტებს კვლავ უბრუნდებათ მოძრაობის უნარი, იშვიათად გრძნობენ ტკივილს, ტკივილისადმი დამოკიდებულებაც იცვლება: მას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას (ფსიქოლოგიური დამუშავების შედეგად).

ხერხემლის არეში ტკივილი დღეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობაა. გერმანიაში, მაგალითად, წელიწადში ერთხელ მაინც მას უჩივის 27-დან 74 წლამდე ასაკის მოქალაქეთა 73 პროცენტი.

ამის მთავარ მიზეზად ითვლება ეპოქისათვის დამახასიათებელი ჰიპოდინამია — მოძრაობის ნაკლებობა. ბავშვები იშვიათად გადიან სუფთა ჰაერზე სათამაშოდ, არჩევენ კომპიუტერებთან და ტელევიზორებთან ჯდომას. სპორტული ექიმის კლაუს ბიოსის მონაცემებით, თუ 25 წლის წინათ ათი წლის ბიჭუნა ექვს წუთში დარბოდა საშუალოდ 1024 მეტრს, ახლა დარბის მხოლოდ 875 მეტრს. ყოველ მერვე გერმანელ ბავშვს არასწორად აქვს ჩამოყალიბებული ტანი. ამას ხსნიან, კერძოდ, იმით, რომ მოსწავლეებს დააქვთ ძალიან მძიმე ჩანთები (ზურგჩანთები). ამ ჩანთების წონა არ უნდა აღემატებოდეს ბავშვის წონის ერთ მეათედს.

თუ ეს ეხება ბავშვებს, რაღა ითქმის დიდებზე? ბევრი მათგანი პოზის უცვლელად მთელ დღეს ატარებს კომპიუტერებთან, საწერ მაგიდებთან. როდესაც არ ვმოძრაობთ, კუნთებს ედება ქონი, ხერხემლის შემადგენელი ხრტილების ბოჭკოები მსხვრევადი ხდება. გარე რგოლზე გახლეჩვის გამო ხერხემლის არედან ვარდება ე. წ. დისკი, რომელიც ეხება გარემყოფ ნერვებს...

ვისაც სურს თავიდან აიცილოს ეს და სხვა დაავადებანი, უნდა ივარჯიშოს, რათა შეეძლოს ერთ პოზაში მრავალსაათიანი ყოფნით გამოწვეული უძრაობის კომპენსირება.

ქალაქ კიოლნის კვლევისა და პროფილაქტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა ახიმ დენერმა შეიმუშავა ზურგის (ხერხემლის) დაავადების რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი ვარჯიშების კომპლექსი, რომლის ჩატარება შეიძლება სამსახურში, შესვენებისას როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად.

კიოლნის კვლევისა და პროფილაქტიკის ცენტრში შეიმუშავეს ძალისმიერი ვარჯიშების მეთოდი ტრენაჟორების გამოყენებით.

ვერტიკალურ მდგომარეობაში ხერხემალი იმაგრებს ზუსტად 60 კუნთს. თუ ისინი არათანაბრადაა განვითარებული, ტკივილები ზურგის არეში გარანტირებულია. დენერისა და ცენტრის სხვა თანამშრომლების მიზანია, აღმოფხვრან მსგავსი დისპროპორცია, მიაღწიონ ზურგის მუსკულატურის ჰარმონიულად განვითარებას.

ის, რომ საკმაო ფიზიკური აქტივობის გარეშე არ არსებობს ჯანმრთელი ზურგი (ხერხემალი), ადრეც იყო ცნობილი. სიახლეა ის, რომ მრავალ კლინიკაში, სადაც მკურნალობენ ხერხემლის დაავადებებს, სპორტი იქცა მთავარ თერაპიულ საშუალებად. ასეთი კლინიკები უფრო გვაგონებს საწვრთნელ-სავარჯიშო დარბაზებს, ვიდრე საავადმყოფოებს. დანერის მეთოდიკა უკვე დანერგილია ორმოც სამედიცინო დაწესებულებაში. ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ სპორტი, განსაკუთრებით მისი სახეობანი — სირბილი, ცურვა, ველოსიპედით ვარჯიში, შეიძლება იყოს ტკივილების საწინააღმდეგო შესანიშნავი, მრავალ შემთხვევაში, უფრო ეფექტური და უშიშარი წამალი, ვიდრე ნემსები და აბები.

**მასალები აღებულია ჟურნალ „ფოკუსიდან“ (გერმანია).**




## ვარჯიში „ჯანსალი ხერხემალი“

**1. დაწექით ზურგზე. კეფა ეხება იატაკს. რიგრიგობით გაჭიმეთ ხელები და ფეხები.**

**2. ხელები მოჰკიდეთ მოხრილი ფეხების ჩაღრმავებას, თეძოები მიიტანეთ ტანთან, ერთდროულად ნიკაპი — მუხლებთან.**

**3. მარჯვენა ფეხის ტერფი დადეთ მარცხენა ფეხის მუხლქვემოთ ჩაღრმავებაში, მარჯვენა ხელი გაშალეთ განზე, მარცხენა ხელით დააწექით მუხლს, ერთდროულად აბრუნეთ თავი საწინააღმდეგო მხარეს. ვარჯიშის გამეორებისას შეცვალეთ ხელებისა და ფეხების მდგომარეობა.**

**4. დაწექით ზურგზე, მარცხენა ფეხის ტერფი დადეთ მარჯვენა თეძოზე, ხელებით მოიზიდეთ თეძო. გამეორებისას შეცვალეთ ფეხები.**

**6. ფეხები დააწყვეთ მცირე ამაღლებაზე. ნელ-ნელა ამოსწიეთ ტანის ზედა ნაწილი, ხელები გაჭიმეთ ფეხებთან.**

**7. მარცხენა ფეხის ტერფი შემოდეთ მარჯვენა მუხლზე, მარჯვენა მხარი ამოძრავეთ მარცხენა მუხლისკენ. არ დაგავიწყდეთ თავისუფლად სუნთქვა. ვარჯიშის გამეორებისას შეცვალეთ ფეხები.**

**8. დაეყრდენით იდაყვში მოხრილ მარცხენა ხელს, ფეხები მოხარეთ, ამოსწიეთ უკანალი. გამეორებისას შეცვალეთ ხელები.**

**9. მოხრილი მდგომარეობიდან გამართეთ ტანის ზედა ნაწილი, დუნდულები რჩება ქუსლებთან.**

**10. მუცელზე დაწოლილმა დაჭიმეთ დუნდულებისა და მუცლის კუნთები. ოდნავ ასწიეთ გამართული მკლავები, ბეჭები კი — უკან. გულბოყვით დააწექით იატაკს.**

**11. მიიღეთ მდგომარეობა, რომელიც ადუნებს ხერხემლის მალებს.**

**12. დამამთავრებელი პოზა. დასვენება.**

**ყველა ვარჯიში სრულდება დაახლოებით 10 წუთში.**

რუბრიკას უძღვება
**ანზორ ბასილაია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გამოსათხოვარი

# სჯობს სახელისა მოხვეჭა...



იგი ზოგისთვის „დაკარგული თაობის“ წარმომადგენელი იყო. შეიძლება, ამ მოსაზრებაში ჭეშმარიტების მარცვალს მივაგნოთ კიდეც — მართლაც, როგორ უნდა მოეხერხებინა უნიჭიერეს ყმაწვილს ვარსკვლავთკრებულად ქცეულ „დინამოში“ კონკურენციის დაძლევა, ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება და დიდი ფეხბურთის თამაში?

არიან ისეთებიც, ვისაც მიაჩნია, რომ ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, უმცროსმა მიშა მესხმა მაინც მოასწრო დაუვიწყარი საფეხბურთო შედევრების შექმნა და თავისი გვარის ღირსეული წარმომადგენლის სახელის დატოვება. გულშემატკივართა ამ ნაწილსაც აქვს არგუმენტები საკუთარი შეხედულების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად — რაოდენობა (ამ შემთხვევაში სტაჟი) ყოველთვის ხომ არ განსაზღვრავს ხარისხს?

ბევრი პიროვნულ თვისებებსაც უწუნებდა. რა თქმა უნდა, არც უმაგისობა იყო, მაგრამ დიდი მიშას შვილი როგორ შეიძლებოდა სავსებით ორდინარული ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, რომელ ჩვენგანს არ ემლება რამე? რაც მთავარია, იგი კაცობაში არ ჩაჭრილა არც უფროსთან და არც უმცროსთან, რასაც საფეხბურთო (და არა მარტო საფეხბურთო) სამყაროს არაერთი წევრი დაგიდასტურებთ. სხვათა შორის, საზღვარგარეთაც.

ხვალ, მიხეილ მიხეილის ძე მესხი სახელოვან წინაპართა სავანეში დაიდებს ბინას.

ნათელში იყოს მისი სული.



კალათბურთი

# ეს ერთი და სხვა მრავალი



მადლობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, მშვენიერი ასპარეზობა — ეროვნული თასის გათამაშება რომ დააფუძნა. საოცარი ის უფრო გახლავთ, აქამდე რომ ვერ მოიფიქრეს სპორტის ამ სახეობის მმართველი ორგანოს წინა შემადგენლობებმა ასეთი სიახლის დანერგვა.

ქების სიტყვებს იმსახურებენ რუსთავის სააქციო საზოგადოება „აზოტის“ მესვეურებიც, რომელთა ძალისხმევითაც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კეთილმოეწყო ინდუსტრიული გიგანტის სპორტული დარბაზი, სადაც მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა საკალათბურთო ზეიმის ბატალიები.

ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ პრესტიჟული ჯილდოს პირველი მფლობელი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ბათუმის „ბასკო“ გახდა, რომელმაც ასეთ წარმატებას მთავარი მწვრთნელის, იტალიაში მივლინებული ნუგზარ კანდელაკისა და რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე მიაღწია. დამატებით გაცნობებთ, რომ დაწესებული იყო ინდივიდუალური პრიზებიც, რომლებიც ზღვისპირელებმა კახა შენგელიამ, ირაკლი კეიდიამ, აგრეთვე, მასპინძლებმა რამაზ გოგობერიშვილმა, ირაკლი ჯაფარიძემ და სტუ-ს წარმომადგენელმა კოტე ტუღუშმა დაიმსახურეს.

რამდენიმე დღეც და გულშემატკივრებს ეროვნული ჩემპიონატის განახლებას მივულოცავთ — III წრე 16 თებერვალს აიღებს სტარტს.

**გია პლატონიშვილი.**

**სურათზე: ეროვნული თასის პირველი მფლობელი — „ბასკო“.**

ფეხბურთი

# ევროვნული ჩემპიონატების ტაბლო

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „ემპოლი“ 1:0, „უდინეზე“ — „პიაჩენცა“ 2:1.

**ესპანეთი.** „რეალი“ — „ბეტისი“ 4:1, „ვილიარეალი“ — „ვალიადოლიდი“ 1:0.

**ინგლისი.** „ბირმინგემი“ — „ჩელსი“ 1:3, „ბლექბერნი“ — „საუთჰემპტონი“ 1:0, „ლივერპული“ — „მიდლსბრო“ 1:1, „ჩარლტონი“ — „ევერტონი“ 2:1, „ლიდსი“ — „ვესტ ჰემი“ 1:0, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ბოლტონი“ 1:1, „ფულჰემი“ — „ასტონ ვილა“ 2:1, „ტოტენჰემი“ — „სანდერლენდი“ 4:1.

**გერმანია.** „ჰერტა“ — „შალკე“ 4:2, „ჰანზა“ — „კოტბუსი“ 0:0, „ბოხუმი“ — „ლევერკუზენი“ 2:1, „ჰანოვერი“ — „ნიურნბერგი“ 4:2, „ვოლფსბურგი“ — „ბილეფელდი“ 2:0, „ვერდერი“ — „მიუნხენი“ 1:2, „კაიზერსლაუტერნი“ — „გლადბახი“ 2:0.

**საფრანგეთი.** „აიაჩო“ — „მარსელი“ 0:2, „პარი სენ-ჟერმენი“ — „მონპელიე“ 1:3, „ჰავრი“ — „სედანი“ 2:1, „ლიონი“ — „ტრუა“ 0:0, „სტრასბური“ — „გენგამი“ 3:1, „ბორდო“ — „ბასტია“ 0:0, „ლილი“ — „ლანსი“ 0:2, „რენი“ „მონაკო“ 0:0, „ნიცა“ — „სოშო“ 2:2.



**პორტუგალია.** „ლეირია“ — „ბენფიკა“ 0:3, „ვარზიმი“ — „სპორტინგი“ 1:1, „სანტა კლარა“ — „ბოავიშტა“ 1:1.

**ჰოლანდია.** „როდა“ — „ვიტესი“ 2:0, „ჰერენვერი“ — „ალკმაარი“ 5:0, „ვალვაიკი“ — „ეინდჰოვენი“ 0:1, „როზენდალი“ — „გრააფსხაფი“ 1:0.

**ბელგია.** „მეხელენი“ — „ბრიუგე“ 0:8, „ანტვერპენი“ — „შარლერუა“ 3:1, „ლუვიე“ — „ლოკერენი“ 2:4, „ვესტერლო“ — „ლიერსი“ 1:2.

**შოტლანდია.** „დანფერმლაინი“ — „რეინჯერსი“ 1:3, „ჰართსი“ — „კილმარნოკი“ 3:0, „აბერდინი“ — „პარტიკი“ 0:1, „მოზერუელი“ — „ჰიბერნიანი“ 2:1.

ორბიტა

## ბექჰემი: საკუთარ ფულსაც კი გადავიხდი



როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა გაზეთ „სანის“ კორესპონდენტს განუცხადა, იგი სიამოვნებით გადაიხდიდა საკუთარ ფულს ისეთი ვარსკვლავების შესაძენად, როგორიც არიან ბრაზილიელი რივალდო, ფრანგი ზიდანი და იტალიელი დელ პიერო.

ბექჰემის აზრით, ეს არის თანამედროვეობის ყველაზე დიდი ფეხბურთელების უპირველესი სამეული და იგი ცდილობს მიბაძოს ამ უდიდეს ოსტატებს. ამავე დროს, როგორც წერს გაზეთი „სანი“, რივალდოს, ზიდანისა და დელ პიეროს სატრანსფერო ფასი გახლავთ დაახლოებით 150 მილიონი დოლარი, ისე რომ, ბექჰემი მათი შემძენი ნამდვილად არ არის.

## მათეუსი განარისხა... სატრფოს ასაკმა



ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელის, ახლა კი მწვრთნელის ლოთარ მათეუსის უკანასკნელი სასიყვარულო გატაცება იყო 17 წლის იულია კოჩერგა. უკრაინელი მოდელი, რომელსაც ავსტრიული პასპორტი აქვს, უკანასკნელ ხანებამდე ვენაში ცხოვრობდა.

მათეუსმა კოჩერგასთან სასიყვარულო ურთიერთობა შეწყვიტა და იგი თავისი სახლიდან გააძევა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ იულია მხოლოდ 17 წლისა ყოფილა. ახლა იულია კოჩერგამ ვენა მიატოვა და კიევში თავის დიდედასთან დაბრუნდა.

## დელ ბოსკე — საუკეთესო საკლუბო მწვრთნელი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო მწვრთნელების პირველი ათეულის სია, რომელიც ასე გამოიყურება:



1. ვისენტე დელ ბოსკე (მადრიდის „რეალი), 2. არსენ ვენგერი (ლონდონის „არსენალი“). 3-4 ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედი“) და კლაუს ტოპმიულერი (ლევერკუზენის „ბაიერი“). 5. ნერი პუმპიდო (პარაგვაის „ოლიმპია“). 6. რაფაელ ბენიტესი („ვალენსია“). 7. მარჩელო ლიპი (ტურინის „იუვენტუსი“). 8. კრისტიან გროსი („ბაზელი“). 9. ექტორ კუპერი (მილანის „ინტერი“). 10. ჟაირ პისემი (ბრაზილიის „სან-კაეტანო“).

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სურათი გადაღებულია ქ. ერევანში 1957 წელს იოსებ სტალინის ძეგლთან.

სხედან (მარჯვნიდან) — გივი აზაურაშვილი, გულიკო სიხარულიძე, ვილი კაჭარავა, ლალი ცოტაძე და გივი ოდიშარია. დგანან — მინდია სირაძე, ალექსანდრე ჩიკვაიძე და ჭოლა ჭყონია.

ფოტო მოგვაწოდა გივი ოდიშარიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## გახსენება



### ბახვა კალანდაძე

ბახვა კალანდაძე — ტრესტ „საკავშიროტელეფილმშენის" თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, სასადგურო მეურნეობის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი, საბჭოთა კავშირის „კავშირგაბმულობის ოსტატი" („მასტერ სვიაზი"), საბჭოთა კავშირის „კავშირგაბმულობის მაგისტრი" შესანიშნავი ადამიანი, კეთილი, უღალატო, ღირსეული მოქალაქე, კარგი მამა და მეუღლე.

ყოველთვის სანაქებო ადამიანი, ქებასა და დიდებას ერიდებოდი, მოკრძალებული და თავშეკავებული იყავი. შენმა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ უდიდესი ტკივილი და სინანული დაუტოვა შენს ახლობლებსა და მეგობრებს გულში. ნუგეშად გვრჩება მხოლოდ თქვენი სანიმუშოდ აღზრდილი სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი. მართალია, თქვენ ვერ მოესწარით შვილიშვილების გაჩენას, მაგრამ იცოდეთ, მათაც ისევე სასახელოდ აღზრდიან თქვენი შვილები და თქვენი მეუღლე — ქალბატონი მერი, როგორც თქვენ ისურვებდით.

ძვირფასო ბახვა! 10 თებერვალს 70 წელი შეგისრულდებოდათ. დრო ვერასდროს ამოავსებს იმ სიცარიელეს, რაც თქვენმა წასვლამ მოგვიტანა. მუდამ ნათელში ყოფილიყავით, მართლა ნათელო ადამიანო!

თქვენი მრავალრიცხოვანი მეგობრების სახელით: აჩიკო ჩიხლაძე, ზურამ ჩიტიაშვილი, რობი ფირცხალაიშვილი, მიტო მაჩიტაძე, ჟორა ჯოხაძე...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლეგისა და მეგობრის, დამსახურებული ჟურნალისტის, გაზეთ „რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის

ჯემალ ნინუას

გარდაცვალებას და გულწრფელად თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს.

---

მეუღლე სვეტა, შვილები ირინა, ციალა, სიძე ვალერი კორკოტაშვილი, შვილიშვილები გიორგი ჭოლაძე, ირაკლი კორკოტაშვილი, ზურა გორგოძე, ძმა შალვა, დები მარგო და ნაზი, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი კლიმენტის ძე ჭოლაძე

დაკრძალვა სოფ. მაღლაკში, 3 სთ., სამშაბათს, 11 II.

## ღიმილის დოზა



თქვენ დათვერით, თუ:

1. საერთოდ არ სვამთ;
2. თქვენს გარშემო ყველა საოცრად სასაცილო ამბებს ყვება;
3. პელაგეა მიხაილოვნა არც ისე ცუდია, სიფხიზლეში რომ გეგონათ, მიუხედავად იმისა, რომ ბრუციანია და მკერდი ფიცარივით აქვს;
4. თქვენ ვიღაცას ეუბნებით, რომ მთელი ცხოვრება გეყვარებათ ის და მხოლოდ ის;
5. თქვენ ზუსტად გახსოვთ, რომ ჯიბეში 50 ლარი გედოთ;
6. ყველა შემხვედრი ძალიან თავხედურად გიყურებს;
7. თქვენ გეარშიყებიან პოლიციელები...

* * *

— ვასიას ტელეფონის ნომერი გახსოვს?

— რაღაც მიახლოებით...

— მითხარი თუნდაც მიახლოებით.

* * *

შოტლანდიის პოლიციის სკოლაში ახალგაზრდა კურსანტს ეკითხებიან:

— რას გააკეთებდით, მარტოს თუ მოგიწიათ დემონსტრაციის დაშლა?

— მოვიხდიდი ქუდს და მოწყალების გაღებას ვითხოვდი.

* * *

ყველაზე მოკლე ინგლისური ანეკდოტი:

„ირლანდიელმა ბარს ჩაუარა".

* * *

რომელ ხელში უნდა დაიკავოს ჯენტლმენმა ჩანგალი, თუ მარჯვენაში კატლეტი უჭირავს?

* * *

გათიშული ნარკომანი შედის ეკლესიაში და სანთლების ჩაქრობას იწყებს.

მივარდებიან აქეთ-იქიდან და ეუბნებიან, რას შვრები, შე ურწმუნო?

— ჩემი დაბადების დღეა...

## სახიერი ფოლკორი



თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ბიჭო, ძმითა ხარ მაგარი,
თორ მტერი მოგერეოდა,
ამტერდებოდა სოფელი,
ხალამი დაგელეოდა.

ხალხური.

## მოდა

# პოდიუმის დედოფალი



მსოფლიო დიზაინერების წარმატებული შემოქმედება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ წარმოაჩენს მის ნამუშევარს — მოდელს... ამ მხრივ, რამდენიმე მანეკენს შორის ერთ-ერთი, ყველაზე გამორჩეული ევა ჰერციგოვაა, რომელსაც მოდის სამყაროში პოდიუმის მერილინ მონროს უწოდებენ. ამ მოდელში ერთდროულადაა მონროს არაჩვეულებრივი სილამაზე და თანამედროვე ქალისთვის დამახასიათებელი ყოველი ნიუანსი. დღემდე მას პოდიუმის დედოფლად მიიჩნევენ, თუმცა, იგი ასაკის მომატებასთან ერთად, ბოლო დროს სხვადასხვა დეფილეში ნაკლებად მონაწილეობს.

ევა ჰერციგოვა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის საზღვართან ახლოს, ძალიან ღარიბულ კვარტალში ცხოვრობდა, მას მანეკენობაზე არასოდეს უოცნებია. 1989 წელს ერთ-ერთმა სამოდელო სააგენტომ მანეკენთა შესარჩევი კონკურსი გამართა და ევამ პირველობა სწორედ მაშინ მოიპოვა. აქედან დაიწყო მისი სამოდელო კარიერაც. ამ გზაზე, თავდაპირველად ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა (შოუ-ბიზნესში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა), უფროსი „კოლეგები" მომხიბვლელ გოგონას შურით უყურებდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ მისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ სრულფასოვანმა და გამორჩეულმა სილამაზემ მისი უდიდესი წარმატება არ დააყოვნა.

— ჩემი პროფესია, შეიძლება ითქვას, „სასიამოვნოდ დამღლელია", თითქმის ყოველდღე მიწევს პოდიუმზე გამოსვლა, გაუთავებელი რეისები: პარიზი — მილანი — ლონდონი — ნიუიორკი... უფრო ხშირად თვითმფრინავში მძინავს, პირადი ცხოვრებისთვის კი დრო ნაკლებად მრჩება... — აღნიშნავს დიზაინერების ყველაზე სასურველი მოდელი.

პაკო რაბანი, ჟივანში, ივ სენ ლორანი, კარლ ლაგერფილდი, კრისტიან ლაკრუა და სხვა მოდის სამყაროს წამყვანი დიზაინერი თავიანთი კოლექციების ჩვენებას ევა ჰერციგოვას მიერ წარმოდგენილი მოდელით იწყებენ და ასრულებენ კიდეც, რაც პოდიუმზე უდიდეს ეფექტს ახდენს.

სტატისტიკის მოყვარულმა ინგლისელებმა, ყველაზე მომხიბვლელი და სასურველი ქალის გამოვლენის მიზნით, გამოკითხვა ჩაატარეს, შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცთა უმრავლესობამ სწორედ ევა ჰერციგოვა დაასახელა.

ჩეხი მოდელი კვლავ პოდიუმის დედოფალია.

**ლელა დონაძე.**

**სურათზე:** ევა ჰერციგოვა.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge